


ԱՐԵՎ



ՀՈՒՅԱՆԻԱԳԻՒԽԱԾՈ ՊԱՐԿԱԾ
ՊԵՏԱԿԱՆ ՊԱՐԱՊԱԼՈՎԱՆ ՊԱՐԱՊԱԼՈՎԱՆ
№ 2 (73)

2025



ՀԱՅՈՎԱՆ ՎԻԼՈՎԵՐԱՅԻ

200

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა

ნუნუ ძამუკაშვილი

მსამართული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუ-
ნიციალური მერიის (მერი ბატონი ლევან
ანდრიაშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ
მთავარელიშვილი) მხარდაჭერით.



№2(73), 2025

ივნისი



გამოდის სამთხვევი ერთხელი



„ოლეს“ ლიტერატურული შურნალი



შიდაარსი

მსამართული ლიტერატურა

2. ვარნა რაინა. ლექსები

18. როლად გიორგაძე. ობობას ქსელივითაა
დასერილი სამყაროს გზები. მოთხოვთ

30. ლაშა ნადარევაშვილი. ლექსები

34. გიორგი გიგაშვილი. ლექსები

36. ქათი გუგუაშვილი. გარეთ...
საზღვარგარეთ... მოთხოვთ

38. გიული ჩიხიაშვილი. ლექსები

საპავლევო საკითხები

39. ვალე წერებავაძე. საბავშვო ლექსები

43. ლენა ქაშუკაშვილი. საბავშვო
მოთხოვთები

კრიტიკა-კუპლიცისტიკა

45. ნინო გიორგაძე. ფარნა რაინას
მორალურ-ფილოსოფიური ხმა თანამედროვე
ქართულ პოეზიაში

48. ველი ზუროშვილი. „მიყვარხარ ტკბილო
კახეთო“...

კრისტიანული პოეზიის XV ფესტივალი

„ნინო გიორგაძე“

52. ფესტივალის რჩეული ლექსები

დაბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანი“

გარეკანის პირველ გვერდზე რაფიელ ერისთავის
პოსტერი. მხატვარი სოფიო ჭელიძე



ოლე, №2, 2025

ფარნა რაინა

2



რსულობის მიზანი – გადარჩენის სიკეთების გადაწყვეტილება.

ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ
ლ

ეჭმია სურს –
შზის ქვეშ,
გრიფებს ფეხვი...
და... შორიოდება
ზეობდეს ირგვლივ...
ლალაზე, როგორ –
სიძირთლეს... წესრიგს,
შენიდან უნდა
დაინუო იგი...

ფ. რაინა

ახალი ეპოქა...

ქობინთა* საწყობად
ქცეულა –
პლანეტა...
და... მინდა:
ცის ქვეშეთს,
მზის ქვეშეთს
მოვფონო, –
არ იყოს –
გულით და...
გონიერით
ბრძან, ნეტავ?!.
ფულმა და...
შულლმა, რომ...
დაიპყრო –
მსოფლიო...
2. II. 2025

*ქობინი – ბირთვული იარაღის ერთეული.

ირგვლივ, სადმე,
მივაგნო, –
იქნებ?!.
8. IV. 2025

ვარ დიოგენე –
ორფამერთის...

ამ გულს ესევა
დარდა, –
ამკლები,
სულში ტკივილი,
როცა – მზეებრ თრთის...
რომ... არ ვთქვა მეტი...
და... არც –
ნაკლები,
ვარ დიოგენე, –
ოცდამერთის...

ადამიანის სიღიადე
ფავეძებ მზის ქვეშ!..

ტკივილით, განცდით,
სულზეც, გულზეც
მედება –
ალი,
ჯვარზეცმული და...
ნამებული შემოვრჩი –
ფიქრებს...
ადამიანის სიდიადის,
რომ... გაქრა –
კვალი,
დავეძებ მზის ქვეშ, –

რა გადაარჩებს
ამ სამყაროს?!..

ჩემი ლალადი, –
გადარჩენის
სწვდება ცათა ჭერს,
როგორც... სიცოცხლის
მარადისი –
ასხივოსნება...
რა გადაარჩენს
ჩვენს პლანეტას?! –
ვამბობ, – ათასჯერ:
რწმენა,
სიმართლე,
სიყვარული,
პატიოსნება!..
6. I. 2025

არ გვინდა – ომი!!!..

სიკვდილი, თვითონ –
დავადამარე!..

დამიდასტურებს –
წილკანიც,
წრომიც, –
სამება მწამის და...
დავალ სამ არეს,
სიკვდილმა, როცა
დამიწყო –
ომი,
სიკვდილი, თვითონ –
დავასამარე!..
21. I. 2025

სიკვდილი
როდი მოდის –
ტატით?!.
ბირთვული რისხვის
განცდამ გვაჩვენა...
ყოველი:
წუთი,
დღე, თუ,
საათი –
დაე, პლანეტის
გადასარჩენად!!!..

P.S..
არ გვინდა – ომი!!!..
ომის – იარა!!!..
აზრი –



გაქრობის
დარღმა გვაჩვენა...
ტახტის,
ძალის და...
ფულის კი არა,
მზის ქვეშ –
სიცოცხლის
გადასარჩენად!!!..
15. IV. 2025

რაჭომ მგონია?!..

სიგიუით, ზოგის,
ბნედა მიწვაცს მზეს,
ტკივილმა შუბლი
რად, რატომ –
ხვითქოს?!..
რატომ მგონია,
დედამიწაზე –
ყოფნა-არყოფნის
ჟამია, –
თითქოს?!..
10. I. 2025

მოვუხმოთ სიბრძნეს!

დავაბათ ეშმა, –
სულეპში მძრომი,
დავკარგავთ სანამ,
ცა-მზის ქვეშ –
რაც არს...
მოვუხმოთ სიბრძნეს! –
ბირთვული ომი
დატოვებს, ოდენ,
ფერფლსა და...
ნაცარს...
2. II. 2025

გადავრჩეთ უნდა!..
გადავრჩეთ უნდა!!!..

თვალებს, დღემუდამ,
ფიქრით, დარღით,
და... განცდით –
ვახელთ...
ნუთუ, –
სამყაროს მზიურეთი
ქცეულა ბუნდად?!.
დაგებულია –
უმზაკვრესი,
ათასი –
მახე...
მაგრამ...

თუ, ძალგვიძს გადარჩენა,
გადავრჩეთ უნდა!!!..

P.S.
ფარისევლური მოვიშოროთ –
ფაფხური, –
ფუჭი...
ხომ, ვხედავთ? –
სინდისს
და... სიმართლეს –
რაოდენ
უჭირს?!..
29. I. 2025



3

ვარნა რაინა



ზოგჯერ

სიკეთეს, როცა –
ბოროტება ებრძვის და...
სძიდვის,
ხომ,
ძნელი არის?...
უძნელესიც, –
ეგზომ და...
ერთობ?..
საფარქვეშ, ზოგჯერ,
გვირგვინის და...
პორფირის –
შიგნით,
რა სიმზაკვრე და...
ბოროტება ზეიმობს, –
ღმერთო?!.
17. IV. 2025

ასკერ მკვდარი

ნლები –
ფიქრით და...
ტკივილით გაცვდა,
საქვეყნო დარღის
რიგს მოსდევს –
რიგი...
დაკარგა, ვინაც –
გაგების განცდა,
ჩათვალეთ, –
ცოცხლად მკვდარია
იგი!..

P.S.
ტკივილი, –
მიწის საზღვარსაც –
გასცდა,
მზენინაპართა
ხმა მესმის, –
ირგვლივ:





დაკარგა, ვინაც –
ლვთის რწმენის
განცდა,
დაკარგა, ვინაც –
სამშობლოს განცდა,
დაკარგა, ვინაც –
სიკეთის განცდა,
მზესიყვარულის
და... სიპრძის განცდა,
გდაკარგა, ვინაც –
სირცხვილის განცდა,
მერწმუნეთ, –
ასჯერ მკვდარია –
იგი!!!..
21. IV. 2025

შეგონება...

ლირსების განძი
იყიდება –
არ – რით და...
არ – სით,
სულის
გულის და...
სიყვარულის
ნადავლი არი...
ადამიანი,
რომ გაიგო
ლირსების –
არსით,
მაშინ,
ჯერ, თვითონ,
უნდა იყო –
ადამიანი...
21. IV. 2025

ვიხსნათ სამყარო!!!!.

გაქრეს სიკვდილი,
გაქრეს შუღლი
და... გაქრეს –
ომი!..
მზისქვეშ სუფევდე –
მშვიდობის და...
სიბრძნის მაყარო!..
ვამბობ მრისხანედ,
ვამბობ რისხვით
და... ვამბობ –
წყრომით,
რომ...
დიფ სთეითის ჭაობიდან –
ვიხსნათ სამყარო!!!!..
13. I. 2025

იურიდის უნდა, –
იურიდის –
ყველამ...
შეარჩენს არვის
დრო საქმეს –
ელამს, –
პორფირის ქვეშ, თუ,
ძველმანი კონკის,
იცოდეს უნდა, –
იცოდეს –
ყველამ:
დათესავს, რასაც –
იმასვე მომეის...
14. IV. 2025

ადამიანის
გულის ციდან –
ამოდის, როცა...

P.S..
თუ, რამეს ვნატრობ,
უნინარეს,
ლირსებას ვნატრობ,
გულებს... მარადის –
სიყვარულის
სიკეთით ნათრობს...
12. IV. 2025

მაოწებს, ლმერთო!..

ეს, – ფიქრ-ტკივილი
დასაპამით,
როდემდე ენთოს?!
სიკეთის ნათელს
რატომ აქრობს
სიავის –
თალხი?!.
რაისთვის შობე?! –
ეს მაოცებს,
დიადო ლმერთო,
სიცოცხლე ზოგის –
ტკივილია, როდესაც, –
ხალხის?!..
12. I. 2025

თვით, საქართველო
სად არი?!.

გულს მიწვავს
დარდის –
იარა, –
ვულკანის ცეცხლის
სადარი...
სხვა საქართველო
კი არა?!.
თვით, საქართველო
სად არი?!.
20. VIII. 2008

არ მეგულება,
არ ვიწი,
არ მნამს...

რამდენჯერ, –
ცრემლით ვასველებ –
წამნამს,
ტკივილი, როცა –

სიყვარულისთვის
სიკეთისთვის,
თუ, არ –
დახარჯე...
სიზიფეს ლოდს, თუ –
ჭაპანწყვეტით ეწევი, –
ქმენით...
და... ებრძვი აღმართს, –
ბეჭის აღმართს:
ნახლართს,
ნახვანჯევს,
ქარია, მხოლოდ,
მხოლოდ, ქარი,
სიცოცხლე, –
შენი,
სიყვარულისთვის,
სიკეთისათვის
თუ, არ –
დახარჯე...
12. XII. 2015

ფიაფი უფრო...

ხომ, დიადია:
მზე ცარგვალზე,
როდესაც –
უფლობს?!..
უკუნის გარდა,
ყველა ჰკოცნის...
და...
ყველა ლოცავს...
ასე მგონია:
დიადია მინაზე, –
უფრო,

მეფობს და...
უფლობს...
არ მეგულება,
არ ვიცი,
არ მწამს –
მამულზე
დიდი ტკივილი, –
უფრო...
13. I. 2025

ხომ, არის: უნინ.
ქვეყნის ლალატი?!..

ერთი კი არა,
დღეს, ბევრია: ერთად –
ცხრა ნული,
ღმერთო,
რა ცოტა დარჩა
მზის ქვეშ –
სიბრძნის ლალატი?!..
ყოფნა – არყოფნა
არის, როცა –
ერის,
მამულის,
ხომ, არის:
უნინ, თავზე ფიქრი –
ქვეყნის ლალატი?!
18. IV. 2025

სირწვილი...

სიცოცხლეც,
ყოფნაც,
მწამს, მიყვარს –
წრფელი,
სირცხვილის გრძნობას
არ ვყრგვეთ, როცა...
სირცხვილი ხოა –
ტკივილი, –
მწველი?..
მე, იმ, ტკივილის –
ღირსებას ვლოცავ...
19. IV. 2025

ნეტავ, როდემდე:
ილუზიებით,
ფანტაზიებით?!..
12. IV. 2025

ის – ვერ ავხსენ,
პრძენო უფალო!..

ვის, ან, რა ვუთხრა?!..
ზოგჯერ, თუმცა –
მეფეც ფუფალობს?!..
რა ცოტას ახსოვს:
რწმენა, ხალხი,
მამული, ერი?!..
ეს, – ვერ გავიგე,
ეს, – ვერ ავხსენ,
პრძენო უფალო,
ჩვენ,
ჩვენი თავის,
რატომ გავხდით –
უცხო და... მტერი?!..
3. IV. 2012

არ სტკიერია –
ვისაც თვითონ...

ჭეშმარიტება,
რომ... ვიცოდეთ –
მარადიც,
სრულიც,
დაჭრილი რწმენა
რატომ ტირის?!
და... რატომ –
კივის?!..
არ სტკიებია –
ვისაც, – თვითონ,
გულიც და...
სულიც,
ის, ვერასოდეს,
ვერ გაიგებს –
სხვის დარდს და...
ტკივილს...
16. IV. 2025

მიწიერი –
ღმერთი...

პრძენი, როცა –
მზეობს ხედვით,
აზრს აუნკებს, –
ერთიან...
ჭეშმარიტი –

შემოქმედი,
მიწიერი –
ღმერთია...
17. IV. 2025

ზეფნიერებაკა...
ურეფურებაკა...

ჩვენს ავს და კარგში –
განა მართლა,
ბედი ერევა?!..
ვქადაგებ, რასაც,
უკულმართი –
ნუ მემდურება...
სიცოცხლე ზოგის,
ხოა, ქვეყნის –
ბედნიერება?..
მაგრამ... ზოგის კი –
ვაგლახიც და...
უბედურებაც...
7. IV. 2025

აძიევდეს –
მარაც!..

რომ... არ წაგვლეულს
ატომმა, –
ქარად,
მინდა, რომ... გაქრეს
წამიც კი –
მგლური...
სტრიქონი ჩემი
ამზევდეს, –
მარად,
გარშემო – სულის,
გარშემო – გულის!...
20. III. 2025

თუკი, რამ არის –
პოროჭერა...

თვალს და... ხელს შუა,
ქრება, თითქმის,
ღირსება –
ძველი,
გზას ვუთმობთ, –
ზოგჯერ,
ჩვენ, თვითონვე –
ქაჯთა და...
ჯინთო?!..
თუკი, რამ არის –
ბოროტება



და... ძნელზეც,
ძნელი, –
მართალს, რომ სჯიან,
ხოლო, ბოროტს
აძლევენ –
ჯილდოს?!..
18. III. 2025

ფული...

6


მიწაზე, ოდიდან,
რაც, ყოფნას –
მოველტვით,
ვის, რა ძალა და...
ზე შეგვრჩა –
ატანის?!
იესოს წინარე,
და... შემდგომ, –
ყოველთვის,
ფულია პირველი
მსახური –
სატანის...
10. IV. 2025

ახლა, უფრო,
უფრო –
მთავარი?!..

ფიქრით, ტკივილით,
მზე – სიცოცხლის,
ლამის –
ილია,
მაღნობს და... მაქრობს:
კუნაპეტი დარდის –
თალარი...
თურმე, –
არც – შოთა,
არც – დავითი,
და... არც –
ილია,
რაგბი ყოფილა,
ახლა უფრო,
უფრო –
მთავარი...
9. IV. 2025

სიპრინდი
სისულელემფე...

გონების ცაზე
ქრის ფიქრის –
ქულა,

შარავანდს ფიქრის
მზესიპრდნე –
ერთვის...
სიპრდნიდან –
სისულელემფე, –
თქმულა:
არისო, მხოლოდ,
ნაბიჯი, –
ერთი...
2. IV. 2025

P.S.
იმ დღიდან –
გხედავ,
გაქებ და...
გლოცავ, –
დევებს, ვეშაპებს –
შეები, –
როცა!!!..
10. IV. 2025

სინანული...

მარტი...
რვის, ათის*
გარდა,
არ, მიყვარს მარტი,
ბუნებით, არსით,
მგონია – ანტი...
მარტივზეც მარტივს
ართულებს, – მარტივს...
და... სისხლს, ძარღვებში,
აპორგებს – მარტი...

თქვით, – შეცდომამ,
ოდით,
ვის, რა –
არგო?!..
გზას რად ვირჩევთ –
ეკლიანს და...
ქვიანს?!..
ვცდებით, როცა –
რამიშვი,
კარგო,
ამ შეცდომას –
სინანული ჰქვია...
6. IV. 2025

P.S.
მაგონებს ზღვაში –
ბრმა ნავს და...
ბრმა ტივს,
ინდაურია, თუ –
ბუ და...
ბატი?!..
აქვს არეული –
ამინდის კარტი,
რვის, ათის გარდა,
არ მიყვარს – მარტი!..
31. III. 2025

*8, როგორც – ქალთა საერთაშორისო
დღესასწაული და... 10 – ჩემი მეორე
ქალიშვილის დაბადების დღე...

გმირი ხარ, –
ნალფი!!!..

ლაშა ნადარეიშვილს

მამულზე ფიქრით –
აროდეს ლალდი,
შენ,
მისი ჯვარცმით,
რომ იწვი, ლაშა
ამ, ცა-მზეს ვფიცავ,
გმირი ხარ ნალდი,
მაგ შემართებას –
ტაში და... ვამა!!!..

ნალფი ქართველი...
ვუწუნეთ საქებს,
საგმობს კი –
ვუქეთ...
და... ჯოჯოხეთის
იყო –
სხვა რთველი...
მაგრამ...
დრო აჩენს, –
უფრო და...
უკეთ,
ვინ არის –
ნლდი, მართლა,
ქართველი...
5. IV. 2025

მჭერის,
მოყვარეუ...

სატანობს, ვინაც –
ავსული და...
განდალი არი...
დრო განსჯის –
ყველას,
გულთან, ვინაც
დარდი –



მოყარეს...
ვინაც, რას თესავს,
მასვე მომკის –
ადამიანი, –
თავისი თავის
თვითონ არის –
მტერიც,
მოყვარეც...
2. IV. 2025

ლირსებას ვლორუვ...

ლირსებას ვლორუვ –
ყანით, თუ –
ჭიქით...
სიცოცხლე მიყვარს –
მზით სავსე, –
პრძნული...
სიპრძნის იქით და...
ლირსების –
იქით,
სიცოცხლე ყველა –
ფუჭია, –
ნული...
4. IV. 2025

აზრით –
საშველი არის, –
ყველაფრის...

ხან, საშველ,
კვანძს, რომ –
ვერ ვხსნით, –
ვერაფრით,
ერთურთი, სანამ –
ვამხოთ და...
ვქოლოთ?!.
საშველი არის –
მიწყივ,
ყველაფრის,
მას –
სულიც, გულიც
სჭირდება, –
მხოლოდ...
3. IV. 2025

რაიჯ ვროზტლორთ, –
ფლეჩდე...

გვიმტრეს, ვისაც –
ვენდეთ,
სურთ შეგვრიონ –

მტვერთა...
რაიც ვცოცხლობთ, –
დღემდე,
ვცოცხლობთ დარდთან, –
ერთად...
31. III. 2025

ყველაზე ფილი
შეფინიერება...

ლირსებას, ვინაც,
სიკეთით –
ისთვლის,
ბედნიერია, –
თავზე, რომ –
უფლობს...
სიკეთით ძალმიძს,
როდესაც –
სხვისთვის,
ვარ ბედნიერი,
მე, მაშინ, –
უფრო...
31. II. 2025

ჟეშმარიტებას
შეცვლის ვერავინ...

ბევრია შავით
თეთრის მფერავი,
დღეს –
რამდენს ვხედავთ:
ბზეს და...
ფეთიანს?!..
ჟეშმარიტებას
შეცვლის ვერავინ,
ჟეშმარიტება –
მზე და...
ღმერთია...
31. III. 2025

სინფის – ნამუხი,
როდესაჯ – ინვის...

დღეს –
ჩვენი აზრიც,
ფიქრიც,
განცდაც
სამყაროს უვლის,
გვსურს –
კოსმოსამდე ავიტანოთ
გვირგვინი მიწის...
მაგრამ...

სიცოცხლეც,
ყოფნაც, სიპრძნეც
ტოლია – ნულის,
სინდის-ნამუსი
და... ღირსება,
როდესაც – იწვის...
25. III. 2012

ჩემი ლექსები...

მზელექსებს, მიწყივ,
ნათელი ახლავს,
ნათელი ამსხვრევს –
წყვდიადის ბოქლომს...
ჩემი ლექსები
ისეა, ახლა,
მიწაში, ვითარ –
ბაჯაღლო ოქრო...
29. III. 2025

ნეტავ, როდემდე?!..
მაინც, საფამდე?!..

ვინ გისმენს?!.. –
თავის
„მეში“ ჩაფლული?!..
ვისთვის – ნულია:
ბრძნი სწავლული...
შოთაც, რომ იყო, –
მზედ ქსოვო აზრი, –
გინდ, ახლით,
გინდა –
ძველი მთავრულით...

P.S.
ნეტავ, როდემდე?!..
მაინც, სადამდე?!
ნლები – ამაო,
დღენი – ქარული?!..
ქვეყნის და...
ხალხის –
მტერი, – ფარული,
ელიტარული,
ბნელიტარული...
9. V. 2009

XXI საუკუნე...

ბევრს სურს
გვაჩვენოს –
სული მაქვსო:
ქათქათა,
ბროლის...





ცხოვრება გახდა –
ასპარეზი,
თეატრი, – დიდი...
ეშმამ მოირგო
ანგელოსის –
სახეც და...
როლიც,
სიცოცხლე, ვისთვის,
თამაშია –
ფლიდზედაც ფლიდი...
29. III. 2025

მკლავს –
მინაშელო...

მკლავს –
შინაშუღლი,
მკლავს –
გულის წვა... მით...*
ვინ, რატომ?!..
რატომ უქრობს
მზეს – ყანას?!..
სიცოცხლის
არ მსურს –
არც, ერთი წამი,
არ ვუძღვნი, თუკი –
ხალხს და...
ქვეყანას!..
29. III. 2005

*მით უფრო...

ფეხა...

სამყაროს სახეს
ჩვენ დედით –
ვყვარობთ, –
გული, რომ...
მუდამ,
უცემს ალერსით...
დედაა –
ჩვენი სიცოცხლის
წყარო...
და... სიყვარულიც, –
უმწვერვალესი...
8. III. 2025

კარგად ჩანს!..

კარგად ჩანს –
კარგიც,
ავიც, –
მოყვარეცა და...
მტერიც...

ვინ –
რჩენას ფიქრობს
თავის?!..
ვინ –
გადარჩენას
ერის!..
30. III. 2025

აპრილი მიყვარს –
გადასარევად!..

ვთვლი სილამაზედ:
ბუნების –
ნაგრამს,
ვმაღლდები, თითქოს,
ცათა არე ვარ...
ყველა თვე მიყვარს,
ხომ, მიყვარს,
მაგრამ...
აპრილი მიყვარს –
გადასარევად!
11. IV. 2025

მაჩვენეთ ერთი!..

ხან, –
დროის ვწებით,
დროის ცეცხლით
დადნება –
მინაც...
ეს, – ტკივილია:
სულის,
გულის, –
კოსმოსს, რომ... ერთვის...
მამულისათვის,
ხალხისათვის,
ჯვარს ეცვა –
ვინაც,
ყოფილა ყოფნით
ბეჭნიერი?!..
მაჩვენეთ: ერთი!..
8. IV. 2025

ჰუკორი –

აჰჰერ...

სხვისი ღირსებით
გონ-გულს, რომ –
ირევ,
სხვისი კარგით, რომ...
სიცოცხლე –
გენწის,
სჯობია წახო:
შენს თვალში –

დირე,
ეძებო ვიდრე,
სხვის თვალში –
ბეწვი...

P.S..
ეგ, – სულის ღამე
სიბრძნის მზით –
ასჭერ,
ერთხელ კი არა,
სჯობია –
ასჯერ....
10. IV. 2025

ვისლა ვენტოთ ფა...
ვინლა ვინამოთ?!*

ნუთუ, ამდენი –
გიუს ხალათი?!.
გაუძლოს, ვითარ –
ცამ და... მინამო?!.
შუღლი: შინ, გარეთ, –
ცილი, ღალატი...
ვისლა ვენდოთ და...
ვინლა ვინამოთ?!.
12. IV. 2025

*გიორგი ბეზირგანის – „ერემლის აბლა-
ბუდას“ შთაბეჭდილებით...

არ მიყვარს...

გაუყენებს
ქარი ყავლს,
გაცრის,
გაცლის,
გარიყავს, –
დრო ლექსების
ლექს ეპრძვის...
ლექი –
არ მწამს,
არ მიყვარს –
უდღეური –
ლექსები,
ცრუ, კინკილა
ლექსები,
რეპუსული ლექსები,
მომცვრეული ლექსები
და... ულექსო –
ლექსები...
7. III. 2025



ისევ მივნაფრი!..

თუშეთში მივქრი –
ძილ-სიზმარშიც, –
ფიქრის აფრებით,
გულს, კვლავ, მინათებს:
სიყვარულის –
ელვარე მზეი...
ისევ მივნატრი –
იმ განცდას და...
იმ წლებს, – გაფრენილს,
ისევ მივნატრი:
სიჭაბუკის –
იმ დღეთა ზეიმს!..

26. IV. 2025

მე გამომძერნა –

ეპოქამ. –

თვითონ...

გამოვიარე ათასი –
ტროა,
ვიქეცი ელვად, –
წრფელი და...
ხვითო...
ჩემი მოძლვარი –
აზრიდა...

დროა...

მე გამომძერნა –
ეპოქამ, –
თვითონ...

13. III. 2025

მზეჩაუვალი

დიდება იმდა!...

სანამდე – ტკივილს?!..
და... ცრემლის წვიმას?!..
სამოთხეს – დაჭრილს
და... სისხლით ნამულს?!..

მზეჩაუვალი
დიდება იმას,
სიცოცხლეს, ვინაც
მიუძლვინის მამულს!..

29. III. 2025

რაჭომ?!

ათასი – რაჭომ?!

ძნელია ფიქრი
კაეშნით ვგვემოთ,

ნასვლის
წუთებით
გულზე, რომ –
ვისევთ...
რატომ მასწავლეს
სიცოცხლის გემო?! –
თუ, ნამართმევენ –
მალე... და...
ისევ?!..
5. V. 2000

სიტყვა...

წამიც კი, როცა,
განცდების –
ტყვეა,
სიკვდილ-სიცოცხლე
როდია –
ერთი?!..
სიტყვაა, ზოგჯერ,
ნამდვილი –
ტყვია
სიტყვაა, ზოგჯერ,
ვითარცა
ღმერთი...
7. II. 2025

წხოვრება, როცა –
ზრმა არი,
გულზე ტკივილი
წამება...
მაშინ, სიცოცხლე

რა არი?! –
ლირსების:
ჯვარცმა,
წამება...
27. III. 2025

მამულზე ფიქრით,
მამულზე ფარიზით...

მეასედ ვამბობ,
თუ – მეათასედ?! –
ამდენი დარდით,
ვარ, ვითარ – ლანდი,
ფანტელი ფიქრის,
გულზე რომ დამდის,
ვიძინებ დარდით,
ვიღვიძებ დარდით

მამულზე ფიქრით,
მამულზე დარდით,
ცვილივით ვიწვი,
ცვილივით დავდნი...

P.S..

ეს, – უსამანო –
სამსალა რო დის,
დაშრება როდის?!
გაქრება როდის?!..

24. III. 2025

9



წუთია –
წუთისოფელი...

ხან, მზის,
ხან,
ღრუბლის მომფენი, –
გულზე მომდები –
ალისა,
წუთია –
წუთისოფელი, –
დახამხამება –
თვალისა...
19. II. 2025

ფარიზა წამლეკოს. –
ლამის!..

მტრად გვექცა
მოძმეც,
დროცა, –
თვალებში მყრელი
ლამის...
მამულზე ვფიქრობ,
როცა –
დარდმა წამლეკოს, –
ლამის!..
21. III. 2025

მე, თუ –
მკითხავენ...

ცა-მზის ქვეშეთში, –
თეთრის, შავის,
გზა არის –
ორი,
სიკეთისათვის –
ვინ იუდობს?!..
და...
ვინ კი –

ოლქ, №2, 2025





იწვის?!..

მე, თუ –
მეოთხავენ, –
დღეს, რამდენი,
ორფეხა –
მძორი,
არ უნდა იყოს
ლირი აკვინის, –
ქართული
მიწის...
29. III. 2025

შინდები...

P.S..

წუთებს მიაქვს
დღე, – ძველი,
ახალს განიცდით
მივებით...
ლხინობს ჯარი –
ენდელის,
ლხინი არის –
იების...
1. III. 2025

ეროვნის ტაძარო!..

ამზევდი, ჩვენო –
ცოდნის ტაძარო,
სულ, იდიადე:
ასჯერ,
ათასჯერ...
ღამემ ნათელი
ველარ დაძალოს,
ხე –
უმეცრების:
ააუე,
გადაჭერ!..
19. III. 2025

ლამის, გავთავდეთ!..

დრო შემოგვიგდეს –
სიკეთის და...
ლხინის მკვნეტავი,
ამდენი –
ჯვარუმით,
ჯოჯოხეთით,
ლამის, გავთავდეთ!..
რა მანძილია,
რა გზა არის,
მაინც, ნეტავი?! –
ჩემი მამულის,
ჩემი ხალხის
განთიადამდე?!..
9. IX. 2009

ვისი –

მზის სხივად,

ვისი –

ავსულად...

ზოგი გვიპრმავებს
თვალებს, –
ახელილს,
ვინ –
მალლის კიბით,
ღმერთთან
ასულა...
დარჩება, ბოლოს,
ოდენ –
სახელი, –
ვისი –

მზის სხივად,
ვისი –
ავსულად...
7. III. 2025

ვაშტორ მეასედ...

რამდენი გვებრძვის –
მგლისებრ... მელასებრ?!..
ვინ ვმონებთ ძალით,
ხოლო, ვინ – ნებით?!..
ნეტავ, როდემდე?!"! —
ვამბობ მეასედ, –
შავი გული და....
თეთრი კბილები?!...
18. III. 2025

თუ, სიყვარულად –
მიწამა...

მინდა –
გულს დარდი
ავყარო,
მზედ, რომ მშვა –
ცაბ და...
მიწამა...
სიცოცხლედ ჩავთვლი, –
სამყარომ
თუ, სიყვარულად –
მიწამა...
17. II. 2025

უსმინეთ შოთას,
უსმინეთ დანტეს...

დრო წარმოაჩენს-
ნაგავს და... დაგვის,
მიაგდს კუთვნილს –
ვინაც, რას დათესს,
დრო მსაჯულია –
ავის და კარგის...

შენ ხარ –

ჩემი სიკოწხლე...

თავს რომ...
მზესავით იმორცხვებ,
თუ, დაგჭირდება,
ელვა ხარ...
შენა ხარ –
ჩემი სიცოცხლე,
ჩემი სიკვდილიც –
შენა ხარ...

გაზაფხულის სურათი...

მზე ცით თავზე
გვევლების,
თოვლი მთებზეც
შინდების...
კისკისებენ –
ტყემლები,
კისკისებენ –

P.S..
დრო ახსნის ყველა –
ხრისა და... ფანდებს,
დრო –
ყველა ავ-კარგს
სასწორზე დადებს...
18. III. 2025

ჰუსა იყენებს –

ჰუსიანი...

უფალი სიბრძნით
გვარიგებს,
სიბრძნეს გვირჩევენ
იანიც...
უხმარი ჭუუა
არვის რგებს,
ჭუუას იყენებს –
ჭკვიანი...



რა საჭიროა?!...

რა უსაზღვროა –
მზეფიქრთა დენა,
რა დიადია –
ზეცაც რომ
გვლოცავს...
რა საჭიროა –
სათქმელად ენა?!...
გულებით უკეთ
ვსაუბრობთ, –
როცა?!...

17. III. 2025

საფ არის
აზრი?!..

თავში, რამდენი –
ეკალი ძეძვის?!...
მაოცებს ეგზომ,
მაოცებს ერთობ, –
უკრაინას,
რომ რუსეთი ებრძვის,
სად არის –
აზრი?!
მითხარი, ღმერთო!...
28. III. 2025

*რუსეთ-უკრაინის სამწლიან,
სატანერ, უსამართლო იმში
ორმილიონზე მეტი დაილუპა –
უკრაინელიცა და რუსიც (?!)...

ათასჭერ –
მოყვაფერი!...

რა არის სიცოცხლე?...
პატარა –
სიზმარი,
არისო წამი და...
წამიც კი –
მოკლდების?!..
მე შენი არყოფნა,
რომ ვნახო, –
ცისმარე,
მწამს –
ერთხელ კი არა? —
ათასჯერ –
მოვკვდები!..
25. III. 2025

სტალინი...

საბჭოთა მიწა,
როცა – ბოლავდა,
მტერს მტკიცედ დახვდა –
აზრის ღალათი...
ხომ, იყო:
მოგვიც,
ბრძენიც,
ფოლადიც,
ის, მაინც, მოკლეს...
მოკლეს – ღალატი...

P.S.
გამარჯვებისთვის
ენთო – ალივით!...
სტალინი იყო!...
დარჩა – სტალინი!...
5. III. 2025

*მძიმე ავადმყოფი, სულთმობრძავი,
საკუთარ აგარაკზე უშურადღებოდ
მიგდებულ ბელადი ჯერ კიდევ
ცოცხალი იყო, კურმლის
მორიელები რომანოვების ტახტსა
და მაღალ სამსახურებს რომ
ინანლებდნენ... (?!)

ნეტავი, –
დრო საით
მიგვაქანებს?!...
საცეცხლედ რომ...
არავის –
ვეზოგებით...
როგორ გაგვიმრავლდნენ
შინ და... გარეთ –
დაუძინებელი
მეგობრები?!...
ამიკლო...

ფიქრის ლაშქარმა
ამიკლო...
ფიქრის ლაშქარმა
ამიკლო, –
ქრება ლირსებაც,
ნამუსიც...
მილეთი გახდა,
ძამიკო, –
დარდით, ტკივილით
ნამუსრი...
23. I. 2025

ფიფი სიბრძნე...

დასაბამიდან, –
ლხინს ვინ მკის,
ვინ – ჭირს?!...
დრო –
ვისთვის შავობს...
და... ვისთვის –
ბროლობს?!...
სიბრძნეა დიდი, –
ისეთი
ნიჭი,
ავის და კარგის,
ვინც იცის –
ბოლო...
16. III. 2025

რამდენ ჭოჭოხეთს

გაუძლოს –
კარგი?!.
დღეს, ამას ჩივის –
ერი და ბერი:
როდემდე – ქვეყნის
და... ხალხის ჯვარცმა?!..
ჯოჭოხეთია –
ძალიან ბევრი...
რამდენ ჯოჭოხეთს
გაუძლოს კაცმა?!..
15. VIII. 2008

ასე –
სწამს, სკერა
ყაყიჭა...
დასჯისო –
ცაც და...
ღმერთიც,
ასე –
სწამს, სჯერა
ყაყიჭას, –
ვინც ჩვენი
აფხაზეთი
და... სამაჩაბლო
გაყიდა...

ვერ – რით ვუშველით...

რამდენჯერ, გვახლავს:
ალმურის –
დება,





სიცოცხლეს გვიქრობს:
ფიქრების –
ჯარი...
გარდაუვალი, –
რაიც, რამ,
ხდება,
ვერ – რით ვუშველით –
დარდით და...
ჯავრით...

სიავე...

სიმზაკვრე, ზოგთა,
და... ცოდვები
ცათამდე ავა...
სიავით, შუღლით,
დღესაც, რამდენს,
ედება ალი?!..
თავი, რომ მოაქვთ:
მგლებს და ტურებს –
იესოს კრავად,
სიავე –
მზის ქვეშ,
ვინ დაფარა:
ხავსით და...
ჩალით?!..

ქრომა...

შრომა – სიცოცხლე,
მზე – ცის
მინდისი,
ნეტარ ახდენა –
ასი ოცნების...
შრომა – ღირსება, –
მეკვლე
სინდისის,
შრომა – სიმბოლო, –
პატიოსნების...
3. VI. 2016

ფარვე ყველა –

მიქელას

წოწხო...

დაგავე ყველა –
მიქელას
ცოცხო,
ვის სულსაც ხედავ –
ეკლიანს, ქვიანს...
ვინც, მხოლოდ,
თავის თავისთვის
ცოცხლობს,

მე ვერ ვიტყვი, რომ...
სიცოცხლე ჰქვია...
24. III. 2025

ჟურნალი...
სიცოცხლის

ღირსება მზესულის
ცას ქარგავს,
სუყველას გაგვცხრილავს –
მზის ცხრილი...
სჯობია –
სიცოცხლის
დაკარგვა,
დაკარგვას –
ღირსების,
სირცხვილის...
16. III. 2025

მახსენფერი, როგა...

გამოვცალე –
ფიქრის ღვინის
ბოცა,
მეცხრე ცაზე
განცდით ვიწყებ –
ღივლივს...
მახსენდები –
სიზმარშიც კი,
როცა,
მონატრების ურუანტელი
მივლის...
23. III. 2025

რაჭომ?!..

ჯანლი ეხვევა
ჩვენი მიზნის –
მთებს და მწვერვალებს,
რეკავს სიონი,
რეკავს ჯვარი,
რეკავს გეგუთი...
უსაზღვრო არის –
განცდა ჩვენი,
ფიქრი ელვარე, –
რატომ გვტაცებენ –
იმ სამოთხეს,
რაც ჩვენ გვეკუთვნის?!...
რატომ?!..
20. VIII. 2008

ნეტავ!..

ვაშენებ განცდის
და... ფიქრის ტყეებს,
მზეგულზე ვიგრძენ –
ტკივილით წვა მე...
მივტირი უკან –
გაფრენილ დღეებს,
გაფრენილ წუთებს
გაფრენილ წამებს...
დროს – სიჭაპუკის,
მივტირი, – ნეტარს...
დაბრუნდებოდეს, –
ხელახლა, ნეტავ!..
22. III. 2025

უნდა ვხელავდეთ,
უნდა ვიწოდეთ!..

ვინც, რა დაგვმართა,
ვინ ჩამოთვლის –
ოდით, იმ ცოდვებს?!
თვალთ ვიბრმავებთ და...
რამდენს, თავზე –
ნდობით ვევლებით?!..
უნდა ვხედავდეთ,
უნდა ვერძნობდეთ,
უნდა ვიცოდეთ –
ერის წიაღში
შემომძრალი –
მორიელები!..
20. III. 2025

გაიხსნას უნდა –
გორგონას კვანძი...

ვიცოდეთ უნდა
ვინ არის –
ვინაც,
მოვიხმოთ სიბრძნის
და... აზრის განძი...
დაიმსხვრას უნდა
დუმილის –
მინა,
გაიხსნას უნდა –
გორგონას კვანძი...
18. I. 2025

მცამს...

ბეწვის ხიდზე, რომ –
გავდივართ, –
ახლა,



თუ გინდა ქვეყნის
ამო ცვლილება,
მწამს, –
ერთადერთი საშველი
გახლავთ:
სიმართლე
ცოდნა,
გამოცდილება...
15. I. 2025

ვერ ამოვხსენით
ფრონის ქარაგმა...

ურთიერთ შუღლით
ღირსება და...
სახელი ვივნეთ,
და... დრო მოუჩენს
თავის ადგილს –
შიგნით მოისარს...
მაჩვენეთ ერთი, –
ამდენ ხალხში,
თუ, ფიქრობს ვინმე,
თავმოსაწონი
რა დარჩება –
ჩვენი დროისა?!

P.S.
ვერ ამოვხსენით
დახლართული –
დროის ქარაგმა,
მზემ უკუნეთი –
ავთა სულთა,
ვერ – რით ალაგმა...
17. I. 2025

ხომ, აჭორერდა?!

რა დიადია ზეცა –
ლურჯი... სუფთა, –
კრიალა,
და... ძირს, –
სამყაროც,
სიყვარულის თუა –
მზით დარი...
ხომ, აჯობებდა?! —
ვფიქრობ, –
ვინმე, თითო,
კი არა,
ხარლხიც, ქვეყანაც, –
ყველა, ერთად,
იყოს –
მდიდარი!..
14. I. 2025

ფასაგველია –
ეს სამყარო...

დასაგველია –
ეს სამყარო,
ეპოქის ცოცხლ,
რამდენს სჯობია:
ქინძი, კამა,
პიტნა და...
ლოლო?!

ზოგი, თუ, ქვეყნის,
და... ხალხისთვის –
ინვის და... ცოცხლობს,
ზოგი კი, მხოლოდ,
მხოლოდ... მხოლოდ –
თავისთვის, –
მხოლოდ...
5. I. 2025

სიყვარულო,
რა ხარო?!

სიყვარულო,
სიხარულო,
რა ხარო?!

ქველო მწველო,
თუ, ნორჩო და...
ახალო,
გნებავს: რწმენა...
და... სიცოცხლე –
ახარო,
მაგრამ... ზოგჯერ,
უცნობი და...
ბრმა ხარო...

P.S..
სიყვარულო, –
ზექველო, თუ,
ახალო,
ნეტავ, ყველა –
ამზეო და...
ახარო...
2. I. 2025

მე ზეფნიერი
ფარ, ყუფრო,
მაშინ...

ვლოცავ –
ციდან, რომ...
მზე სხივებს
მაშლის,
ყველა სიკეთის

სათავეს –
ვლოცავ...
მე, ბედნიერი
ვარ, უფრო,
მაშინ,
სხვებისთვის –
ძალმიძს სიკეთე, –
როცა...
1. I. 2025

ყურო, –
ვერ ვიტან...

მტკიცა, –
ვინმე, თუ –
*კროცავს...
და... ძალა აბამს
სუსტებს...
უფრო, –
ვერ ვიტან,
როცა –
პრეზიდენტი რომ...
უსტვენს...
11. XII. 2024

*(კახური დიალექტი) უაზროდ
ლაქლაქებს, ლაყბობს...

უზრალოება –
გენიალური...

ამ გულს
მზესიბრძე
უმალ მოება,
ვით, – ღამის მწველი, –
გენი –
ალური...
გენიალური –
უბრალოება,
ვითარ, სიმაღლე –
გენიალური...
9. II. 2025

ვაი, უსუსხლოდ –
ფამწველო!..

მინდა –
განცდის მზე
გავწელო,
ფიქრებიც
განა მომობენო?!

ვაი, უცეცხლოდ –



დამწველო,
უღვინოდ –
დამათრობელო!..
31. I. 2025

ასი სიკუფილი...

ას სიკუდილს უდრის:
სიკუდილი –
ერთი,
რაიც კი შეძრავს –
ქვას და...
ლოდებსაც...
სიცოცხლის ნათელს, –
ბოძებულს –
ღმერთის,
ერთი –
მეორეს ართმევს, –
როდესაც...
30. I. 2025

მზაფრავს...

ყოფნის ფინიშთან –
ფიქრებით
ვმდიდრობ,
ვერ – რით დავუშვი
განცდების
აფრა...
ხომ, ვიცი,
წესით დადგება –
ის დრო. –
„იყო... და...
არა იყო რა“ –
მზაფრავს...
28. II. 2025

ნუთუ?!

ზღაპრად შემოგვრჩა
გმირი,
ლომგული,
სულიერებაც,
ნიგნიერებაც...
მტერი – მზაკვარი,
ფლიდი,
ორგული,
ურორე მეტად,
შიგნით გვერუვა...

P.S..

ვართ:
ერთგულების, ცოდნის –
უფაროდ...

და... გადავრჩებით ნუთუ,
უფალო?...
3. III. 2025

უბრალოება...

გულს –
სიბრძნის სხივად
უმალ მოება,
ეს, –
ღამის მწველი –
გენი აღმური,
გენიალური –
უბრალოება,
ვითარ სიმაღლე –
გენიალური...
28. I. 2025

აცე მგონია...

შენი მზით
წამიც –
საგუე გონია, –
ფიქრის და განცდის
დასალიერთან...
როცა ვერ გხედავ,
ასე მგონია –
მთელი სამყარო
დაცარიელდა...
12. III. 2025

ვისოფის...

მამულზე ფიქრით
ეკლებზე ვწვები,
ვისთვის ერთია –
ვარდი და...
ლოლო...
ბედნიერება,
სიცოცხლე... წლები,
ვისთვის –
ჭამა და...
სმა არის, –
მხოლოდ...
26. II. 2025

კალიგულა...

ვინაც, –
ცას და...
მინას ჩემობს,
მზეც თავისთვის –
დაიგულა,

რამდენია,
ღმერთო ჩემო,
რომაელი
კალიგულა?!.
26. I. 2025

ქვეყანა, როგა –
ლირსებას კარგავს...

ხან, – ყოფნა –
აზრის სასრულის
კარს ჰგავს,
ჯოჯოხეთია სიცოცხლე, –
სრული...
ქვეყანა, როცა –
ლირსებას
კარგავს,
ეს, – სიკუდილია –
გულის და
სულის...
24. I. 2011

დაფიქრდი –
ასკურ...

უკუნი – დროის:
გაფანტე,
ასჯერ, –
სიავე –
სწვავს თავს,
სწვავს გულს და...
სწვავს სულს...
დრო არის სანამ,
დაფიქრდი, –
ასჯერ,
მზით
ვერვინ შეცვლის –
კუნაპეტ
ნარსულს...
24. I. 2025

სიძულვილი ფა...
სიყვარული...

მაქვს ჭვრეტა, ვითარ –
მისნის და...
მოგვის,
ფიქრები ვწონე,
ვთვალე და...
ვრანდე...
თუ, –
სიძულვილით,



ბრძა არის –
ზოგი,
მზეც, – სიყვარულის,
აპრმავებს –
რამდენს?!...
23. I. 2025

ხომ, ვხედავთ?!

დღეს ვხედავთ,
რამდენს, –
სულით, გულით დაეცა –
რამდე?!.
რას იფიქრებენ –
ენძელები?!..
ანდა – იანი?!..
ხომ, ვიცით,
მზის ქვეშ,
და... ხომ, ვხედავთ, სუყველა?!

—
რამდენს –
ფულების თვლაში
დაავიწყდა –
ადამიანი?!..
22. I. 2025

მზეორა არის –
ჰელიორება...

ვინც სცოდავს,
მზედ ვერ აქცევს
იმ ცოდვებს,
დრო, ზოგჯერ,
სულლმერთს –
ბნედით ერევა...
მინდა, რომ...
ყველამ... ყველამ –
იცოდეს:
მზეობა არის –
ბელიორება...
19. I. 2025

თუკი, რამ. –
მიყვანის...

რმდენჯერ... ჩემთვის,
ფიქრს ფიქრზე –
ვისევ,
არ – რით შემასწროს –
სიკეთის მზის ყავლს...
თუკი, რამ,
მიყვარს, –
ისევ და...

ისევ –
სიმართლე მიყვარს,
ლირსება მიყვარს...

ასი – სირწმუნიო!..

თუ, არ ვქადაგებ –
მზეს, – სიმართლის,
მოვიჭრი ორ მელავს,
ვით გამოზარდა
ერმა ჩვენმა –
წინილი გველის?!.
ასი – სირცევილი,
ვანც ღმერთკაცი,
ილია მოკლა,
ქვენარმავლებში...
და... ამდენში –
წინ რაი გველის?!..
7. I. 2025

რა წოდა არის –
სულით მზიანი?!

გაბევრდა შავი, –
თეთრი –
პერანგით,
ღმერთი, რამდენს სურს
სხვისთვის ზიანი?!.
რა ბევრი არის –
ფლიდი,
ვერაგი,
რა ცოტა არის –
სულით მზიანი...
11. III. 2025

ვაი – მას!..

ჩვენ, რომ...
მზედ ვსხივდით,
ვინ?.. ტყეში –
რბოდის?!.
დრო იყო: ვისთვის –
ზვავი და...
შვავი?!.
ვაი – მას,
ვინაც არ იცის, –
ოდით,
ყოფნის,
ცხოვრების –
თეთრი და...
შავი...
12. III. 2025

როდემდე?!..

როდემდე: შულლი, –
ურთიერთ მტრობა?!..
ხიდზე
რამდენჯერ გავიდეთ –
ბენვის?!.
რა მოგვიტანა
სიავით თრობამ?!.
ფიქრებით, –
სული
და გული –
მენვის...

P.S.
როდემდე?!.
15. III. 2025

მზელექსით...

გზაც და... მიზანიც
არ მწამს –
ირიბი,
მზელექსით
სივრცე
ცათა იწყება...
დროის ვეშაპთან
დავრჩი –
პირისპირ,
გულით გადავწვავ
გადავიწყებას...
13. III. 2025

ყველა ნილაბი –
უნდა დაიწვას!..

ვინ, სიკეთისთვის,
იმკის –
ვამეს...
მზაკვრის მზაკვრობით
ინკის ალით ცაც...
ყველაზე მეტად,
თუ, მსურს –
რაიმე,
ყველა ნილაბი –
უნდა დაიწვას!..
1. III. 2025

უშენოდ...

უშენოდ მომკლავს –
ფიქრის იარა,
მაქვს –



დარდის რთველი,
ტკივილი –
იმ რთვლის...
შენს მოლოდიში,
დღეებს კია რა,
წუთებს კი არა,
ნამებსაც –
ვითვლი...
26. II. 2025

სიყვარული და...
სიძულვილი...

მსურს სამყარო –
ერთიანი...
და... ერთურთის –
ატანა...
სიყვარული
დმერთი არი,
სიძულვილი-
სატანა...
25. II. 2025

შავი – გული და...
თეთრი – კრილები...

ხალხ-ქვეყნისათვის, –
ბევრი –
ცრუ ფარობს,
ვისია, ვინაც –
ეშმას ბწყილების...
გამრავლდა –
უნდო,
უფრო,
უფალო,
შავი – გული და...
თეთრი – კბილები...
23. II. 2025

ნალფი ქართველის
დახაცვა მიჭირს...

არ იყოს, იქნებ,
ნახატი სრული?!.
ნალდი ქართველის
დახაცვა მიჭირს,
ელვარე – სულის,
ელვარე – გულის...
და სიყვარულის –
ელვარე ნიჭის...

P.S..
არ იყოს, იქნებ,
ნახატი სრული?!.
10. II. 2025

უპირველეს და...
უნინარეს...

უუნინარეს,
ჩვენით გვხვდება –
დარდიც... იარაც...
ოცნებად გვექცა –
სიმშვიდე და...
აზრის –
თალარი...
უპირველეს და...
უნინარეს,
მტერზე კი არა,
საკუთარ თავზე
გამარჯვება არის –
მთავარი...
12. II. 2025

ფიქრი და...
ოწერა...

დამაქვს ფიქრი და...
ოცნება, – სრული,
გზა გაებუტოს –
ავსულებს,
ნავსებს...
სიცოცხლე ენთოს
ლამაზი სულით,
მზით,
სიყვარულით,
სიკეთით
სავსე...
7. I. 2025

სმლის პირზე
სანამ იარო?!

ოდით, –
სისხლ – ცრემლით
ნამულო,
დარდის,
ტკივილის ზიარო,
ავაპმე, ჩემო –
მამულო,
სმლის პირზე
სანამ იარო?!

2. II. 2012

ძნელზე ძნელია...

ამ ტკივილებს და...
ამ ჯოჯოხეთს
როგორ დავითვლით?
როგორ დავითვლით –
სულგაყიდულ
ნიღბიან ნავსებს?!..
ძნელზე ძნელია, –
იყო, თუნდაც,
დიდი დავითი,
მორიელებით
არის, როცა –
ქვეყანა სავსე...
13. II. 2025

ჩემი სიკოქტონე
მოვხარჟე –
დარწით! –

ვერ – რით ვხდი, წამსაც,
ნისლების –
მანდილს,
დავდივარ დარდით, –
დავიწვი,
დავდნი...
მაშტოთებს –
ერის გაქრობის
ლანდი,
მზეგულზე –
ფიქრის მენყერი
დამდის...
ჩემი სიცოცხლე
მოვხარჟე –
დარდით, –
ხალხის დარდით და...
მამულის –
დარდით!..
21. III. 2025

ჭეშმარიტება და
სიყვარული...

რაიც კი ვიშვი,
სამყაროზე ფიქრს –
ფიქრი ერთვის,
მიყვარს მზეგული
და... გონების –
მზიური სივრცე,
ჭეშმარიტებაც,
სიყვარულიც –
სხივია ღმერთის,
ჭეშმარიტებას



და... სიყვარულს
სიცოცხლეს მივცემ...
16. I. 2025

ნეტვროვანი

ვუგზავნი უფალს –
ლოცვას და... ამბორს,
სიცოცხლის ცაზე
მზე სანამ
ელავს...
ათასჯერ ვთქვი და...
ათასჯერ ვამბობ –
ნეტავ,
სიკეთით მზეობდეს –
ყელა...
9. I. 2025

არგ ერთი –
ნუთი,
არგ ერთი –
ნამი!...

საით მივყავართ
ეპოქას, –
ვხედავ,
ვფიქრობ და...
გულის მეტია –
წვა, – მით...
უსაქართველოდ, –
არც ერთი –
დღე და...
არც ერთი –
ნუთი!...
არც ერთი –
ნამი!...
1. II. 2025

ჟიკვფილიანი

ვლორვანი

სიცოცხლეს ვლოცავ, –
თუ რამეს,
ვლოცავ...
ლოცვით დავცალო –
ქვეერი და...
ბოცა...
მაგრამ... მე, ზოგჯერ,
სიკედილსაც
ვლოცავ,
თვით, სიცოცხლეზეც
მეტია, –
როცა...
4. I. 2025

ჟიკეთისათვის

მხოლოდ... და...
მხოლოდ...

ეს მიწა, რაიც –
მზის ირგვლივ
ბრუნდა,
ვცდილობთ, –
სიკეთე ვაქროთ და...
ვქოლოთ?!..
სიკეთისათვის ვიცოცხლოთ
უნდა,
სიკეთისათვის –
მხოლოდ... და...
მხოლოდ...
5. II. 2025

ლირსება

ლირსება მიყვარს, –
სულიც, გულიც
მზით, რომ –
ივსება...
აროდეს იქცეს,
ნეტავ, გონის
ცა – უკუნეთად...
სულის სიცოცხლეს
მირჩევნია სულის –
ლირსება, –
სიბრძნის საუნჯე,
და... მეგზური –
საუკუნეთა...
2. III. 2025

ნარმავალი და...

ნარყვალი...

ჭრიჭინა, ვითარ,
ზოგი –
ფუჭად ჭრიჭინებს,
დახტის...
სად?!... სად არიან –
ჭრიჭინები, –
მეობის გვართა?!...
ნარმავალია –
დროც,
ეპოქაც...
და... მეფის –
ტახტიც...
ნარმავალია –
ყველაფერი, –
მზესულის გარდა...
26. III. 2025

იმედი...

სათქმელი, რაც გვაქვს,
დღეს, დაე,
სულ, ვთქვათ, –
კარგად ვარჩევდეთ:
მოყვარეთ,
მტერთა...
რადგან –
სიმართლის იმედით
ესუნთქავთ,
ნუ მოგვიშალოს
იმედი –
ღმერთმა...
18. VIII. 2024



თუ, გნამს და...

გიყვარის...

ვითარ, ილია, –
ამას ვიტყვი:
მუდამ, ყველგანა,
განა – ზეობით,
და ნადავლით
გახდე პირველი?!..
თუ, გნამს და გიყვარს –
შენი ერი,
ხალხი, ქვეყანა,
შენი სიცოცხლის –
ნამიც იყო
მისთვის მწირველი!..

ზეფნიერება

სიავე –
სულის სიკედილა,
გნმდეთ, –
ნავსებო...
რა დიადია
გული, როცა –
სხივით ივსება!..
ბედნიერება სამყაროზე, –
თუ, რამ,
არსებობს,
ეს, –
სიცოცხლეა,
სიყვარული,
მზე და... ლირსება...
27. I. 2025



როლანდ გიორგის

18



მარტინ და გიორგის მითის მიზანი მარტინის გადასაცემი და გიორგის გადასაცემი იყო.

სახელი მარტინი და გიორგი

უნდა გიორგი, უკმინდა და თან ფიქრობდა, წევდა რა უნდა ჩემგნ, რაგომ მიაშნობს თავის წხოვრების შესახებ. სანდახან რა მწყობრად და საინტერესოდ ხაურობს. ლმერ-ონ, ამომახსნევინე, რა იმაღლება ამ პიროვნების მიღმა. ფიქრის ჩათავერა კი ვერ მოახსრო, უწოდი ფეხზე რომ ხამოიჭრა, ჰეროს ხელი მოუქნია, თოვეოს კაჯ სილა გაახნოა და შესკვირა:

— ალარ ჩამომშორდული, მათინჭო სულო? რაფ არ უნდა მერძოლო, შენი არასფეროს გავხდები.

რ. გიორგაძე

ობობას ქსელივითაა დასერილი სამყაროს გზები

წვიმიანი დღეების შემდეგ, როგორც იქნა, გამოიდარა. შენ კი ბუზღუნებდი, აღარ დაადგა საშველი გამოდარებასო. ცვალებადია სამყარო და იმიტომაა ლამაზი. წლები ადამიანს ადინჯებს, შენ კი უფრო და უფრო მოუთმენელი ხდები, სად გეჩქარება? ზედმეტია ეგ ფორიაქი. ჩემი ნების გარეშე ხდება ყველაფერი. არ მოდუნდე, ითხიზლე. ნეტავ შეიძლებოდეს გონების გადატვირთვა, ქვეცნობიერში დალექილი მიძინებული ფუჭი და დამაზიანებელი აზრების ამოშანთვა. მოგკლავს ოცნებები. მცდარი აზრების ტყვეობაში ხარ, შემართება გაკლია. უნდა გამოფხიზლდე, ძმაო, უნდა გაიღვიძო, უნდა გამოხვიდე დამლუბველი ფიქრების ტყვეობიდან. სად ვიპოვო სათანადო ძალისხმევა? ძალისხმევა რწმენაშია. უნდა გწამდეს რომ გაიმარჯვება. ხომ გაგიგონია, ყველა წინააღმდეგობა რწმენით დაიძლევაო. შეუეჭვებელი რწმენა გჭირდება, რომ ყველა წინააღმდეგობას დაძლევ და დაამარცხებ, მაგრამ რწმენის მოპოვებასაც დიდი ბრძოლა, შრომა სჭირდება. შენ კი ხელი ჩაგიქნევია, მოწყენილობის ჭირსაც ეგუები, რომელიც მახრჩობელა გველივით ნელ-ნელა გთანგავს. ისიც კარგად იცი, რომ მარტო ამ ბრძოლაში მაინც ვერ გაიმარჯვებ, თუ ზეციური შემწეობა არ გექნა. ერთი სწორი გზა უნდა აირჩიო, ერთადერთი - ლვთის გზაა ეს გზა.

ამას წინათ ქუჩაში ხეტიალისას ნაცნობ რედაქტორს გადაეყარე - გაგიხარდა, მიკითხ-მოკითხეთ ერთმანეთი და ნელი ბაასით გააგრძელეთ გზა.

— რამდენი ხანია ჩემთვის არაფერი მოგიტანია. — გისაყვედურა რედაქტორმა, — რაღაც ახალი მინდა, განსხვავებული. ხომ ხედავ, წიგნმა მკითხველი დაკარგა.

— ჩემ ასაკში რა უნდა დავწერო ისეთი ორიგინალური, შენს უურნალს მკითხველი რომ გავუზარდო? — უპასუხე შენ.

— ასაკს ეგრე ალმაცერად ნუ უყურებ. შენც კარგად მოგეხსენება, მხცოვანების ასაკში რა შედევრები შექმნეს გოეთემ, ჰიუგომ.

— ხუმრობ რალა.

— არა, მთელი სერიოზულობით გეუბნები. პონორარსაც კარგს მოგცემ.

— მოდი, თუ ძმა ხარ, ოცნებებს შევეშვათ. ბალის ბოლოს სახინკლეა. შევიდეთ, ხინკალი, ცივი ლუდი და ცოტა არაყი სხვა განზომილებაში გადავგიყვანს.

მეგობრებმა გეზი სახინკლისკენ აიღეს.

— იფიქრე ჩემს წინადადებაზე, — მხარზე ხელი მოუთათუნა რედაქტორმა.

— რაო, განსხვავებულიო? — ფიქრობდა გიორგი და წინვოვანი ტყის ბილიქს მიუყვებოდა. მთის ჯანსაღ მჯურნალ ჰაერს ნება-ნება ისუნთქავდა, შეჰერებდა ცამდე ატყორცნილ წინვოვან ხეებს, რომლებიც ქარის ოდნავი დაბერვისას ნაჯაფარი კაცივით სუნთქავდნენ, თითქოს ერთმანეთს ეჩურჩეულებოდნენ.

შვილებმა დაბადების დღესთან დაკავშირებით საჩუქარი მოუმზადეს — საგზური მაღალმთან კურორტზე. ზაფხული ჯერ კიდევ არ იყო კარგად შესული ძალაში, მაგრამ ქალაქში უკვე შემანუბებლად ცხელოდა. აქ კი სასიამოვნოდ გრილოდა. გრილოდა კი არა, ხანდახან გვარიანადაც ციოდა.

გათენდებოდა თუ არა, გამოდიოდა საცხოვრებლიდან და ადგილმდებარეობას სწავლობდა. იმ დღესაც ჩვეულებისამებრ მიუყვებოდა გზის. გზის ერთ მხარეს — ფერდობს შეფენილი ტყე, გზის მეორე მხარეს — საცხოვრებელი კომპლექსი, იმის მიღმა — ისევ უკიდეგანოდ გაშლილი ტყე, მათ ზემოთ კი — უმცენარო, მოტიტვლებული, მრგვალთავიანი მთები, რომელთა ხევ-ხუვებში ჯერ კიდევ შემორჩენილიყო უბინოებადაკარგული თოვლი. ძალიან აინტერესებდა ტყის

მცენარეები. ფიქრობდა, ადგილო-
ბრივებს დაგეკითხებით.

დაჭრდილი ცხენების თქა-
რათქურმა უკან მიახედა, ახალ-
გაზრდა მხედრები თოხარიკით
მიუყვებოდნენ მოასფალტებულ
გზას და ერთმანეთში მხიარულად
საუბრობდნენ. როგორც შემდეგ
გაარკვია პატარა ბიზნესი ჰქონი-
ათ და გარკვეული გასამრჯელოს
ფასად დამსვენებლებს ასეირნებდ-
ნენ. განსაკუთრებით ბაზების უხ-
აროდათ ცხენზე შეჯდომა. დინჯი,
თვინიერი ცხენები იყვნენ. ხუჭუ-
ჭა, გრძელთმიანმა ბიჭმა, რომელ-
საც ნავარდისას ისე გაპტურდნოდა თმები, რომ
თვალები თითქმის აღარ უჩანდა, ცხენი შეათამა-
შა და ხალისიანად ჰკითხ:

– ხომ არ გაისეირნებდით?
– ნამეტანი დინჯია შენი ცხენი, მე უფრო
ფიცხელი ცხენები მომზონს, – უთხრა ლიმილით.
ახალგაზრდამ ცხენი შეაჩერა და დაკვირვე-
ბით შეათვალიერა ჭალარა კაცი, მერე გულიანად
გადაიხარხა:

– ვაფასებ, ბაბუა, თქვენს იუმორს. ისე, ეგე-
თი ცხენებიც გვყავს, იმედია, ისევ შევხვდებით, –
მერე ბიჭმა წინ მიმავალი მხედრებისკენ გაიხედა,
ლაგამი მიუშვა, ცხენს მსუბუქად ჰკრა დეზი და
წკაპა-წკუპით გაეშურა თანატოლებისაკენ
ცხენისნები ჩირთით გაუდგნენ გზას.

ამხედრდიო, კაცო, ამხედრდიო. ჩემი ხნის კა-
ცის ამხედრება იქნება? რომ გადმოგაგდის, ხომ
მომქრა თავი. აბა, იმას ხომ არ ვეტყოდი, შევშინ-
დიო. ისე, შეიძლება, მოსინჯოს კაცმა. წინაპრები
ლამის კუბოს კარამდე მისულნი დააგელვებდნენ
ცხენებს, იმიტომაც იყვნენ გამართულნი და ჯან-
მრთელები.

მოსახვეს რომ გაცდა, გზის პირას ჩამომჯ-
დარი მოსაუბრე კაცები შენიშვა.

– კაი გამარჯობა, მეგობრებო! – მიესალმა
ლიმილით.

კაცები წამოინივნენ და გამარჯობას გამარ-
ჯობით უპასუხეს.

– როგორც გეტყობათ, ადგილობრივე-
ბი ბრძანდებით. შეკითხვა მაქვს თქვენთან. თუ
ნამეტნაგად არ შეწუხდებით, იქნებ მიპასუხოთ,
– დაინყო მორიდებით, – გათენდება თუ არა,
სიხარულით და ალმაფრენით შევცექრი ამ სილ-
ამაზეს. ვუსმენ ცამდე ატყორცილი ხეების ჩურ-
ჩურლს. წარმოგიდგენიათ, თითქოს მესაუბრე-
ბიან, მაგრამ სამწუხაროდ არ მესმის მათი ენა.
იქნებ გამარკვიოთ, რა სახეობის მცენარეებია ამ
ტყეში.

პატარა დუმილის შემდეგ ფეხზე წამოიშალ-
ნენ. ერთმა მათგანმა ცოტა გაკვირვებით შეხედა,
მერე ტყისკენ გაექცა მზერა და თქვა:



როლად გიორგაძე

– მაგ საქმეში იმედა თუ
დაგეხმარებათ. ხის ოსტატია, შეი-
ძლება ითქვას, დურგალი, შეიძლე-
ბა ითქვას, ხის მხატვრულად დამ-
მუშავებელი.

იმედას სინითლემ გადაჰკრა
სახეზე, თითქოს დაიმორცხვაო:

– აბა, რა გითხრათ, პროფე-
სიით მძღოლი ვარ, მგზავრები
გადამყავს უბინდან უბანში. ხეზე
მუშაობა კი ჩემთვის გატაცებაა.
ყველაფრის მცოდნეობას ვერ და-
ვიჩემებ, მაგრამ რაც ვიცი, იმის
შესახებ შემიძლია, მოგითხოოთ.
როგორც ხედავთ, აქ ძირითა-

დად წინვოვანი ტყეა: ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, არის
აგრეთვე ფოთლოვანი მცენარეები – მუხა, წიფე-
ლა, მურყანი, რცხილა, ნეკერჩხალი და კიდევ
სხვები, რომელთა სახელები, სამწუხაროდ, არც
მე ვიცი. რაც უფრო მაღლა აუყვებით მთას, წი-
წოვანთა და ფოთლოვანთა საფარი მცირდება,
მათ ადგილს კენკროვნები იკავებენ: ჭანავი, ჯახ-
ველა, ქალაქელები ძახველს ეძახიან, მისი ნაყენი
უებარი წამალია ხელებისას. როცა ნაყოფით
დაიხუნდლება, არაფერი სჯობს მის ნახვას, განსა-
კუთრებით მაშინ, როცა დაათოვს. აწითლებული
მორცხვი ქალწულებივით იმზირებიან თოვლის
საფარიდან. ნაყოფი ცოტა მუავეა, მაგრამ ძალზე
არომატული. ასევე შეხვდებით მოცვს და თხილს.
ხო, კიდევ დეკა, კინაღამ გამომრჩა, მის ფოთ-
ლებს ჩაისავით ვაყენებთ.

ძალზე ენანწყლიანი, კეთილმოსურნე ადამიანი
აღმოჩნდა იმედა. როგორც ჩანდა, გულმართალი
და ალალი კაცი იყო.

– იმედა ბატონო, იქნებ დამდოთ პატივი და
ამიხსნათ, რომელია სოჭი, არასდროს მინახავს.

– მაგაზე ადვილი რაა, – იმედამ გაიცინა,
კარგი ნაცნობივით ხელი გამოსდო და საცხოვრე-
ბელი კომპლექსისკენ გაუძლევა, – ეს წინვოვნე-
ბი კარგა ხნის გადმორგულია. აბა, დააკვირდი,
მდინარეზე გადასვლისას კაბააკალთავებული
ქალებივით რომ აუკეცავთ ტოტები, ნაძვებია.
ესენი ფიჭვებია – ნახე, როგორი ტოტები აქვთ,
ოდნავ დაშვებული, მაგრამ მაინც ჰორიზონტა-
ლური, სახლზე გადმოკიდებული აივნებივით. ეს
კი სოჭია, თანაც ვერცხლისფერი, წითელ წიგნშია
შეტანილი. მის გვერდით რომ დგას, ეგეც სო-
ჭია, ოღონდ მწვანე ფერის. განსხვავება მხოლოდ
ფერშია. ფიჭვი და სოჭი ძალიან ჰგვანან ერთ-
მანეთს, წინვის სიგრძეშია განსხვავება. ფიჭვებს
შეიძლება ოდნავ გრძელი წინვები ჰქონდეთ. ნაძ-
ვი და ფიჭვი მერქნის აგებულებითაც განსხვა-
ვდებიან. ფიჭვის კანი დახეთქილი და ღარიანია,
ნაძვის – მთლიანი, ღარების გარეშე. დურგლებს
ნაძვი ურჩევიათ სამუშაოდ, უფრო მყარია და
დიდხანს ძლებს. სოჭის მერქანი კი უფრო რბილ-





ია. ამდენი ხანია, ვსაუბრობთ, კარგი იქნება, თუ ერთმანეთს გავიცნობთ.

— გიორგი, ჩემო ბატონო.

— ჩემი სახელი კი უკვე იცით. მე, წელანაც ვთქვი, ავტობუსის მძღოლი ვარ. თუ დრო გაქვთ, შემიძლია ეს პატარა დაბა შემოგატაროთ.

— მადლობის მეტი რა მეტქმის, ოღონდ ორი-ოდე წუთით სახლში ავირბენ.

— ათი წუთი კიდევ მაქვს დგომის დრო, — თქვა იმედამ.

გიორგი აჩქარებული ნაბიჯით, იღლიაში წიგნამოდებული, დაბრუნდა. მეზავრები ავტობუსში ჩასძინენ. იმედა გზადაგზა აჩვენებდა დასახლების ლირსშესანიშნაობებს. გიორგის უკვირდა ცხრილი ეტლების სიმრავლე, აგრე შეკაზმული ვირიც გამოჩნდა, რომელზეც ხუთიოდე წლის ბიჭი შემოსკუპულიყო.

— გიორგი ბატონო, ეს არის ცენტრი, აქვეა ბანკი, აგრარული ბაზარი, აფთიაქები და სხვა-დასხვა სავაჭრო ობიექტები.

ბანკის წინ ხალხის ჩოჩქოლმა მიიქცია გიორგის ყურადღება. შემაღლებული ადგილიდან ვიღაც კაცი ხმამაღლა ლაპარაკობდა. ხან მარჯვნინ გაიქნევდა ხელს, ხან — მარცხნივ, ხან შეჰყვირებდა და და ხან დინჯად ლაპარაკობდა.

— იმედა ბატონო, ვთქირობდი ქალაქის მიტინგობანას დავალნიერებული თავი და აქაც მიტინგი?

— არაა ეს მიტინგი, გიორგი ბატონო. ერთი უცნაური კაცია, არ უნდა იყოს მთლად დალაგებული, თითქმის ყოველდღე დაგას აქ, ლექციებს უტარებს აქ მყოფთ. მიერგია ხალხი და ალარ აქცევენ ყურადღებას. კაცმა არ იცის, საიდან ჩამოეხეტა, სახელიც კი არ ვიცით, ყველა მათხოვარს ეძახის, მათხოვრობით გააქვს თავი.

ავტობუსმა დაბას შემოურა და გიორგის საცხოვრებელთან გაჩერდა. სანამ ჩავიდოდა, მძღოლს წიგნი გაუწოდა:

— ეს თქვენ ჩემგან საჩუქრად.

იმედამ წიგნი გამოართვა, ყდას დახედა და ავტორის გვარი და სახელი წაიკითხა.

— ეს ხომ თქვენ ხართ? — იმედამ ხელები გაშალა და სახეგაბადრული შეაცექრდა. გიორგის გაეღმია, — ახლა ყველაფერი ნათელია, კი გამიკვირდა ამდენი კითხვები. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვესაუბრები ცოცხალ მწერალს. მიგულედ თქვენს მეგობრად. მე დღეგამოშვებით ვმუშაობ, აქაური ვარ, ნებისმიერი საკითხის მოგვარებაში დაგეხმარებით, გაგაცნობთ ჩემს მეგობრებს და შეგასწავლით არა მარტო ტყეს, არამედ მათ ბინადრებსაც. დროებით, გიორგი ბატონო.

— არავითარი ბატონო, უბრალოდ გიორგი, — ავტობუსიდან ჩამოდიოდა ზურგსუკან იმედას ხმა რომ მოესმა:

— რას გაიხარებს ჩემი პედაგოგი ცოლი. წიგნები მაგას უყვარს თუ უყვარს. არ დამი-

ჯერებს. სახლში რომ მიგიყვან და თავზე დაგაყენებ მერე ხომ დაიჯერებს.

გახალისებული გიორგი სახლისკენ გაემართა. სანამ კიბეს აუყვებოდა, ცას ახედა, ნისლი ცხვრის ფარასავით ეწვებოდა ხეობაში.

დილით გიორგიმ გადაწყვიტა, ფეხდაფეხ შემოვლი და დაეთვალიერებინა დაბა. სახლიდან გავიდა და მოასფალტებულ გზატყეცილს გაუყვა. დიდი ქალაქის თვპრუდამხვევ რიტმისა და გუგუნს თავდაღნებული გახალისებული მიუყვებოდა პატარა დასახლების ქუჩებს. ათვალიერებდა სახლებს, გამვლელ-გამოვლელებს, არავის არსად ეჩქარებოდა. გაოცება გამოიწვია უცხოელების სიჭარემ, განსაკუთრებით შაოსანმა ჩადრიანმა ქალებმა. სამოთხესავითაა ეს ქვეყანა, ყველა აქეთ მოისწრაფვის, მტერიც და მოყვარეც. თვალში გეცემოდა შენობებზე გაკრული მსუსხავი აბრები — იყიდება, იყიდება, იყიდება. ვაი, ჩემო თავო, რავა ყველაფერი იყიდება ამ ღვთივეურთხეულ მხარეში.

თავეკვე დაუყვა ქუჩას, ფიქრობდა, ბაზარში შევივლი და ხილს გავიყოლებო. ბაზარს იქთ, ბანკის შენობასთან, შეჯვეუფებული ხალხი შენიშნა და ცნობისმოყვარეობამ იქით გადაადგმევინა ფეხი. ბანკში შესასვლელი კიბის ბოლო საფეხურზე იდგა საკმაოდ შელანძლულსამოსიანი, წვეროსანი, ჭარმაგი, მხრებგამლილი, შეხედული მამაკაცი და ხალხს ესაუბრებოდა ხან დინჯად, ხანაც — გაცხარებით. ახლოს მივიდა, თვალებში შეაცექრდა. ორატორმა დაიუინებული მზერა იგრძნო და ჭაღარაშერეული წარბების ქვემოდან თაფლისფერი, გაცისკროვნებული თვალები შეანათა. მისმა მზერამ გიორგი თითქოს გააშემა, ყველა ძარღვი და კუნთი დაეძაბა. თვალმოუშორებლად უცქერდა უცნობი, მერე ირგვლივმყოფებს შეავლო თვალი, ბოლოს ზეცას ახედა. გიორგიმ თავპრუსხევების მაგვარი იგრძნო, მერე თითქოს თვალზე ლიბრიც გადაეკრა, მხოლოდ ხმა ესმოდა საიდანლაც, მიღმიერიდან. მომნუსხველი, მომაჯადოებელი, ხავერდოვანი რბილი ხმა. ყურში გალობასავით ჩაესმოდა:

— ფილოსოფია სიბრძნის სიყვარულს, ასეც შეიძლება ითქვას, სიბრძნის მოყვარეს ნიშნავს. ასე გვასწავლიდნენ — ფილოსოფია მეცნიერებაა, მსოფლმხედველობაა, იდეებისა და შეხედულებების სისტემაა სამყაროზე და მასში ადამიანის ადგილზე.

გაოგნებული გიორგი ვერასოდეს წარმოიდგნენდა, თუ ქუჩაში მოისმენდა ლექციას ფილოსოფიაზე და ის ასეთი სასიამოვნო მოსასმენი იქნებოდა.

კაცი აზრებით დახეტიალობდა მიწიდან ზეცისკენ და უკან — ხან დალაგებულად, ხანაც ჭკუაარეულივით. როდის-როდის დაუბრუნდა სააქაოს და ახლა დიალექტიკაზე დაიწყო საუბარი:





– მეგობრებო, დიალექტიკა არის მსჯელობა, კამათის ხელოვნება, მოძღვრება განვითარების შესახებ.

ხალხის მცირე ჯგუფი უგულისყუროდ უსმენდა, ზოგიც ოხუჯობდა, ისევ შეუბერა თავისებურადო. ზოგმა ხელი ჩაიქნა და იქაურობას გამორდა. ერთმა შუახანს მიტანებულმა გლეხმა, რომელიც ვირს ამოსდგომოდა გვერდით, თანაგრძობით თქვა:

– ისევ გარეკა ამ უბედურმა. ხან ისეთ სიბრძნეს წამოისვრის, გაოცებისგან თვალები შუბლზე აგივა, ხან კი ისეთ სისულელეს დაბრეხვებს, მისი საცოდაობით შეძრულს ტირილი მოგინდება. სადაც კი ორ-სამ კაცს ნახავს ერთად, ასეთ გაურკვეველ თემებზე ბუტურობს.

მოედანი თითქმის დაცარიელდა, გიორგი ახლოს მივიდა მოქადაგეთან და როდესაც მომხსენებელმა რაციონალიზმე დაიწყო საუბარი, მოედნიდან საერთოდ გაიკრიფა ხალხი. უცნობი დადუმდა, შეყოვნდა, მიიხედ-მოიხედა. მის წინ ერთადერთი ადამიანი იდგა. გიორგი მოკრძალებით შესპეროდა უცნობს, რომელსაც თვალები ხან აემლვრეოდა და ხანაც ისე გაუცისკროვნდებოდა, მთელ სამყაროს დაინახავდი მასში. მერე რაღაც არამინიერმა ლიმილმა დაუფარა სახე, კიბის საფეხურები დინჯად ჩამოიარა, გიორგის მიუახლოვდა, ხელი გაუწოდა, კეთილი თვალები შეანათა და უთხრა:

– გამარჯობა, მეგობარო.

გიორგიმ ხელი შეაგება და უცნობის შანთივით გავარვარებული ხელი მუჭში მოიქცია. დენის დარტყმას ჰეგვდა შეხება, ურუნტელმა თავიდან ფეხებამდე დაუარა. წუთის შემდეგ უცნობმა ხელი გაითავისუფლა და გიორგის რამდენიმე ნაბიჯით გასცდა, მერე შეყოვნდა, მობრუნდა და ჰეკითხა:

– თუ გცალიათ, პატარა გავიაროთ.

გიორგის გაელიმა:

– ჩემზე მოცლილი ახლა ეს ნაძვის ხეც კი არაა.

– მოცლილი ნაძვის ხე? – უცნობს ლიმილმა დაუფარა სახე, მერე კი ისეთი გადაიხარხარა, გამცლელების ყურადღება მიიქცია.

ერთ ხანს უბრად მიდიოდნენ. ქარიშხლიანი ფიქრები მიჯრით იჭრებოდნენ გიორგის თავში – ნეტავ ვინ არის? მგონი, ჰიპნოზორია, აბა, რანაირად მიმაჯაჭვა ერთ ადგილს?! უცნობმა თვალი შეავლო, თითქმის მიუხვდა ნაფიქრალს. სასაუზმეს ჩაუარეს, მადისამლერელი სურნელი ქუჩას მოსდებოდა. უცნობმა ფეხი შეანელა, გიორგის გვერდიდან გახედა და მორიდებით ჰეკითხა:

– თუ გაქვთ საშვალება, ორი დღის უჭმელი ვარ.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – მლელვარებით უთხრა გიორგიმ.

შევიდნენ სასაუზმეში და მაგიდას მიუსხდნენ. მალე ახალგაზრდა, მოხდენილი მიმტანი გამოჩნდა.

და.

– რას მიირთმევთ? – იკითხა მიმტანმა და გაკვირვებული თვალებით შეათვალიერა უცნობი.

გიორგიმ არჩევანი უცნობს მიანდო, რომელმაც თხოვნით უთხრა:

– თუ შეიძლება, ერთი ბოთლი წითელი ღვინო.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – დაბნეულად თქვა გიორგიმ.

უცნობმა ყურადღებით შეათვალიერა მომხიბვლელი გოგონა:

– არაფერი ისე არ ამშვენებს სამყაროს, როგორც ქალთა მოდგმა, ამოუცნობი ფენომენი. კაცი კი არ შეიქმნა ქალისათვის, არამედ ქალი კაცისთვის – პავლე მოციქულის ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი მეთერთმეტე, მუხლი თერთმეტი.

„ნეტავ ვინ არის ეს უცნაური კაცი? რაღაც გამოცანას მიწყობს წუთისოფელი, ბედისწერაა თუ შემთხვევით გადავეყარე?“ – გაიფიქრა გიორგიმ.

მას შემდეგ, თითქმის ყოველდღე, დაბარებულებივით ხვდებოდნენ ერთმანეთს ბანკთან. ხუთი კაცი მაინც რომ ყოფილიყო, უცნობი ორატორობას ინყებდა. განსაკუთრებით ფილოსოფიურ და რელიგიურ საკითხებზე მსჯელობდა. დაიწყებდა დინჯად, პატარა ხანში კი სრულიად განსხვავებულ განზომილებაში აღმოჩნდებოდა. ამ დროს იგი მინიერს აღარ გავდა, თითქმის არც იყო მინაზე, თითქმის ეს სამყარო უკაცრიელი იყო მისთვის. როდეს-როდის დაბრუნდებოდა, მიანათებდა გიორგის სიკეთით სავსე თაფლისფერ თვალებს და მორიდებით ჰეკითხავდა, შენც აქ ხარო? გიორგი შესყრდილივით დადიოდა. არავინ და აღარაფერი აინტერესებდა, გარდა ერთია, ამოეცნო ეს იდუმალი პიროვნება, ერთ წუთს ზეცნობიერი არსებასავით რომ საუპრობდა და წამის მერე ჭკუაზე გადასულივით იქცეოდა.

იმ დღეს, მორიგი გამოსვლის შემდეგ, გიორგის ხელი გამოსდო და ჩვეულებისამებრ სასაუზმისენ გასწიეს. ჩამოსხდნენ. კაცმა კითხვაჩამდგარი თვალები მიანათა გიორგის და ჰეკითხა:

– რატომ ერთხელ მაინც არ მკითხე, ვინ ვარ?

– პასუხს არ დალოდებია და განაგრძო, – ვაფასებ შეეთავსეკვებას და მოთმინებას, – ფეხზე წამოიწია, გიორგის ხელი მხარზე მეგობრულად მოუთათუნა და უთხრა, – ახლა კი ჩემთან წავიდეთ.

– ჯერ გვესადილა.

– არა, დღეს მე გიმასპინძლდები.

გაუყვნენ ქუჩას, გაცდნენ ორსართულიანი სახლების მწვრივს. გიორგი შეყოვნდა, მის წინ მხოლოდ ტრიალი მინდორი გადაშლილიყო.

– მეგობარო, რატომ შეყოვნდი?

– სად მივდივარო? – გიორგიმ გულუბრყვილოდ იკითხა.





უცნობმა წინ გაიშვირა ხელი. გიორგიმ ტყის პირას რაღაც შენობა შენიშნა. კარგა ხანს იარეს და ბოლოს უცნაურ ნაგებობას მიადგნენ.

— აი, ეს არის, მეგობარო, ჩემი სახლი, — თქვა უცნობმა ხარხარით და ლვარად მომსკდარი ოფლი ხელუკულმა მოინმინდა.

გიორგი სახტად დარჩა. ეს იყო საბძელი, ნალია, ბოსელი, თავლა — ყველაფერი, ოლონდ არა სახლი, რომლის უკანა ნაწილი ტყის სილრმეში იყო შექრილი.

— როგორ მოგნონს, მეგობარო?

გამოაფიზდა უცნობის ხმამ და სანამ პასუხს გასცემდა ფარლალალა ფიცრულის კარი ჭრიალით გააღო.

— შემოდი, შემოდი, სტუმარი ლვთისაა.

გიორგი შევიდა. ნახევრად ბნელოდა, მხოლოდ ჭუჭრუტანებიდან ირიბად შემოჭრილი მზის სხივები ანათებდა საცხოვრისს. ორი რკინის საწოლი, შუაში მაგიდა, ორი სკამი. კედელზე მიჭედებული, ხის ყუთის თავზე შემოდგმული ნავთის ლამფა და იატაკზე მიმოფანტული წიგნები. ისევ ხმაშ გამოაფიზდა:

— დაჯექი, დაჯექი.

გიორგიმ სკამი გამოაჩინა და ფრთხილად ჩამოჯდა. უცნობიც ჩამოჯდა. ლრიჭობიან მაგიდაზე საჭმელი ელაგა. შუაში მრგვლად მოხარ-შელი დედალი, გარშემო ხაჭაპურები, დანამული დოქი, მწვანილი, კიტრი, პამიდორი, ნიგვზიანი ბადრიჯანი და ორი ბორჯომის ბოთლი. უცნობმა გიორგის გაკვირვებულ სახეს რომ შეხედა კეთილად გაულიმა.

— მოთმინება, მეგობარო, მოთმინება. სიმშვიდისა და მოთმინების წინაშე ყველაზე ბოროტი ძალაც კი უძლურია. რა თქმა უნდა, ჩემი სახელი გაინტერესებს, — ცოტა ხანს შეყოვნდა, მერე გაილიმა და განაგრძო, — ისე, სახელს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, სახელს მიღმა რა იმაღება. ჩემი სახელი მათხოვარია, ასე მიცნობს ყველა.

„ჯერ კიდევ არ მენდობა“ — გაიფიქრა გიორგიმ.

— ისე, ყველანი ლვთის გლახები ვართ, ხელი ლვთისკენ გვაქვს გამვერილი. ორაზროვანი მსჯელობა, დედამინის ზურგზე ჯერ არ დაბადებულა ადამიანი, ბოლომდე გულწრფელი რომ იყოს. დაველოდები, დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, — მათხოვარი განაგრძობდა, — ყველაზე რთული ადამიანის ბუნების შეცნობაა. რამდენ მეგობარს უღალატნია, რამდენს კრიტიკულ მომენტში შეუქცევა ზურგი. ზირაქი ამბობს: თუ მეგობრის შეძენა გსურს, განსაცდელში შეიძინება და მყისვე ნუ მიენდობით. ერთგული მეგობარი მტკიცე სიმაგრეა, მისი მპოვნელი საგანძურის მპოვნელია, — თქვა და დადუმდა. მერე ფეხზე წამოდგა, შუპლშეჭმუნილმა ფრთხილი ნაბიჯებით გაიარ-გამოიარა, სადღაც უსიერში ქროდა მისი გონება. შემდეგ ისევ ჩამოჯდა და

შუბლიდან საავდრო ღრუბლებგადაყრილი დიდხანს ლიმილშეპარული სახით მიაჩირდა გიორგის. მტანჯველი დუმილის შემდეგ, როგორც იქნა, ხმა ამოილო, — ამბიციურ და პატივმოყვარე ადამიანს მეგობრობა არ შეუძლია. ჭკვიანი კაცი ყოველთვის მოერიდება ქებისმოყვარე და მაქებარ ადამიანს.

„ნეტავ რას ელის ჩემგან?“ — ძლივს მოასწრო გიორგიმ გაფიქრება, უცნობმა გულთამხილველივით რომ თქვა:

— გაკვირვებული თვალებით მიყურებ, ცალკერდ შიში გაგვრავს ხოლმე გულში, ცალკერდ ცნობისმოყვარების გელაცა, თუ ვინ ვარ — მიწიერი არსება, თუ მოჩვენება. პა, რას მეტყვი გიორგი? — შეყოვნდა, თითქოს პასუხს ელოდა, წამის მერე კი დასძინა, — არც ერთი შენი პასუხი არ იქნება ჭეშმარიტებასთან ახლოს, მე თვითონაც არ ვიცი, ვინ ვარ. ისიც ვერ ამიხსნია, რატომ დაგიახლოვდი, მაგრამ იმას კი ვგრძნობ, შენი გამოჩენით ჩემში რაღაც რომ შეიცვალა. წუთისოფელი ამოუცნობი მოვლენებითაა სავსე, ჩვეულებრივმა, თითქოსდა უმნიშვნელო შემთხვევამ, პატარა დეტალმა შეიძლება, მთელი შენი მომვალი ცხოვრება განსაზღვროს, შეცვალოს და ამოატრიალოს. ათო-თერთმეტი წლის ვიქენებოდი, ერთ საღამოს მეზობლის მეათეკალასელი გოგო დედაჩემთან რომ მოვიდა და უთხრა, მარტო ვარ სახლში, ლამით მარტო დარჩენის მეშინია და იქნებ შენი შვილი გამოუშვა ჩემთანო, ხმის გამცემი რომ მეყოლება, აღარ შემშინდებაო. ჩვენთან დარჩიო, უთხრა დედაჩემმა. არა, სახლს მარტო ვერ დავტოვებო. დედაჩემმა მითხრა, აბა, შენ იცი, ტარიელ მკლავაძე, გოგოს ვინმებ ბუზი არ აუფრიონსო. ნათქვამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და მეზობელს გავყევი. ყველაზე მეტად რამაც გამაკვირვა ის იყო, რომ იმ ლამეს იმ გოგომ თავისთან დამინვინა. მე მალე დამეძინა. ხანდახან უჩვეულო შეხება გამომაღვიძებდა ხოლმე, მაგრამ მალევე ვიძინებდი. ის ლამეც ჩვეულებრივად გათენდა, როგორც სხვა ლამები გათენებულა. ვითომ არაფერი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ უცნაურობები დამეწყო, რაღაც შეიცვალა ჩემში. თითქოს ვიღაც სხვა ჩამისახლდა სხეულში. დაწოლისთანავე ვიძინებდი, მერე ვდგებოდი და დავდიოდი. თითქოს ამაში უჩვეულო არაფერია, მაგრამ მე მძინარე დავდიოდ. ასეთ ადამიანებს მთვარეულებს ეძახიან. შეწუხდნენ ჩემები და ექიმთან ნამიყვანეს. დიდხანს მიკვლევდნენ და ბოლოს, როგორც იქნა, დიაგნოზი დასვეს — „დიონცეფალური პაროქ-სიზმები“. ფიზიკურად კი ვიყავი მინაზე, მაგრამ ჩემი სული სად დაეხეტებოდა, ამის ახსნა მე არ შემეძლო, ყველაფერი ბურუსში იყო გახვეული. თითქოს რაღაც უსხეულო და უფორმო არსებებს ვხედავდი, რომლებიც არაფერს მეუბნებოდნენ. საკვირველი ის იყო, რომ არ მეშინოდა. ადვილად ვმოძრაობდი, სხეულს ვერ ვგრძნობდი, თითქოს უნონო ვიყავი. მოვლენების აღემას ვერ



ვასწრებდი, რომ რაღაც ძალა მალეიძებდა. და კიდევ ერთი, იმ ღამისა შემდეგ გამიჩნდა გაუცნობიერებელი ინტერესი გოგონებისადმი. ასაკთან ერთად ლტოლვა და ინტერესი საწინააღმდეგო სქესის მიმართ სულ უფრო მიმძაფრდებოდა. შეხედული, წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი ვიყავი, გოგობი ადონისს მეძახდნენ – გეცოდინებათ, მამაკაცური სილამაზის ეტალონი ბერძნულ მითოლოგიაში. შინაგანად ძალზე მორცხვი ვიყავი და დიდ ყურადღებას მათ მიმართ არ ვიჩენდი. ამის გამო ბევრი ფარულად თუ აშკარად მტრობდა. ერთ საღამოს ბაბუამ მითხრა – შენ, ბაბუა, მოხდენილი ვაჟკაცი ხარ და ქალებს მუდამ დააინტერესებ. უნდა გახსოვდეს, ღმერთმა ერთი ქალი გვიპოძა თანამეცხედრედ. შეურყვნელად უნდა შეინახოს სარეცელი კაცმაც და ქალმაცო. ბოლო კლასებში ფიზიკა-მათემატიკამ გამოტაცა, შემდგომში ფილოსოფიამ და რელიგიამ. ღამეულ სიზმრებს, მოჩვენებებს, დაუცხრომელ ლტოლვას საწინააღმდეგო სქესისადმი სწავლით და ფიზიკური ვარჯიშით ვთრგუნავდი. ეს ყველაფერი არაადამიანურ ძალისხმევას მოითხოვდა ჩემგან. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ძალზე დამაინტერესა ბირთვულმა ფიზიკამ. მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიე ამ სფეროში, ვესწრებოდი სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რუსეთში რომელიღაც დახურულ ინსტიტუტში მიმინვეის. საიდუმლო იარაღზე უნდა მემუშავა. დამებას ვათენებდი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფრის ინტერესი დავკარგე. მე დამოუკიდებელ სამშობლოზე ვოცნებობდი და თუ რამეს შექმნას შევძლებდი, ჩემი ქვეყნისთვის უნდა შემექმნა. ეს კი იმ დროს ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ძალზე უგულისყურო გავხდი. ამასთან ძილში ღამის ზმანებები და ხეტიალი გამიმძაფრდა. მიყურეს, მიყურეს და ბოლოს უკან გამომიშვეს. საიდუმლო იარაღის შექმნის იდეა კი მოსვენებას არ მაძლევდა. თავდაცვის სისტემაზე ვმუშაობდი, რომელიც გამოსროლილ ჭურვს თუ ქობინს უკანვე დააბრუნებდა. ჩამოვედო და ფიზიკის ინსტიტუტში დავიწყე საქმიანობა.

იჯდა გიორგი, უსმენდა და თან ფიქრობდა, ნეტავ რა უნდა ჩემგან, რატომ მიამბობს თავის ცხოვრების შესახებ. ხანდახან რა მწყობრად და საინტერესოდ საუბრობს. ღმერთო, ამომახსნევინე, რა იმალება ამ პიროვნების მიღმა.

ფიქრის ჩათავებაც კი ვერ მოასწორო, უცნობი ფეხზე რომ წამოიჭრა, ჰაერს ხელი მოუქნია, თითქოს კაცს სილა გაანნაო და შეჰვირა:

– აღარ ჩამომშორდები, მახინჯო სულო? რაც არ უნდა მებრძოლო, შენი არასდროს გაეხდები.

უცებ ეს ახოვანი მამაკაცი მოსხლეტით დაენარცხა იატაკს. გორავდა, თითქოს ვიღაცას ეჭიდებოდა, თავის დაღწევას ცდილობდა,



23

მხატვარი სოფიო ჭელიძე

გაურკვეველ სიტყვებს ისროდა. გიორგი ახლოს მიევიდა, უნდოდა, ფეხზე წამოყენებინა. ძირს მფორთხავმა წამოინია, ამღვრეული თვალებით შეხედა და ისეთი შემოჰკრა, ბურთივით მოისროლა კუთხეში. გიორგი მაინც არ შეეპუა, ფეხზე წამოვარდა, გახსენდა მთვარეულებს წყალი აფხიზლებსა, დასწვდა ბორჯომის ბოთლს და სითხე სახეში შეასხა. შეკრთა მბორგავი და ზურგით იატაკზე გაიშხლართა. ცოცხალი ადამიანის ნიშან-წყალი ალარ ეტყობოდა. შეშინებული გიორგი ისტიქტურად დოქს დასწვდა, ჭიქა ღვინით შეასხა, პირი გაუღო და ერთი ყლუპი დაალევინა. უცნობმა თვალი გაახილა, წამოდგა, სკამზე ჩამოჯდა, მზერა გიორგის მიაპყრო და დაბნეულმა იკითხა:

– რა მოხდა?

გიორგის არაფერი უპასუხია, ღვინით სავსე ჭიქა სულმოუთქმელად გადაჰკრა და სადგომიდან გამოვიდა.

იმ უჩევულო დღის შემდეგ გიორგი სახლს აღარ გასცილებია. ხან იჯდა, ხან იწვა, ხან წიგნს გადაშლიდა, მაგრამ გულს ვერაფერს უდებდა, მხოლოდ თავის თავს ებასასებოდა – ახია შენზე, დასასვენებლად ჩამოხვედი და რა თავგადასავლები აგიტყდა. დატკბი ბუნების მშვენიერებით. დასვენების მაგივრად ღამები არ გძინავს. შეეშვი იმ კაცზე ფიქრს, როგორც ჩანს, ავადმყოფია, თავის გაჭირვება ეყოფა. რამდენი დამსვენებელია ამ დაბაში, რომელი ერთი დაუახლოვდა, ან რომელ ერთს გადაუშალა გული? შეეშვი, რამე შარსა და

ოლქა №2, 2025





ხათაბალაში არ გაყო თავი. უნდოდა, დაევიწყებინა უცნობი, მაგრამ მისი ხატება თავში ლურსა-მანივით ჩასჭედოდა, რაზეც არ უნდა ეფიქრა საბოლოოდ მაინც უცნობზე ჩერდებოდა.

უძილობით გატანჯული მომდევნო დღეს ადრიანად წამოვარდა ზეზე და ბევრი ფიქრისა და ყოყმანის გარეშე დაბის ცენტრისკენ გასწია. ლამის ზმანებებმა მოსვენება დაუკარგა. უცნობის ხატებას ჭრილობასავით დაეღო პირი. ამოუცნობი, რაღაც დაუძლეველი ძალა მისენ მიაქანებდა. როგორც იქნა, მიაღწია ბანკამდე. უცნობი კიბეზე ორ ძალლს შეუ ჩამომჯდარიყო და გიორგის გა-ოცება რომ შეატყო, მშვიდად უთხრა:

— ეს ძალლები ჩემი ყველაზე ერთგული მეგობრები არიან, რომლებიც არასოდეს მიგატოვებენ განსაცდელში და არასოდეს გილალატებენ, — ძალლებს თავზე ხელი გადაუსვა, ფეხზე წამოდგა, გიორგის გადეხვია და ცრემლი წასკდა.

გიორგიმ ძლიერ შეიკავა თავი, რომ არ აცრემლებულიყო.

— ეჱ, ჩემო გიორგი, მარტოსულობა კაცობრიობის ყველაზე დიდი სატყივარია და მის დაძლევას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. დიდი მოაზროვნები ბევრს ფიქრობდნენ ამ დილემაზე, ეგზისტენციალიზმის მთელი აზრი სარტრთან ერთ ფრაზაშია მოქცეული — „არსებობა წინ უსწრებს არსა“, ანუ ადამიანი ჯერ არსებობს, შემდეგ განსაზღვრავს თავის თავს. ადამიანი მარტო სამყაროში და არანაირი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდესო. საკამათოა, მაგრამ მეც დაახლოებით ასე ვფიქრობ. მხოლოდ ჭეშმარიტი მორწმუნენი არ იტანჯებიან მარტოსულობით, მათთან ყოველთვის უზენაესია. არ ვიცი, როგორ ამოხტა ეს ფრაზა ქვეცნობიერიდან. არც ის ვიცი, ვინაა ავტორი. რაღაც ამოუცნობი მოვლენები ხდება ჩემს თავს. ხშირად ვერ ვისხენებ, ცოტა ხნის წინ რაზე ვფიქრობდი, მაგრამ ზეპირად შემიძლია, მოვიყვანო ციტატები წლების წინ თვალგადავლებული ტექსტებიდან. მე ხან აქ ვარ, ხან — იქ. რაც იმ დღეს ჩემ სახლში მოხდა, ჩემი ნების გარეშე მოხდა, ისე შეგაშინე, დაბიდან აბარგებასაც კი აპირებდი. სამწეაროდ ვერ ვარ ჩემი ნებელობის ბატონ-პატრონი. ასეთ კაცთან ურთიერთობა და მეგობრობა ძალზე რთულია. იმიტომ ვარ მარტო სული და ეული.

მოედანზე ხალხის ნაკადმა იმატა. ზოგნი ჯგუფ ჯგუფად იდნგენ და ერთმანეთს ემუსაიფებიდნენ, რაღაც ამბებს ჰყვებოდნენ და შიგადაშიგ იცინოდნენ კიდეც. უცნობი ფეხზე წამომართა და იქაურობას თვალი მოავლო. მერე გიორგის მიმართა:

— ხედავ, აუდიტორია უკვე შევსებულია, ჩემი გამოსვლის დროა. დიდ მადლობას მოგახსენებთ, მეგობრებო, მობრძანებისთვის. ჩვენი დღევანდელი განხილვის თემა მნერლობაა. მოგეხსენებათ, რომ კაცობრიობა დიდად დავალებულია

მწერლების მიმართ. მნერალი იმ ეპოქის უნებლივ მემატიანეა, რომელშიაც უხდება ცხოვრება. თვალნათლივ სურათს გვიხატავს საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი პრინციპებისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. ჩემზე წარუშლელი კვალი დატოვა ილიას „ივერიამ“. ვფურცლავდი და ცხვირში მეღიტინებოდა მეცხრამეტე საუკუნის სურნელი. თითქოს კინომატიანეს ვუცქერდი. ყველა საუკუნეს თავისი დამახასიათებელი სურნელი აქვს. მწერალი ან ღმერთთანაა ან სატანასთან. სულიმინდის მიერ შთაგონებული წანარმოებები მორალურ-ზნეობრივია, დაცუმული ანგელოზების მიერ შთაგონებული გამრყენელ-დამამდაბლებელი ქვენაგრძნობების გამღმერთებელი. მწერალს ყოველთვის უნდა ახსოვდეს არისტოტელეს კათარსისის თეორია, რომლის თანახმადაც, ლიტერატურულ წანამოებს ევალება ადამიანის სულიერი განწმენდა.

დროში შეუზღუდავი ორატორი გაუჩერებლად საუბრობდა, ვის ალარ გადასწვდა. ჩარლზ დიკენსს შემოქმედება მოუნინა, მაგრამ საციილი დაუწუნა. ათი შვილის პატრონმა ოჯახი დაანგრია და ვიღაც ჩვიდმეტი წლის გომბიოს გაეკიდაო. გიორგის გასაკვირად, ამჯერად უცნობი დინჯად საუბრობდა, ემოციების გარეშე, ერთხელაც არ შეუყვირია. ხალხი კი, როგორც ცხოვრების კიბეზე, ისე ადიოდ-ჩამოდიოდა ბანები ამავალ საფეხურებზე. გაიხედავდნენ შელანძღულსამოსიან ორატორისკენ, პატარა ხანს შეყოვნდებოდნენ, ზოგიერთი ხურდა ფულს ჩაუგდებდა ხის თეფზე, ზოგიც შესაბრალისად თავს გადააქევდა და უკანიოუხედავად მიღიოდნენ. უცნობმა მცირე ხნით შეწყვიტა საუბარი, მიმოიხედა, გაიარ-გამოიარა, თან დაუინებით უცქერდა შეთელებულ მასას, გეგონებოდა, ვიღაცას ეძებსო. მერე ორივე ხელით ჭალარა თმებით უკან გადაივარცხნა და ისევ განაგრძო.

გიორგიმაც მოავლო თვალი პატარა მოედანს — კაციშვილი არ უსმენდა ორატორს. მოედანიც თითქმის დაცარიელდა. მისდა გასაკვირად, მანაც ყოველგვარი ინტერესი დაკარგა მქადაგებლის მიმართ, საშინელი მოწყენილობა დაეუფლა, ისევ იჩინა თავი ყველაფრის დამთრგუზელმა ვერაგმა სენმა, არადა, ეგონა, რომ თავი დააღწია. ამ აღმოჩენამ გააკვირვა და შეაშინა. მოეშვა, მოდუნდა, მოითენთა, თითქოს მუხლებში ძალა გამოეცალა და წაქცევის შიშმა კიბეზე ჩამოაჯინა. ნაწყვეტნაწყვეტ ესმოდა მფრინავი ფრაზები. ამჯერად ოსკარ უაილდზე საუბრობდა — ჰედონისტური მიმართულების მიმდევარი იყოო, რომლის მიხედვითაც განცხრომა და სიამოვნება წარმოადგენს ცხოვრების ნამდვილ მიზანს და უდიდეს სიკეთესო. ისე კი განსაკუთრებული ტალანტი ჰქონდა. ანდრეე ჟიდთან საუბარში სინანულით უღიარებია, რომ გენიოსობისკენ მოწოდება პირად ცხოვრებას შესწირა. არა მარტო შემოქმედებით





ფასდება მწერალი, არამედ მისი პირადი ცხოვრებით. გაგონილი გექნებათ ინგლისური გამოთქმა: „მშვენიერია მხოლოდ ის, ვისი მოქმედებაც მშვენიერია“.

გიორგი ძალზე ცუდად გრძნობდა თავს, ისევ შიშმა შეიძყორ. გონება არ დავკარგოო, გაიფიქრა, ძლიერ წამოინია ფეხზე და მოედნის ბოლოსკენ გაემართა. პატარა შადრევანთან ჩამოჯდა, პეშვით წყალი ამოილო და სახეზე შეისხა, ცოტა კიდეც მოსვა. მოედანი გაუკაცრიელებულიყო. მხოლოდ უცნობი იდგა კიბის თავში და ვიღაცას ესაუბრებოდა. გაუკირდა, არასდროს უნახავს ვინმესთან მოსაუბრე. ახალგაზრდა კაცი იყო, ბანკის თანამშრომლის უნიფორმა ეცვა. მცირებანს ისაუბრეს, მერე ახლგაზრდამ უცნობს პატარა ჩანთა გაუწოდა და ბანკში შევიდა.

გიორგის დარჩენა აღარ უნდოდა და წასვლაც ეუხერხულებოდა. თავჩალუნულს უცნობი მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო. გიორგიმ თავი წამოსწია, უცნობი ძალზე სერიოზული სახით უცქერდა.

— გიორგი, ცუდად გამოიყურები, გადალილი სახე გაქვს, ეს მოჭარბებულმა ემოციებმა იცის. უმჯობესი იქნება, თუ წახვალ და დაისვენებ. მეც უნდა წავიდე, — მეტი არაფერი უთქვამს, შებრუნდა და წავიდა.

გიორგი პატარაბანს კიდევ იჯდა, მერე წამოდგა და სახლისაკენ მიმავალ ქუჩას გაუყვა. ტყუულიად ფიქრობს ადამიანი, რომ ის მარტოა. ფიქრი ხომ ცოცხალი ადამიანის თანმდევია. ქუჩაში კი ხალხის მასა მდორედ მიედინებოდა. მხიარულობდნენ, იციონდნენ, რაღაც ამბებს ჰყვებოდნენ. ბავშვები ცელქობდნენ, დიდები ამუნათებდნენ. გზის ერთ მხარეს ფერდობს მიჯრით ჩანყობილი დასასვენებელი სახლები იწონებდნენ თავს. მათ ზემოთ კი წიწვარი, უფრო ზემოთ — უკიდეგანო ცა. გზის მეორე მხარეს ვრცელი მინდორი, რომლის ბოლო ტყის კიდეს მიწვდენოდა. აქვე იყო ავტობუსის გაჩერება, უფრო ქვემოთ კვალრიციკლების გასაქირავებელი პუნქტი და საჯინიბი. აქ ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. ერთობოდნენ, ისვენებდნენ, ცხენებს დააგელვებდნენ. გიორგის უკიდან ხმა მოესმა:

— ბაბუ, ბაბუ!

შეყოვნდა, შეტრიალდა, მისკენ თმაგაჩეჩილი ახალგაზრდა ღიმილით მოემართებოდა. მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა:

— ბაბუ, ძალიან ჩაფიქრებული მოდიოდით და არ შემეძლო, რომ არ შეგხმიანებოდით. აქ არ არის სევდის ადგილი, აქ მხიარულების და სიცოცხლის ადგილია.

გიორგის გაელიმა და ახალგაზრდას ხელი ჩამოართვა.

— ალბათ შეეჩიეთ და შეეგუეთ აქაურობას, — უთხრა ბიჭმა.

— როდესაც შევეგუე და შევეჩიე, მაშინ მოვ-

იდა აქურობის დატევების დრო.

— ბაბუ, დედა მყავს იმერელი. საოცარია, მაგრამ ძალიან გავხარ ჩემ იმერელ ბაბუას. გახედე ცხენებს, რომელზეც გინდა, ამხედრდი. მაშინ ცხენი დამიწუნე, მკვირცხლი ცხენები მომწონსო. ა, ბატონო, მკვირცხლი ცხენი, ნახე, როგორ ცქმუტავს, როგორ კისეასობს. რამდენ ხანსაც გინდა, იმდენ ხანს იჯირითე.

— გეხუმრე, რა დროს ჩემი ცხენით ჯირითია.

— არა, ბაბუ, აუცილებლად უნდა ამხედრდე, ძალიან მინდა, გუნება-განწყობილება გამოგივეთო.

— თანახმა ვარ, ოღონდ პირველ ჯერზე დალვინებული ცხენით გავისეირნებ.

— ბაბუ, ჩემი სახელი ბაჩუკია, აქ ყველა ბაში-აჩუკს მეძახის, — ბიჭმა ცხენი მოიყვანა.

გიორგიმ ხელი უნაგირის კესს ჩასჭიდა, უზანგში ფეხი შედგა, წამოინია, ბაჩუკიც წამოეშველა, ოდნავ უბიძება და ცხენს ზურგზე მოექცა.

— აპა, ალვირი. ახალგაზრდობაში ხომ გიჭენებია ცხენი, ჰოდა, გაიხსენე ახალგაზრდობა. ტანი უნდა ააყოლო ცხენის მოძრაობას, მოკლედ, უნდა იცეკვო.

გიორგიმ ალვირი ჩაბლუჯა და ცხენს დეზი ჰკრა. ცხენი დაიძრა.

— მეც გამოგყვები, ბაბუ.

პატარა ხანს წყვილად მიდიოდნენ. ორმოცდაათი მეტრის გავლის შემდეგ ბაჩუკიმ ცხენი შეაჩერა.

— ბაბუ, ძალზე მალე აულე ალლო. ახლა მიკრუნდები, ბავშვებს გავასეირნებ, ესაა ჩემი საქმე და ჩემი შემოსავლის წყარო. შეგიძლია, ცოტა ტემპსაც მოუმატო, კარგად გამოგდის, — ბიჭმა ცხენი შემოაპრუნა და გაქუსლა.

„რაო, კარგად გამოგდის?“ — გიორგიმ ცხენს ალვირი მიუშვა და მსუბუქად დეზიც შემოჰკრა. ცხენმა ნაბიჯს აუჩქარა. არ გათამამდე, გიორგი. ხომ არ დაგვაინყდა სიყმანვილის უამს როგორ მოგისროლა ულაყმა. ცხენის კი არა, შენი ბრალი იყო. მდინარეში ნაბანავებ, უბელო ცხენს სველი რომ მოახტი ზურგზე, აბა, რა დაგემართებოდა?! ხო, თავს იწონებდი, რა დასამალია, მაშინ გოგოებს აწონებდი თავს, სველ ცხენზე ამხედრებული ისარივით რომ მოწყდი ადგილიდან, მოსახვევში ველოსიპედის წკარუნა დააფრთხო ცხენი და შენც ვენახებში მოგისროლა. ძალზე ჭკვიანი ცხენი იყო, არ გაქცეულა, თითქოს გებოდიმებოდა, დარცხვენილი გელოდა. შენ ხელი მოუთათუნე კისერზე, შუბლზე აკოცე, ვითომ არაფერი მომხდარა. ისევ შეასკუპდი, შემოაპრუნე და მდინარისკენ გაქუსლე. როგორც კი ცხენმა წინა ფეხები წყალში ჩაყო, ზენამომართე და მდინარეში თავით გადაეშვი. ასე ჩამოირეცხე იმ დღის სირცხვილი. ახლა კი ის დროა, ახალგაზრდობა გაიხსენო.

მიიხედ-მოიხედა, შეჩირდა, თითქოს ჭკმა-





ნობდა გადაწყვეტილების მართებულობაში, მერე ლრმად ამოისუნთქა, ცხენს დეზები ძალუმად შემოჰკრა, წინ გადაიხარა და აღვირი მიუშვა. ცხენი ადგილს მოსწყდა, წამიერად მოეჩვენა, თითქოს ფრთები შეისხა და გაფრინდა. შემხვედრი ჰაერის მასა ქარიშხალივით სცემდა სახეში, რამაც კიდევ უფრო გაახელა, მონცყდა ყოველგვარ მიწიერს და ზეცას გახედა. ვიღაც უხილავი მსედარი თეთრ ლრუბელს დასალიერისკენ მიაქანებდა. „უნდა დავენიო, უნდა დავენიო“ – ქროდა გონებაში. წლების სიმძიმე უკალოდ გამქრალიყო. ჭაბუკივით მიაჭენებდა მერანს, კარგა ხანს მიქროდა და როცა ტყისპირს შეეჩეხა, მაშინ დაუბრუნდა აწყმოს.

დასვენების დღეები იწურებოდა, სულ მალე დატოვებდა აქაურობას და მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდებოდა. დაბრუნებით კი დაბრუნდებოდა, მაგრამ გამოცანა გამოცანად რჩებოდა. ვერაფერი გაარკვია უცნობის შესახებ, ვერ მოიპოვა მისი ნდობა. სახელიც კი არ უთქვამს. ბევრს ფიქრობდა – უნდოდა, ამოეცნო ამ კაცის უცნაურობის მიზეზი. ნუთუ მართლა ავადაა, იქნებ თამაშობს და თუ თამაშობს, რატომ თამაშობს, რატომ აირჩია სალოსობის ფორმა? ვის გამოექცა, ან რატომ გამოექცა. იქნებ ვინმეს ემალება და თუ ემალება რატომ? ერთი სიტყვაც არ უთქვამს თავისი ოჯახის შესახებ. და თუ ოჯახი ყავს, რატომ არ ეძებენ ოჯახის ნევრები. ვერ აეხსნა, რატომ გაუცივდა მის მიმართ გული; იმიტომ ხომ არა, ბოლომდე რომ არ გაეხსნა. ფიქრობდა მასზე, ხან გული მოეწურებოდა სიბრალულისაგან, ხანაც გული უცივდებოდა.

„ხვალვე მივალ და ვეტყვი, რომ ყველაფერი ამიხსნას. ბოლოსდაბოლოს ის მაინც მითხრას, რას ელოდებოდა ჩემგან, აქამდე ხომ სულ ის ლაპარაკობდა, ახლა მე ვიღაბარაკებ“. ისევ დაადგა ნაცნობ გზას და ბანეთან მივიდა. ხალხი ისევ ირეოდა. უცნობი არსად ჩანდა. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. დიდხანს იჯდა შადრევანთან. უშედეგოდ ჩაირა იმ დღემაც. ჯიუტად აგრძელებდა ძებნას. მესამე დღესაც მივიდა, უცნობი თითქოს ცამ ჩაყლაპა. ისევ შადრევანისკენ გასწია, ჩამოვდა და აქეთ-იქით მიმოიხდა. თვალი მოჰკრა გლეხეაცს, ვირით ბავშვების გამსეირნებელს, რომელსაც ბავშვების მოლოდინში თავი ჩაექინდრა, ხელში აღვირი ეჭირა და საფიქრალს მისცემოდა. მიუახლოვდა, გამარჯვობა უთხრა და პატარა ცამ ჩაყლაპა. ისევ ცნობისმოყვარე თვალებით შეაცქერდა და პატარა დუმილის შემდეგ მიუგო:

– მგონი, ორი დღე, არ გამოჩენილა. ჩვენც ისე მივეჩვიეთ, თვალში გვაკლია. საბრალო, უწყინარი და მშვიდი კაცი იყო. ბევრს არ ესმოდა მისი ლექციების, მაგრამ ამ გზით ჰურის ფულს შოულობდა. უცნაური კი იყო, მაგრამ არ-

ავის არაფერს უშავებდა, ვინ იცის, იქნებ რაღაც უჭირს, – თქეა დანანებით და ისევ ინტერესით შეავლო თვალი მოსაუბრეს. მერე ირგვლივ მიმოიხდა, ხელი ჩაიქნა, თავი ჩაღუნა და ისევ თავის საფიქრალს დაუბრუნდა.

დაიბნა გიორგი, ძალზე შეწუხდა, ადგილს ველარ პოულოდა. მოუსვენრობამ არაქათი გამოაცალა. იქნებ მართლაც უჭირს, ავადაა, იქნებ შველა ჭირდება, ვინ იცის, მელოდება – მე კი განვიკითხავ და განცსჯიო. ბევრიც აღარ უფიქრია და მისი სახლისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ნახევარი საათის შემდეგ მიადგა ტყის პირს, მაგრამ არათუ სახლი, პატარა ნაშთიც კი არ ჩანდა, იქაურობა მოსწორებული იყო. დაიბნა. აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა, საჯუთარმა უსუსურობამ შეაძრნუნა. არა, გიორგი, არ შეიძლება ხელების ჩამოშვება, აუცილებლად უნდა ვიპოვო, მაგრამ საიდან დავინცო? დიდხანს ფიქრობდა, მეხსიერება გადაჩიხიკა, იქნებ რაიმე მიმანიშნებელს მივაგნოო. ხელისჩასაკიდი ვერაფერი იპოვა და ისევ ბანეის წინ დაიწყო წრიალი. დაქანცული კიბის საფეხურზე ჩამოვდა.

„აბა, კარგად გაიხსენე რა მოხდა ბოლო დღეს? არაფერი ისეთი, ჩვეულებრივად ქადაგებდა, ოღონდ დინჯად, რაღაც სხვანაირად გამოიყურებოდა იმ დღეს. აუჰ, ეს როგორ დამაცენებდა“ – შემოიკრა თავში ხელი. „იმ დღეს ბანეის თანამშრომელს ესაუბრებოდა, რომელმაც პატარა ჩანთა გადასცა. ეს როგორ გამოგრჩა, ეს როგორ გამოგრჩა“ – ფეხზე წამოვარდა და ბანკში შლეგიანივით შევარდა. გაფაციცებით ათვალიერებდა ყველას. ბოლოს ამოცნო ვისაც ეძებდა, აპარატან იდგა, ხანში შესულ ქალს უხსნიდა, თუ როგორ მოეხსნა აპარატიდან თანხა. დაელოდა, მერე კი მიუახლოვდა და მორიდებით ჰკითხა, ხომ არფერი იცოდა უცნობის შესახებ. თანამშრომელმა ყურადღებით შეათვალიერა და ჰკითხა, მნერალი ბრძანდებით? თავის ქნევით დაუდასტურა. ხო, სამი დღის წინ ჩემთან შემოვიდა, პატარა კონვერტი გადმომცა და მითხრა:

– აქ აუცილებლად მოვა ჩემი მეგობარი მნერალი და ეს კონვერტი გადაეციო. ახლავე მოვიტანთ.

რომელილაც ოთახში შევიდა, რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდა და კონვერტი გადასცა, თან დიდხანს ცნობისმოყვარე თვალებით შესცეროდა.

– ხომ არაფერი შეემთხვა? – ჰკითხა გიორგიდ.

ბანეის თანამშრომელმა მხრები აიჩეჩა, არაფერი ვიციო, იმ დღის მერე აღარ მინახავსო და გასცილდა. კონვერტი ხელს უწვავდა, ოფლმა დაასხა, ერთი სული ჰქონდა, როდის გახსნიდა. სწრაფად დატოვა ბანეის შენობა. გული ლამის ამოვარდნაზე ჰქონდა, ხელის კანკალით გახსნა კონვერტი. ლამაზად ჩაგვირისტებული ასოები



იუნიებოდა: „მიდი წმ. ელიას სახელობის საყდარში, მამა იოანესთან“. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი ეწერა.

ღმერთო ჩემო, როდის მორჩება ეს რებუსობანა? მთავარია, ჯანმრთელადაა, უკვალოდ არ გამქრალა და რაღაც ხელის ჩასაჭიდი მაინც დამიტოვა. ნეტავ რა უნდა ჩემგან, რატომ ამომირჩია? რას მოვეხეტებოდი აქ, დავტეულიყავი სახლში, ხომ ვიქებოდი მშვიდად, მაგრამ შემთხვევით ხომ არაფერი ხდება ბუნებაში, ყველაფერი რაღაც კანონზომიერებას ექვემდებარება – დეტერმინებულია. აპა, შენც ფილოსოფიაში გადავარდი? უკვალოდ არ ჩაუვლია ლექციებს ფილოსოფიაში. ღმერთო! ვინ არის ეს კაცი, რაღაც ზებუნებრივი ნიჭითაა დაჯილდოებული, საიდან ამდენი ცოდნა, საიდან იცის ჩემს შესახებ თითქმის ყველაფერი? როგორც ჩანს, გამოცანის გასაღები მამა იოანესთანაა, ყველა გზა მამა იოანესთან მიდის – ფიქრობდა გიორგი.

ბინდდებოდა, სახლში რომ მივიდა. დღეს უკვალოდ არ ჩაუვლია, მთავარი გაიგო. ერთი დღელა დარჩა, ერთი დღის შემდეგ აიკრავს გუდა-ნაბადს. ნეტავ რას მიქადის ხვალინდელი დღე? რატომ იქცევი მოუთმენელი ბაძივით?! დღეს მეტს ვეღარაფერს შეიტყობს, დანარჩენს ხვალე იტყვის.

მზის ამოსვლისთანავე გაუდგა გზას ეკლესისაკენ. ლამის ძილს მიცემული ბუნება ნელ-ნელა იღვიძებდა. ყველა სულიერი საზრდოს საპოვნელად შესეოდა დედა ბუნებას. გზის პირას აშოლტილ წინვნარზე ციყვები დაცუნცულებდნენ. კოდალაც გვარიანად ურაკუნებდა დაფულურობულ ხეს. ჩიტებიც სათოხარში ლილინით მიმავალი გლეხი კაცივით მისტიკური ჩიტური ოროველათი აფხზლებდნენ გარემოს. ტაძრამდე ბევრი აღარ იყო დარჩენილი. გორაკიდან შევბისმომვრელად იმზირებოდა პატარა, კოპნია, წითელთუნუქსახურავიანი, ჯვარგუმბათოვანი ეკლესია, რომელსაც თეთრი ღრუბელი შარავნდედივით დასდგომოდა თავს. შეუყვა აღმართს – იქით-აქეთ მწვანეფარჩიანი მცენარეთა ჯარი, შუა ფართო გზა, რომელზედაც დაცუნოული მამაკაცის მკლავზე ამობურცული ძარღვებივით ამოყრილიყო მინიდან ფესვები და საფეხურებივით ჩანყობილიყო ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე.

დინჯად აიარა საფეხურები. ტაძრის წინა მხარე მოსწორებული და მოპირკეთებული იყო. ასწლოვანი, ტოტებგადაბარდნილი ხის ძირში გრძელი სატრაპეზო მაგიდა იდგა ძელსკამებით შემოსაზღვრული. შეყოვნდა, მიმოიხედა, არავინ ჩანდა. მერე ტაძრის კარს მიუახლოვდა, სახელურს ხელი ჩასჭიდა და ძალუმად გამოქაჩა. ხის მასიური კარი მძიმედ გაიღო. პირჯვარი გადაიწერა და ტაძარში შევიდა. ტაძარში არავინ იყო. სივრცე საქმეველის სასიამოვნო სურნელით გაჯერებულიყო. ფეხაკრეფით გადაადგილდე-

ბოდა. ყურადღებით ათვალიერებდა ხატებსა და ფრესკებს, რომლებზეც წმინდანების იდუმალი სახიერება ამოუცნობი ნათლით გასხივოსნებულიყო. ანალოლიაზე დაბრძანებულ ხატს კრძალვით ემთხვია და ტაძარი უკუსვლით დატოვა. ხის ძირში სკამზე ჩამოჯდა და საფიქრალს მიუბრუნდა. ადრე მომინია მოსვლამ, დაველოდები, სხვა რა გზაა. ახლა მშველელი და ჩემი თოკი მამა იაონება.

გაუჭირდა ლოდინი, მოუთმენლობამ დარია ხელი, ვერ ისვენებდა. წამოდგა, სივრცეებს ზვერავდა. შორს, დასავლეთის მხარეს, მთის წვერზე კიდევ ერთი ეკლესია ჩანდა. ჩვენთან ეკლესიების უმეტესი ნაწილი მთის წვერზე ან შემაღლებულ ადგილზეა აგებული. მთა ხომ ცასთან ახლოსაა, ცაში კი ღმერთია.

„პრიმიტიულად აზროვნებ გიორგი, პრიმიტიულად. ღმერთი ყველგანაა, მთაშიც, ბარშიც და ცაშიც. არა, მთას მაინც გამორჩეული ადგილი უჭირავს, მოსეც ხომ სინას მთაზე შეხვდა ღმერთს?“

დაბლა ფერდობზე შეჯენილ ტყის მასივს შეავლო თვალი. ბეჭებზე ვიღაცის მწველი მზერა იგრძნო და უმალ შებრუნდა. ტაძრის წინ სასულიერო პირი იდგა – მაღალი, გამხდარი, უსპეტაკესი თეთრი წვერით და, მისდა გასაკვირად, ჭალარაშეურეველი შავი თმით. დელვამორეული მიუახლოვდა მღვდელს.

– მშვიდობა გიორგი.

– მშვიდობა მამაო, – მღვდლის გამოწვდილ ხელს გიორგიმ ხელი შეაგება.

– არ გიკვირთ, რომ სახელით მოგმართავთ?

– უკვე აღარაფერი მიკვირს, მამაო.

მღვდელს ღიმილმა კიდევ უფრო დაუმშვენა ისედაც ლამაზი სახე.

– წამოდი, გიორგი, წამოდი, პატარა ხნით ჩამოვსხდეთ, ხომ არ გეჩეკარებათ? – გვერდიდან გახედა სათნო თვალებით მღვდელმა.

– არა, მამაო, არსად მეჩეკარება. მოუთმენლად ველოდი თქვენთან შეხვედრას. შენდობას გთხოვთ, მამო, მოუთმენლობისთვის, უნდა მომიტევოთ აცეტება. როგორც იტყვიან, კანში ვეღარ ვეტევი. იქნებ მითხრათ, ვინ არის ეს ჩემთვის საიდუმლოებით მოცული კაცი, რომელიც ხან ზებუნებრივ ადამიანად იქცევა და ხანდახან კი უკანასკნელ ვიგინდარად. მომიტევეთ ამ სიტყვისთვის.

მღვდელი მცირე ხანს ჩაფიქრდა, ჯერ ჰორიზონტს გაუსწორა მზერა, მერე ცას ახედა, ბოლოს თვალები დახარა და მოსაუბრეს შეაცქერდა:

– აბა, რა გითხრათ, ბევრი მეც არაფერი ვიცი. ერთი მიუსაფარი, ძალზე ჭკვიან და უცნაურობით აღსავსე პიროვნებაა. უყვარს საუბარი. იშვიათად მინახავს თეოლოგიაში და არა მარტო თეოლოგიაში ეგზომ განსავლული პიროვნება. რითაც მემიძლია, ვეხმარები. ფულს იშვიათად





თუ მოკიდებს ხელს, საკვები მიაქვს.

ის დღე გაახსნდა, გიორგი სახლში რომ დაპატიჟა. მაშინ გაუკვირდა პურმარილის სიუხვე. ახლა კი ყველაფერი ცხადი გახდა.

— არც მე ვიცი მისი სახელი, — თქვა მღვდელ-მა, — სახელი არ უთქვაშს, არც ალსარება ჩაუ-ბარებია, არც მიზიარებია, არ ვარ ჯერ მზადო. დიდ საქმეს ვარ შეჭიდებულიო, — და გაჩუმდა.

„ეჱ, გიორგი, გიორგი, რა გულუბრყვილო ხარ, გეგონა, ყველა საიდუმლოს გაგიხსნიდა? აქვს კი უფლება ყველაფერი გითხრას?“

მღვდელი წამოდგა:

— გიორგი ბატონო, ახლა ის, რისთვისაც ჩე-მთან გამოგზავნა „კაცმა გამოცანამ“. აქ დამე-ლოდეთ, ახლავე მოვალ.

გიორგიმ თვალი გააყოლა მიმავალს. რამდენ-იმე წუთში გამოვიდა მღვდელი. ერთ ხელში ჩე-მოდნის მსგავსი მომცრო ზომის ვერცხლისფერი მეტალის ყუთი ეჭირა, მეორე ხელში კი — კონ-ვერტი.

— აი, ესენი გადმომცა თქვენთვის.

გიორგიმ ნივთები ჩამოართვა. გაკვირვე-ბული დასქეროდა ხან კონვერტს და ხან ყუთს, მერე მღვდელზე გადაიტანა მზერა. მან კი ხე-ლები გამალა და მხრები აიჩეჩა, მეტი ვერაფრით დაგეხმარებიო.

— მამა იოანე, თუ ცოტახანს არ ჩამოვჯეი, სახლამდე ვერ მივაღწევ, — ორივენი ჩამოსხდნენ, — როგორ ფიქრობთ, რატომ ამომირჩია მე, ან რა უნდა ჩემგან?

— იქნებ მაგ ნივთებშია პასუხი თქვენს კითხ-ვაზე, გიორგი ბატონო. მეტს ვერაფრით დაგეხ-მარებით. ერთს კი გეტყვით, ძალზე სათნო და კეთილი ადამიანია, ამოუცნობი ძალით მოსილი და თანაც სიყვარულის დიდი ნიჭი აქვს. სიყვარ-ული კი, როგორც წმინდა მამები ამბობენ, არის დედა ყოველგვარი სიკეთისა. ისე, კი, ვისაც სი-ყვარული არ შეუძლია, ის ჭეშმარიტი ქრისტიანი ვერასოდეს გახდება. იმ კაცმა შეგიყვარათ, ყვე-ლასგან გამოგარჩიათ და ამიტომაც გამოგიცხა-დათ დიდი ნდობა, ჩემზე უფრო მეტი ნდობა. ვფიქრობ, რაღაც დიდ საიდუმლოს ფლობს და იტანჯება მისგან, მაგრამ როგორც არსთა გან-მრიგე ამბობს — „არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოჩნდეს და არც რამ საიდუმლო, რომ არ გამომუდავნდეს“. შესაბამისი დრო და მომენტია ამისთვის საჭირო. თუ რამეს გაარკვევთ, იქნებ მეც გამაგებინოთ. თუ კი ოდესს მოხვდებით ამ მხარეში შემომიარეთ. აბა, მშვიდობით გატაროთ ღმერთმა.

გიორგი, როგორც ძალზე ახლობელს ისე გამოემშვიდობა მოძღვარს, მხარზე ემთხვია და შინისაკენ გაუყვა გზას. მამა იოანე კი, დაფიქრე-ბული, დიდხანს გაჰყურებდა თავქვე მიმავალ სტუმარს.

როგორც იქნა, მიაღწია სახლამდე. ვერც-

ლისფერი ყუთი და კონვერტი მაგიდაზე დადო. მიუხედავად დაღლილობისა, იმწამსვე არ ჩაუ-მუხლავს, გაიარ-გამოიარა, მალიმალ შეავლებდა ხოლმე თვალს უცნაურ ნივთს. აღარ ჩქარობდა, საჩქაროც აღარაფერი იყო. ფანჯარასთან მივი-და, ფარდა გადასწინა და თვალი ტყის მასივს შეავ-ლო. ხები მთვრალი კაცებივით ტორტმანებდნენ. „მორჩა ყველაფერი, დამთავრდა ჩემი რდისეა ამ პატარა დაბაში“. გიორგი ზღაზვნით მიუახლოვდა მაგიდას. ჩამოჯდა. მიუხედავად დიდი თავშეკავე-ბისა, მაინც მღელვარებამ დარია ხელი. წაეტანა კონვერტს და შუქზე გახედა. რაღაც ახლის გაგე-ბის სიხარულის მოლოდინს იხანგრძლივებდა. როგორც იქნა, გახსნა.

ტექსტი ძალზე ძუნნად გადმოსცემდა სათქმელს. კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი და ყურადღებით ჩაიკითხა:

„გამარჯობა გიორგი, ჩემი მოულოდნელი გაუჩინარება ძალზე მნიშვნელოვან საქმესთან არის დაკავშირებული, რომელსაც მე ამდენი ხა-ნია ვენევი. შენ ჩემს შესახებ იმდენი იცი, რამ-დენიც უნდა იცოდე. იმდენი ბურუსითაა მოცული ჩემი ისტორია, რომ მოგიყვე, ტომები არ ეყოფა და შეიძლება, არც დაიჯერო. ახლა ასე მოვიქცეთ, დაურევე შენიანებს, არ ჩამოვიდნენ. ხვალ დილ-ით შენს სახლთან მოვა ტაქსი, ის წაგიყვანს. ასე ჯობია უსაფრთხოებისთვის. სიტყვა უსაფრთხ-ოებამ არ შეგაშინოს, ყველაფერი მისხალ-მისხ-ალაა გათვლილი. რატომ გენდე შენ და სხვას არვის? ახლა ამის ახსნა არ შემიძლია. ტრპახში ნუ ჩამითვლი, მაგრამ ადამიანებისა ამოცნობის დიდი ნიჭი მაქვს. კიდევ გიმეორებ, ყველაფერს ვერ გეტყვით და არც არის საჭირო. ეგ ყუთი ჩე-მოდან-სეიფია, სულმა არ წაგძლიოს, არ შეეცადო მის გახსნას, მაგის გახსნა შეუძლებელია. ბევრ რამეზე გვექნება საუბარი, თუ ყველაფერი ისე წარიმართა როგორც ჩაფიქრებულია. ყუთი ჩადე შენს ჩემოდანში და ისე წაიღე. დედაქალაქში რომ ჩახვალ, ტაქსის მძლოლი მიგიყვანს იმ ადგილას, სადაც ყუთი უნდა დატოვო. შავ ცელოფანის პარკში ჩადებ, ყუთს ზემოდან პურებს დააწყობ და ნაგვის ბუნეურთან დატოვებ. მერე ისევ ტაქსში ჩაჯდები და მძლოლი სახლში მიგიყვანს. არ მინ-დოდა, მეთქვა, მაგრამ აქვე დავამატებ — ეს არის სახელმწიფო მნიშვნელობის ძალზე დიდი საქმე, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება, რომელზეც ჩვენი სახელმწიფოს მომავალია დამოკიდებული. არ გესწავლება, ჭეშმარიტი მამულიშვილისთვის ჯერ მამულია და მერე ყველა სხვა დანარჩე-ნი. ბუნებრივად გაგიჩნდება კითხვა, რატომ მეო. ჭეშმარიტმა ქრისტიანმა კარგად იცის, რომ ღვ-თის ნების გარეშე არაფერი ხდება. ეს არის და ეს, მეტის თქმა და ახსნა არ შემიძლია. იმედია, კვლავ შევევდებით, ველოდები შენ მორიგ მოთხ-რობას, რომელიც ძალზე განსხვავებული იქნე-ბა. წერილს ფრანც გრილპარცერის სიტყვებით



დავამთავრებ: „რასაც განაგებ, ისიც განგაგებს, ვისზეც ბატონობ, მონაც ხარ მისი“. წარმატებები მეგობარო“.

კიდევ პატარა ხანს იჯდა ფიქრს მიცემული გიორგი, მერე წერილი გადაატრიალ-გადმოატრიალა, ისევ კონვერტში ჩადო და ფეხზე წამომართა. ყველაფერს ელოდა, მაგრამ მოვლენების ასეთ განვითარებას არც ერთ შემთხვევაში. „რაო, ასე ჯობია უსაფრთხოებისთვის? უკანდასახევი გზაც კი არ დამიტოვა, როცა სამშობლოზეა ლაპარაკი უკანდასხევი ყველა გზა მოჭრილია. შეშმა ხომ არ გამკრა გულში? ნებისმიერს გაჰკრავდა. მერე რა, შიში და თავდაცვის ინსტიქტი ადამიანის არსობის შემადგენელი ნაწილია და რადგანაც შენ აღარაფრის შეცვლა შეგიძლია, ისე ხომ შეგეძლო, ბოლო-ბოლო, უარს ეტყოდი მღვდელს, მაგრამ აზარტმა შეგიპყრო, ინტერესი გკლავს, ელოდები კვანძის გახსნას. დაუოკებელმა ინტერესმა და ცნობისმოყვარეობამ შეიძლება, დალუპვამდე მიიყვანოს კაცი. არა, აქ არ არის მარტო აზარტი, აქ არ არის მარტო ინტერესი და ცნობისმოყვარეობა, მე მენდო და ვერ ვუღალატებ, არ აქვს მნიშვნელობა დიდი საქმეა, თუ თამაში, მე ჩემს როლს კეთილსინდისიერად შევასრულებ, ასეთია ჩემი ცხოვრების მრნამსი, მე სხვანაირად არ შემიძლია, ღალატის გვირგვინს ვერ დავიდგამ. აპა, რამდენადაც საბოლოო არჩევანი გაკეთებულია. გეხუმრება? სახუმაროდ გაქვს საქმე? ვინმეს რომ მოუყვე, არ დაიკერებს. „ზღაპარ იყო ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი ჩამჯდარიყო“, თუ მომკვდარიყო? რაღა მნიშვნელობა აქვს? ნუთუ ისე გავალ ამ წუთისოფლიდან ჩიტის ამბავი ამოუსსნელი დამრჩება?..

გაზაფხულის სურნელმა ქალაქშიც შემოაღნია. გაღვიძებული ბუნება სიცოცხლით ხალისობდა. შეიფოთლნენ ზამთრისგან ურცხვად გაშიშვლებული ხეები და ძვირფასი სამკაულების მოლოდნები ახალი ფარჩა-სამოსით იწონებდნენ თავს. დროებით სამშობლოს მოწყვეტილი ფრთისნები დაუბრუნდნენ თავიანთ კარ-მიდამოს. განსაკუთრებით მერცხლები კისკასობდნენ, კუდმაკრატელა მგოსნები სერავდნენ ცას და ისეთ ვირაუებს ხატავდნენ, რომლებსაც ადამიანის გონების მიერ შექმნილი ვერცერთი საფრენი აპარატი ვერ მოახერხდა. სიცოცხლე მეფობდა ყველგან. ბეტონის გზის ნაპრალიდანაც კი ამოწვერილიყო ყვავილი. მოდი და, ნუ გაგიკვირდება ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი სა-ოცრება.

მიუყვებოდა სიცოცხლის ფერხულში ჩაბმული გიორგი გზას. თითქოს წლებიც გამქრალიყო. ზამთრისგან მოდუნებულმა სისხლმაც კი ახალგაზრდულად დაინტყო ჩერიალი. ყველაფერი აფოფრილი, აქოჩრილი და აღტყინებული იყო. რეალურსა ირეალურს შორის საზღვარი გამქრალი-

ყო.

გიორგი შვილიშვილების გამოსაყვანად სკოლისკენ მიიჩქაროდა. სკოლა ხომ ცოდნისა და სიწმინდის ტაძარია, რომელთანაც შეხება სიყმანვილეში გაბრუნება... ყველაზე დიდ სიხარულს მაშინ გრძნობდა, როცა მინის ანგელოზები თავიანთ თბილ ხელს ჩასჭიდებდნენ და სკოლის ამბების მოყოლას ერთმანეთს არ აცლიდნენ. მათი ხელები თითქოს უნერგიის ულევი წყარო იყო, რომელიც მხცოვანს სიცოცხელს უსანგრძლივებდა.

ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გიორგი მაღალმთანი კურორტიდან დაბრუნდა. ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, ტკბილ-მწარე განცდებით. მთიანი კურორტის ამბავი არც თუ ისე ადვილი დასავინებელი იყო. უცნობი გაქრა, თითქოს არც არსებულიყო. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, ეს ყველაფერი ხომ არ მომეჩვენაო. „იქნებ ჩემი წარმოსახევის ბრალია, ან წარსულში წაკითხული რომელიმე წიგნის ანარეკლი? მგონი, ფსიქიური პრობლემები გეწყება გიო. არა, არა, ეს შეუძლებელია“.

გიორგიმ მოსვენება დაკარგა, ისეთი დაბნეული და ჩაფიქრებულ დადიოდა, ოჯახის წვრებიც კი შეშფოთდნენ. ხშირად ეკითხებოდნენ ჯანმრთელობის შესახებ. უგულოდ პასუხობდა, ჩვეულებრივად ვარო.

იმ დღეს ქუჩაში გასული და ფიქრებში ჩაძირული ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა. ამოუცნობი ნომრიდან რეკავდნენ:

– გამარჯობა, გიორგი, – ნაცნობი ხმის გაგონებისას კინალამ ხელიდან გაუვარდა ტელეფონი. ამ ხმას რა დაავინებდა, – როგორ ხარ, მეგობარო? გახსოვს, რომ გითხარი, თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა შეგხვდები-მეთქი? ყველაფერმა კარგად ჩაიარა. უნიკალური თავდაცვითი სისტემა შევემენი, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება, რომელიც მტრის მიერ ნებისმიერი იარაღიდან გამოსროლილ ჭურვს თუ რაკეტას, უკანვე, გასროლის ადგილზე დაბრუნებს და მოწინააღმდეგებს თავისივე ბუნაგმი გაანადგურებს. გიხარიდნენ, საქართველო! შენი დაბადების დღეს შეგხვდები, მაისის ბოლოს. მოთხოვთა თუ დაასრულე? კარგი, კარგი, ამაზე და სხვა დანარჩენზე, რომ შეგხვდები მერე ვისაუბროთ, – დაასრულა საუბარი და ტელეფონი გათიშა.

კარგა ხანს იდგა ფეხშეკრულივით, როდის-როდის გამოერკვა. გაზაფხულის თბილი ქარი კი ურცხვად დათარებობდა. არცული ფიქრებივით ანენილი თმების გასწორებას შეეცადა, მაგრამ ქარი არ ანებებდა. დაუკერებელი ამბავია, როგორც ჩანს, ამ კაცზე ფიქრი კიდევ დიდხანს გააწვალებს. გორგის გაელიმა, მხრები შეარხია და დაფიქრებული გზას გაუყვა.



ლაშა ნადარეიშვილი

30



მარტო თბილი თბილი თბილი თბილი თბილი თბილი თბილი თბილი

ვარ ქართველი, ესე იგი...

მზე არავის
არ ემხრობა,
ყველა
მეცე
დაემხობა!!!
დაემხობა
კართაგენი!!!
ოსმალეთიც
დაემხობა!!!

დარუბანდის
კართან გელი,
არც –
სამშობლო...
არც –
მხედრობა...
ვარ ქართველი,
ესე იგი,
შემრჩა
ბრძოლის
თავხედობა!!!

შნელი წარვალს!

ქვესანელიდან მონაბერი
გადალენავს ქარი ალვას...
ნუ გეშინინ, მონამეო:
ბნელი წარვალს!
ბნელი წარვალს!

იქნებ ქარი გოლგოთაზე
უკვდავების მიმტანია...
აპატიე,
აპატიე
შენი სულის ლიტანია;

და თუ ქარმა,

მ ე მ ე მ ე მ ე მ ე მ ე მ ე მ ე მ ე მ ე მ ე მ ე მ ე მ ე მ ე მ ე

კმია!

გაალეთ ზეწის თავანი,
გაალეთ ყველა კარი მიღეთის...
ეფემის შპლში ძვრება მჰვანი,
თანებში უფლეს თქვენი წილეთი!

რა გნიანი? – იქნებ ზამთრებშია
გამოაჭინეს გეხლის რაშები...
ხალხო!!! –
პილატე ისევ მთლილება,
ალზევებული თქვენი ცაშებით!

ლ. ნადარეიშვილი

დ თუ ქარმა,
და თუ ქარმა დაგაშინა...
რა გინდოდა ასე მალა?
ვინ გელოდა ცათა შინა?!

შეძლებ?

გზად
უამრავი ჩაივლის წყალი,
საჟუთარ ჯვართან
მაინც მიხვალ და...
შეძლებ? –
განაგდო სურვილი მწყრალი,
შეძლებ? –
მტერზედაც მითხრა:
მიყვარდა!!!

შემოეცალა
ქედებს ცირცელი,
საყორნიაზე ქარმა დარეკა...
მოდის ზამთარი –
განსაცვიფრელი,
მოდის და...
გულზე მაყრის ნარ-ეკალს.

როგორ

გაუძლოს

გულმა

პოეტის...

როგორ გაუძლოს
გულმა პოეტის
ამ უსაშინლეს
ორომტრიალებს, –
კვლავ ოცდაათი
ვერცხლის მონეტის
ატრაქციონი



ქვეყნად ტრიალებს...

ყიდის იუდა,
ყიდის პილატე,
ყიდის ხალხი
და ყიდის ჰეროდე,
შენ კი მოგელის
გიუს პალატა,
რომ ავაზაკთა
სიტყვის გჯეროდეს.

სასახლეები
მორთეს ვარდებმა,
ეკლესია
შუბლზე
გადაიარეს...
გოლგოთის თავზე
მზე დაგარდება
და გაანათებს
უფლის იარებს!

დავით!

ეს ზაფხულიც გათავდება,
შემოდგომა გათეთრდება,
მოედება
ბასიანს და ხრესილს...
ცის თავანი დაიხრება,
ჯოჯოხეთი განიხვნება,
საფლავებზე დაიყრება ხრეში.

აქ საუფლო ენთო შინდი,
გაურბოდა ქედებს ბინდი,
მზე გფარავდა
შეუვალს და ტყიანს...
რა უნდოდა მინას გულთან,
ისევ კივის წინამურთან
ავაზაკის გასროლილი ტყვია.

იქნებ უკვე მეტიც გთხოვეს,
იქნებ უკვე სვეტიცხოველს
იქადნიან
გამოხრული თავით...
დიდგორიდან გადმოდექი
და თუ შვილად გამოვდექით,
სინათლისკენ გაგვიძეხი,
დავით!

განთიადამდე ჰეჭრეს გაგუიდის!

ბრბომ
სიყვარული
არ გაპატია...
ბრბომ ავაზაკსაც
არ გამჯობინა...



ლაშა ნადარეიშვილი

ვერ გამინელა
დღომ აპათია,
ვინ თქვა,
ქვეყანა
გამომჯობინდა?

აქ ისევ უყვართ
ბზების დაფენა...
აქ ისევ უყვართ
გათხრა
სამარის...
შენ კი შესძელი
ცაში
აფრენა,
შეგუებულმა
ლალატს ამნაირს!

ვიდრე მიწაზე
მეფობს ჰეროდე,
არ დაილევა
ვერცხლი
ასპიდის...
არ დაიჯერო,
მაგრამ
გჯეროდეს –
განთაძლიდე
პეტრეც გაგყიდის!

სიმღერა ერთიან საქართველოზე

ვიდრე მამულს ამჩნევია
ბულა-თურქის ალიყური,
ვიდრე გულში ჩამრჩენია
ოსმალეთში გარიყული
ჩემი დიდი ივერია,
იმერია და ამიერი,
აფხაზეთში მიმღერია
ვიდრე მრავალუამიერი;
ვიდრე ქართლის სანახებში
ყაყაჩონი მიკრეფია,
საინგილოს არტახებში
ვიდრე ჩემი ფიქრებია;
სვანეთიდან მომწყდარ „ლილეს“
ვიდრე რწმენით ვეგებები,
ვიდრე ახსოვთ
ნისლის ფთილებს
ფშავ-ხევსურთა ლეგენდები;
ვიდრე ჩემი მაჭახელა
ჭოროხისა და პონტის ერთვის,
ლეჩეუმის და რაჭასხელა
გულით გვლოცავს
ვიდრე ღმერთი;
ვიდრე მოჩანს მყინვარნვერი
იმერეთის ზეგნებიდან,
უძველესი მინაწერი
გვიხმობს ტაოს ძეგლებითა;
ვიდრე ისმის კვლავაც ჩქამი





დიდებული სამცხისაო,
არ დამდგარა ვიდრე უამი
ჯავახეთის მარცხისაო,
თუშეთი და მთიულეთი
ვიდრე აკვნის დამრწევია,
სამარაბლოს, მიუვლეთი
ვიდრე ქარი დასწევია;
გურიაში ვიდრე გული
ისევ წინ-წინ იპარება,
ვიდრე კახეთს გადარგული
მზე მტევნებით იფარება;
ვიდრე ვხედავ სამეგრელოს
თვალხატულა ცირებითა,
ვიდრე მცხეთა გამგებელობს
სვეტიცხოვლის წირვებითა;
ვიდრე უფლის ტაძრის წინა
დიდი მეფის ხმალი გვიძევს...
„არ მომკვდარა,
მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!!!“

ეი, წიჭო,
სამშობლოსთან
არაფერი
შეგეშალოს!

ლმერთმა ჭირი გვაშოროს და
შოთას ფრესკა არვინ შალოს...
ეი, ბიჭო, სამშობლოსთან
არაფერი შეგეშალოს!

სხვამ არ თოხნოს ჩემი ყანა
არც ჩონგური ჩემი თალოს...
მე ისეთი მგლები მყვანან,
ალგეთს მტერმა ვერ დათვალოს!

ალავერდში ვანთებ სანთელს,
იმ გმირების წასვლას ვნანობ, –
არტანუჯთან ვხვდები ხანთელეს,
რომ ფეხები ცრემლით ვანო!

ბერი – თათრის ანაკუნი –
გვარიდებდა სისხლის კალოს...
ყველა დუშმანს, როგორც უნინ,
გზა თევდორემ გაუკვალოს!

ვინ აგაკრას ანი ზეცას,
გორგასლანის დადო ფარო?
აქ აბჯარი მთასაც ეცვა,
აქ თამარი დედოფალობს!

ლმერთმა ჭირი გვაშოროს და
შოთას ფრესკა არვინ შალოს...
ეი, ბიჭო, სამშობლოსთან
არაფერი შეგეშალოს!!!

ისე მტკივა
წინამური...

ედებოდა მტერი მთა-ველს,
გვედებოდა ყიზილბაშთა მზერა...
ვერვინ ასწვდა მყინვარწვერის თაველს,
თვალი დასწვა საქართველოს მზემა.

მამულს ყიდდა შინაური,
თუმცა, ხმლების გალავანი რტყმია...
ისე მტკივა წინამური,
როგორც გულმი მოხვედრილი ტყვია!

ჩვენ
უკათუოდ
გავალოთ
ფხოუმდე!

რატომ მარგუნა
უფალმა ბედი,
რომ ეს მახვილი
ძილშიაც ვლესო?
დამადგი მკერდზე
კავკასის ქედი,
უწმინდესო და
უპირველესო!

მითხარი,
საით მიდის ენგური
ან რატომ მიყვარს
ასე ძალიან
ჩემი სვანური,
ჩემი მეგრული –
სისხლით ქართული
იავ-ნანინა?

რატომ მაგიუებს
ველი ალაზნის,
რად ვიპადები
ისევ იორთან,
ანდა ფაზისი –
ასე ლამაზი –
პონტოს ნაპირთან
როდის მიგორდა?

რატომ იხრჩობა
მტკვარში არაგვი,
ან ვის ეძახის
ახლა ყვირილა?
თუ საქართველოს
მტერი გადაგვის
მზეც დააყრუოს
ჩემია ყვირილმა!
როცა კოდორშიც



მეცვა ფარაჯა,
ეპოქაში – ეშმას
გამონაცვალმა –
ჭოროხთან თურქი
დამიდარაჯა,
ტაო-კლარჯეთი
ამომაცალა!

როდესაც თერგის
წყალი დავლიე,
შევკარი ფიცი
უფლის მონათგან,
ამოდ გავხედე
დღეებს ცარიელს,
ჰაოსის ჯარი
ლორეს მოადგა!

მტერს ჩვენი სისხლი
ვეღარ მოუნდეს,
საქართველოსთვის
ღმერთმა ილოცა...
ჩვენ უსათუოდ
გავალთ ფსოუმდე,
ჩვენი იქნება
საინგილოცა!!!

თუ ერთხელ მაინუ
პოეტად მოკვდა!!!

არა,
პოეტი არ უნდა მოკვდეს,
პოეტმა უნდა
გაუძლოს წარლენას...
ისედაც მუდამ
ვიღაცა მოგვდევს,
ვიღაცა გვესვრის,
ვიღაცა გვთათხავს!

არა,
პოეტი არ უნდა შეცდეს,
პოეტმა უნდა
იპოვოს ზეცა,
პოეტი უნდა
ვარსკვლავებს შეწვდეს,
რომ ისევ გიუის
ხალათი ეცვას!

პოეტი უნდა
უფალთან წარსდგეს,
მშვიდად მიიღოს
სასჯელი მოგვთა...
არა,
პოეტი არ უნდა აღსდგეს,
თუ ერთხელ მაინც
პოეტად მოკვდა!!!

იქსოს!

შენ არ გჭირდება
კაცთა ბოდიში,
შენ დაგასახლა
ცაში მამამან, –
და იყვავილა
შენს მოლოდინში
ორი ათასმა იასამანმა!

ეშაფოტს ისევ
მსხვერპლი სწადია,
რადგან სინდისი
არ გაგიხდია...
ორი ათასი წელიწადია,
ადამის ძენი
ბოდიშს გიხდიან!

იძერიელნო!

ბევრი მოვაო
ჩემი სახელით, –
ბრძანა უფალმა...
დროებამ სუფრა –
მოსალხენი გადაუფარა
ყველა კუდიანს,
ყველა მპარავს,
ყველა ავაზავს
და მაინც გვფარავს,
ვისაც უკვე ვყიდით აბაზად...

გაიფდაო,
თურმე, ქრისტე,
მავანს ჰერია,
ჯოჯოხეთიდან
ქარი გვისტვენს
და კაცს, გონიანს,
არ შეეშლება,
ვინ ადიდოს –
ეშმა თუ ღმერთი,
რადგან ხელკეტთან
მუდამ იდო
ხელმწიფის კვერთი!

იძერიელნო,
ვინაც
ვლიდით
გზებით
მაცხოვრის, –
კვლავ მივეახლოთ,
ძველი რიდით
უფლის საცხოვრისს!!!



გიორგი გიგაშვილი

34



მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ

მ ა რ ი ს ბ ე დ ი ს კ ი ვ ი ლ ი ს

ლექსი აზრით უნდა ფერება,
ას, როდი წვივა წრფინა?!.
ლექსი, თუ გულზე არ მოგხვდა,
გინდ დანერე და გინდ არა.
ლექსია, ლხინთა მხლებელი,
ხან, ფერებია ვარდისა,
ხან, თუმცა, დამლონებელიკ, –
გულში ამშლელი დარდისა.

გ. გიგაშვილი

ჰვლავ გაბრნებინფერა

რამდენ ჭირ-ვარამს უძლებს ქართველი,
ბევრჯერ, არ ყოფნის დრონიც ყოფილა,
დანვეს, ჩააქრეს, როგორც – სანთელი,
მაგრამ... არასდროს, არ დაჩოქილა.

იმ დღიდან, თვალი, რაც ამესილა,
მეც ქართლის ჭირი მაჩნია წყლულად,
როგორც ფოლადი, არ გატეხილა,
და... არც არასდროს, არ გალუნულა.

გამახსენდება ქართლის წარსული,
თვალზე ცრემლები ამიბრნებინდება,
ერთი იმედი მაქვს ჩასახული,
რომ ივერია, კვლავ, გაბრნებინდება.

15. 01. 2025

რაფ გინდა ლექსთა სიმრავლე!..

რად გინდა ლექსთა სიმრავლე?..
და... უსაშეველოდ გაწელა,
მეამაყება, რომელმაც,
ცოტათიც, კარგი დაწერა.
ლექსს აზრით უნდა ფერება,
ის, როდი ცვივა ციდანა?!.
ლექსი, თუ გულზე არ მოგხვდა,
გინდ დანერე და გინდ არა.
ლექსა, – ლხინთა მხლებელი,
ხან, ფერებია ვარდისა,
ხან, თუმცა, დამლონებელიც, –
გულში ამშლელი დარდისა.
ხან, არის – გულის წუხილი,
ტყვიას გაგონებს გასროლილს,
ან, სეტყვა, ელვა-ქუხილი,
და შურდულივით ნასროლი.
გალხენს თუ, ჩამოგაღონებს,

ხან, არის ბედის კივილი,
ლექსს, ზოგჯერ, ცრემლიც სჭირდება,
ჯვარცმა და... გულის ტკივილი.

21. 01. 2025

იყო და არა იყო რა!

ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა –
ერთი, ლამაზი ქალია,
უეცრად, მომაჯადოვა,
წამკიდა ცეცხლის ალია.
გავისაუბრეთ, მასმინა
ხმა ნიავისა ქროლვისა,
ვარდიდან გადმომაწვიმა
ანკარა წყარო – ბროლისა.
გიშრის სხივებში გამხვია,
სახე მზიანმა, ლამაზმა,
მომნუსხა როგორც მზეწვია,
თვალებრიალა გავაზმა,
უცებ, ვაკოცე, განითლდა,
მინდვრის ყაყაჩის ფერადა,
გვირილებივით გაფანტა
მორცხვი ლიმილი ველადა.
შირაზის ვარდად გიცანი,
შენი ალერსიც მელირსა,
სინაზით, ამოვიცანი –
სურნელი შენი თმებისა...
მაშინ გსახავდი დილის მზედ,
ახლა, იმისი ლანდი ხარ,
მეც ჩემ გზას ავცდი, პირიმზევ,
შენც, სხვა ბილიკით დადიხარ.
შენიც ჩამქრალა ლამპარი,
სხვა ქარმა გადაყოლა,
ასე დამთავრდა ზღაპარი,
იყო... და... არა იყო რა...
10. 02. 2025





შემინდე ლმეროო!

ო, რა ბავშვურად წამოვედი ჩემი სახლიდან,
დავტოვე კერა, დედა შვილი, ვინც, მე, მიყვარდა,
ბედნიერება რომ მეგონა, ვნახე ახლიდან,
ღმერთმა, ის, ცოდვა, მისხალ-მისხალ გადამიხადა.
დრომ დამაბერა, გამახუნა, დამთოვა თმაში,
ვერ დავივიწყე სოფლის სითბო, ვერა და ვერა,
რა, ნაღვლიანი დავბრუნდები საჯუთარ სახლში,
რომ... იქ, დამხვდება, ჩანავლული ჩამქრალი კერა.
ვნახავ ჩემს მარანს, პაპისეულ ყანწს და ფიალას,
კედლიდან მიცქერს დედაჩემის სახე, მწუხარი,
ის მომცემს ძალას, მომაშორებს დარდს და იარას,
ავამიანო, შემჭვარტლული, ჩემი ბუხარი.
მინდა მივხედო სახლს და ეზოს ბალახმორუულს.
მამა-პაპეულ ფანდურს მივწვდე, მისვლა ვახარო, –
წავულილინო დაუვიწყარ, ძველ დროს, შორეულს,
„შავი ჩარჩოდან“, დედის სახე რომ გავახარო.
მიჭირს, რა ვუთხრა, რა მოუყევე მოუვლელ ვენახს?!..
მისი დანახვა, სულს შეძრავს და გამატიალებს,
დალონებული, ცრემლიანი მოუვალ, მვერა, –
იქ, ყველა ვაზთან, დედაჩემის სული ტრიალებს.
შემინდე ღმერთო, თუ კი, რამით, შევცდი თავიდან,
შენც მაპატიე, ჩემო ეზოვ, მწვანევ და ნედლო,
ისიც მაკმარე, რაც, უშენოდ, წლები გავიდა,
რომ... აღარ ვიცი, ამ ტკივილით რას მივეკედლო?!.
ჩემი დაისიც შეიფერა, წელი წელს მისდევს,
და... სინანული, საგლოველი ტვირთივით დამაქვს,
ობოლ ბაქშვივით ვდგავარ ახლა გზაჯვარედინზე,
რომ... წასასვლელი, სხვა გზა-კვალი, დღეს აღარა მაქვს.
გაფრინდა წლები, უმიზნოდ და... უმისამართოდ,
ხრმაგ ცხოვრებამ, გული ორად გამაყოფინა.

25. 01. 2025





ეთიო გუგეშავილი

მარტინ გუგეშავილი

მავშევების მოგზაურობა, დედასთან ერთად, დაიწყო... ავტობუსი მწირე სიჩქარით მიაპონდა ერთად მოზღვავებულ ქანს, თოვლის და წყიმას. ჩანდა გზიდან გადავარდნილი მანქანები. ასეთ ამინდში, ნეკა, თვითმფრინავი აფრინდება?.. ავტობუსმა მგზავრები მიიყვანა დანიშნულების აფგილაძე. ფრენაკ შეფგა.

ეროვნობრუში მწირე სასტუმროს მასპინძელი მარია იურის და ფაქტოულებულ მოლოდინში სიგარეტზე ეწევა. როგორც იქნა, ქართველ სტუმრობს ძველი მეგონავით ჩაეხუცა, ჩაისა მანქანში და სახლში ნავარიალა. სახლში ძალების არმია შეეგებთ, თხო ძალით ზედ შეძეგათ სტუმრობს, მეგონრულ წარველებს სტუმრები პუკორებით.

ქ. გუგეშავილი

მარტინ გუგეშავილი

გარეთ... საზღვარგარეთ...

თავი I

იყო საფიქრალი... ფიქრში არეული მღელვარება... განცდებში თანდართული შიში... ერთად თავმოყრილი ემოცია, უძილობა, შრომითი დაღლა, ყოველდღიურ მონოტონურობას თან ერთვოდა საახალწლო ღონისძიებები, საბუთების მოგვარება, ფინანსების მოძიება და, რაც ძილს აფრთხობდა, რაიმეს სწორედ ვერ გათვლის შიში...

საფრთხეების მოლოდინი უფრო მეტად გიმბაფრებს საფიქრალს როცა მხოლოდ დედას გაქცს პასუხისმგებლობა ორ მცირენლოვანზე, და თან, ცდილობ მათ არაფერი აგრძნობინო. ეს ზე პასუხისმგებლობა და საკუთარ თავზე უკიდეგანი შრომის აღება, ხომ, სტრესის განუყოფელი ნაწილია.

დედამ, რომელმაც ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო მცირენლოვან შვილებს კიდევ უფრო გაუფარ-

თოვა მსოფლმხედველობის არეალი. ისინი, არა საქართველოში, არამედ უკვე ევროპის ქვეყნებში იწყებენ მოგზაურობას. ამჯერად, პირველი მასპინძელი პოლონეთია, – ქალაქი კრაკოვი, რომელმაც თავისი სილამაზით ისე მოხიბლა გერმანელი ფაშისტები, რომ მათ, ის არ დაანგრიეს. სილამაზემ გადაარჩინა ქალაქი მიწასთან გასწორებას.

სწორედ, ეს, ძველი ქალაქია დღეს, ჩვენი მასპინძელი და ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირზე გვხმობს თავისკენ.

სიახლეების მოლოდინი, შიში, მღელვარება, ნერვიულობა, უძილობა და მთელი რიგი ემოციები ელვარებენ ჰორიზონტის დისკოზე... თვითმფრინავი აფრინდა... კრაკოვი გველის...

თავი II

ბავშვების მოგზაურობა, დედასთან ერთად, დაიწყო... ავტობუსი მცირე სიჩქარით მიაპონდა ერთად მოზღვავებულ ქარს, თოვლის და წყიმას. ჩანდა გზიდან გადავარდნილი მანქანებიც. ასეთ ამინდში, ნეტა, თვითმფრინავი აფრინდება?.. ავტობუსმა მგზავრები მიიყვანა დანიშნულების ადგილამდე. ფრენაც შედგა.

აეროპორტში მცირე სასტუმროს მასპინძელი მარია იცდის და დაუსრულებულ მოლოდინში სიგარეტს სიგარეტზე ეწევა. როგორც იქნა, ქართველ სტუმრებს ძველი მეგობარივით ჩაეხუტა, ჩაისვა მანქანაში და სახლში ნააგრიალა. სახლში ძალების არმია შეეგებათ, თხო ძალით ზედ შეახტათ სტუმრებს, მეგობრულ ცხოველებს სტუმრები ჰყვარებიათ.

მოენყვნენ ქართველები თავიანთ დაჯავშნილ

ოთახში. გერმინილი პოლონერი საუზმის შემდეგ, დამოუკიდებლად გაისეირნეს ქალაქში და „დაიკარგებნ“. თავდაპირველად, სეირნობდნენ, ქალაქს ათვალიერებდნენ და სუსხის მოუხედავად ფოტოებს იღებდნენ. შემდეგ, უკან, სახლში დაბრუნების სურვილი გამძაფრდა, გამოიცვალეს ათამდე ავტობუსი, ოთხი ტრამვაი და ტაქსიც, თუმცა ვერც ერთმა ვერ მიიყვანა ძალებიან მასპინძელთან. თავგადასავლებით დაიხუნდლა პირველი დღე, რასაც თან ახლდა სიცივე, შიმშილი, ჩრდილოურ ამინდთან ადაპტირება და, მცდელობა – გარეუბნის ავტობუსის გაჩერების პოვნის.

იმ დამეს, საქართველოდან პოლონეთში ჩაფრენილი და ადგილობრივი ხედებით გაჯერებული ქართველებისთვის სიზმრებსაც არ მოუცლიათ....



თავი III

პოლონურ ზამთარს ქართველებმა, როგორც ჩანს, თავისი ქვეყნის თაკარა მზე დაუმატეს. საინტერესო იყო ყოველი დღე, ბაგშები მონაწილეობას დებულობენ არა ერთ ტურნირზე, არამედ, ორზე. ერთი – ასაკობრივი და, მეორე – რეიტინგული. ასაკობრივი, დღეში, სამი პარტია და რეიტინგული – დღეში, ერთი თამაში. მთელი დღე ტურნირის მასპინძელ სასტუმროში უნევთ ყოფნა და განცდა, ემოციათა ცისარტყელა თამაშობს მათ გულებში. ეს პარტია წავაგე, შემდეგს მოვიგებ, ან, ეს პარტია მოვიგე და შემდეგსაც მოვიგებ. იმედი ცოცხლობს გულებში. ეს, პირველი ტურნირია გარეთ, ქვეყნის გარეთ. უცხოა ხალხიც, გარემოც, ქალაქიც, ქუჩებიც, უმძიმესად მორახრახე ტრამვაებით გადაჭედილი გზები, უამრავი ხიდები ზედ ლიანდაგებით.

ტურნირის ემოციას ერთვის ქალაქის გაცნობა-შეცნობის ხიბლი, უკვე, აღარ არის რთული, ნაქირავები სახლისკენ მიმავალი გზის და ავტობუსის პოვნა.

იმედი მეფობს გულებში და რწმენა უფლისა, ყველაფერი კარგად იქნება, ნაკლებად იგრძნობა ქვეყნაში, მაგრამ კარს ახალი წელი მოგვდგომია, დრაკონის გამოქვაბულის ქალაქს დრაკონის წელი ეწვევა...

ბედნიერი და მშვიდობიანი წელი ყოფილყოს ცეცხლოვანი დრაკონის წელი ყოველი ადამიანისთვის...

მწვანე დრაკონი ყოფილყოს თითოეული ჩვენ-განის გულში გაზაფხულის მომყვანი...



37

მხატვარი სოფიო ჭელიძე

თავი IV

ჩაიარა პოლონურმა ახალმა წელმა მშვიდად და ხმაურის გარეშე, არაქართულად და არა ხმაურიანად, ზედმეტი გადაჭარბებისა და დატვირთვის გარეშე.

ჭადრაკის ტურნირებიც დასასრულს მიუახლოვდა. უკვე, დარჩენილი დღეების უკუთვლა დაინყო.

ბევრი ადგილის დათვალიერება მოვასნარით, განსაკუთრებით, ქალაქის ცენტრის ფეხით შემოვლა იყო საინტერესო. მართლაც, ბევრი ლამაზი ეკლესია და ბაზილიკა იმშვენებს თავს, უხვად არის თავმოყრილი მონუმენტური ნაგებობები. ასევე, ბევრია ბაზრობები. ამ ლიანდაგებითა და ხიდებით დაქსელილ ქალაქში სუფერს სიმშვიდე, ჰარმონიულობა. ყველას თავის ცხოვრება აქვს და თავის საქმეს აკეთებს. არავინ ლანძღვას სხვას თავისითვის დადებითი იმიჯის მოსაპოვებლად.

მომენატრება, წეტავ, აქაურობა? ეს, ხომ, პირველი ვიზიტია ევროპაში ჩემი და ჩემი შვილების...

ადგილზე ყოველთვის ყველაფერს ვერ აცნობი-ერებ და ვიზიტის ბოლოს გრჩება მოგონებები ასახ-

ული კადრებად.

მოიწყინე? ფოტო-ვიდეო მასალა შეგახსენებს შენი ცხოვრების ჰაეროვან მომენტებს... მოგენატრება? მაშინ, კვლავ, დაბრუნდი მომდევნო ტურნირზე, უკეთესობის იმედით. მანამდე კი შენი ქვეყნის ძვირფასი ჰაერით, კულინარიული შედევრებით და ცხოვრების ქაოტური აურზაურით დატკი.

საერთაშორისო ტურნირმა, თავის მხრივ, საინტერესოდ დაგვამახსოვრა თავი. მივიღეთ კარგი გამოცდილება და დავიმსახურეთ რეიტინგი. აქ, მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ასაკის მოქადრავე და ბავშვებისთვის, ასეთ ჭიდოლში, თავის კარგად ნარმოჩენა იყო პრიორიტეტი. საკუთარ ასაკობრივ კატეგორიაში V-VI ადგილები გაინაწილეს, კმაყოფილი და დამუხტული დაუბრუნდნენ სამშობლოს, – შემდეგ ტურნირებში ახალი შემართებით თამაშისთვის...

შეუპოვართა დიადემა კვლავ გაიელვებს ჩვენ-სავ ცარგვალზე...

ოლქა №2, 2025





გიული ჩიხიაშვილი

გაზაფხული

მივალ, მიმიხარია,
თითქოს სადღაც მელიან,
წინ – მაღალი მთებია
და... ხასხასა ველია...
ისე მხიბლაქს სინორჩე, –
გაზაფხულის და... დღეთა,
როგორც – ჩუმი შრიალი
ცად აწვდილი ამ ხეთა.
მზე, – ბრდლვიალა დილისა,
ზედ, ამ, მთებზე ჰკიდია,
ნაკადული რაკრაკებს,
და... ცაც ისე მშვიდია,
გეგონება – ედემი,
ან – სიზმარი დილისა...
ილიმება აპრილი, –
მსგავსი თეთრი ფარჩისა,
მოკისკისე ნუშების, –
ფერი – მათი კაბისა.

კამშობლო

სამშობლო, განა, მარტოდენ,
ბალ-ვენახები, მთებია?!...
ფერადი მდელოები და...
ზღვა სილამაზის ფრთებია...
სამშობლო – სიყვარულია,
სინათლე – ორთავ თვალისა,
იმედია და ნუგეში, –
დღევანდელი დღის, ხვალისა.

წარსულში მომხვდურთ ომები,
დღეს – შემდგარი და ძლიერი,
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“
გამარჯვებულის იერით.
სამშობლო – წმინდა ტაძარი,
სალოცავია, – ბიბლია,
სამშობლო ქეთევანია,
დემეტრეა და ილია.

ქარები

არავინ არ იცის, არც – თვითონ იციან,
საიდან მოდიან, ან, საით მიდიან,
დაგეშილებიყით, ალმართ-დალმართზე –
დაქრიან... დაქრიან – დღეა, თუ, ბინდია.
გადაუქროლებენ ხვავიან ველ-მინდვრებს
და... აცრემლდებიან ლურჯთვალა იები,
დალონებულები რჩებიან: ხეები,
დაფნები, შინდები თუ, აკაციები.
არავინ არ იცის, არც – თვითონ იციან
კვლავ, იძალადებენ, როდიდან – როდემდე?...
თავაწყვეტილებო, უსულგულოებო,
გეყოფათ წვალება – საიდან, სადამდე?...
არავის არა გვსურს თქვენი ძალადობა
ვითომ, მიდიხართ და... ისევე, უხვევთ თან!
ერთხელაც იქნება, რომ... თქვენ ალმოჩნდებით
ძლიერ და უშიშარ, –
პირისპირ მუხებთან!...

ნეტავი...

ამ ცის ნათელში,
ზოგჯერ, ბინდია,
გამიბატონდა სიმუხთლე ბედის,
და... ბედის ფონზე –
პეპლების როკვა,
როკვას მაგონებს,
სან, თეთრი გედის.
წლებმა ნისლივით
გადამიარეს,
გულში ვხატე და...
არც – სული ვივნე,
ნეტავ, თუ არის –
ქვეყნად ისეთი,
თუ, ვუყვარდე და...
ვახსოვდე ვინმეს?!



საბავშვო ლექსები

ვანო ჩხიპვაძე

მეტელი და მეტელი

გამოიწონთ, რად იყო
ლექსო უგუნეროდ?
თურმე შინიდან გასულ
ქოლგაგაშლილ ზეროს,
ქარმა ხელი სტარა –
საფლავ გრიფავა!

ამა, როგორ მოძებნოს,
ქარაშლი ზორგავს,
ან ზერია,
ან მისი
ფილი, ჭრელი ქოლგა.

ვ. ჩხიპვაძე

39



ოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი მოლოდი

მერწელები

შემოდგომით მიფრინავენ,
ჩვენი ქვეყნის ზეცის შვილებს,
ცარიელი ბუდეების
მონატრება მიაცილებთ.

ვიდრე გამოიზამთრებენ,
გულს ისეთი ნალველი აქვს –
მერცხლები უცხოობაში,
რომ იცოდე,
არ მდერიან.

მხოლოდ ჩვენთან უნდა შეხვდნენ
აპრილებს და მაისობებს,
საქართველოს ცაში, მაინც,
სხვანაირად ხალისობენ!

იქ როგორ იჭიკჭიკებენ,
შეარხევენ ყელის სიმებს,
ჩვენებური წყაროს წვეთით
ყელი თუ არ ჩაიწმინდეს?!..

უკან როცა ბრუნდებიან,
გამოჰყევი ზურგის ქარო,
რომ მერცხლებმა,
გაზაფხულის,
მოსვლა დროზე მოგვახარონ!

ფორილები

ხუთი დობილი, ხმოვანი,
ანბანის ხუთი ფერია,
რამდენი საუკუნეა
რაც ერთად მომდერიან:

„ია – უაო – უაო“ —
ჩვენც გვიყვარს ჭადის ყუაო,
მინდვრის ლობი, ქოთანში
ამოზელილი თუაო.

მშვენებავ „დედაენისა“ –
სურნელოვანო იაო,
ჩვენი მეექვსე დობილი
შენ ხარ და შენა გქვიაო!

ბანები თანხმოვნებისა
ხმოვნებთან ერთად ხმიანობს,
ქართული სიტყვის ჩუქურთმას
ცალ-ცალკე ვერ მოჭრიანო!

ამაღლდი, ჭერო, ამაღლდი,
უფალი შეგვეწიაო,
ანბანის მანათობელო –
„ა – ე – ი – ა – ო – იაო“,
ოცდაცამეტი სანთელი
მუხლმოყრილს ამინთიაო!

ქოლგა და ზერო

გამოიცნობთ, რად იყო
ლექსო უგუნებოდ? —
თურმე შინიდან გასულ
ქოლგაგაშლილ ბებოს,
ქარმა ხელი სტაცა –
სადღაც გაიტაცა!

აბა, როგორ მოძებნოს,
ქარაშოტი ბორგავს,
ან ბებია,
ან მისი
დიდი, ჭრელი ქოლგა.

აქამდე რომ არ ჩანს,
ნეტავი სად ჩარჩა?

ქარო, როგორ გაბედე,
ხელი როგორ სტაცე,
არამარტო სტაცე,
კიდეც გაიტაცე.





დაემუქრა ბიჭი:
— მანანალა, ცეტო,
მოგიმწყვდიო,
ოთახში
თუ არ გამოგკეტო!

შეაშინა მუქარამ,
დაფრთხა ეს ანგალი,
ვერ გაუძლებს ტყვეობას
ლალი ნიავეარი.

ჰოდა, როცა ხელახლა
ისევ ამოქროლდა,
ფანჯარასთან ჩამოსვა
ბებია და ქოლგა.

ლახფი

აქეთ — მტერი,
იქით — მტერი,
ნინ მტერი და უკან — მტერი,
ვერ უცვალეს მაინც ფერი —
დედა ლვთისმშობელი შველის!

ეს ცა რომელს უფრო უყვარს —
მზე და მთვარე კამათობენ,
თეთრი ცხენით მიგვიძლვება,
შებით გმირავს ქრისტეს მგმობელს.
გიორგის ვინ დაგვიმარცხებს,
გამარჯვების მანათობელს!

დატრიალდი, აბა, ჟერი,
შენც არ შეგიცვალონ ფერი,
სამშობლოც ხომ ლახტის წრეა,
არ შეუშვა შიგნით მტერი!

ძველებურად იყოჩადე,
გაიხსენე, როგორ ქუხდი,
„მტერი“ შიგნით „შეიტაცე“,
ანდა, გარეთ გამოუხტი!

ეგ მარჯვენა,
საქართველოს,
გადაარჩენს, ახლაც მჯვერა,
შენი ლოცვა გააბრნებულებს
შენი პირჯვრის გადაწერა!

გაუზობა

ჩამოგჭიკუჭიკა მერცხალმა
რაც ხდება, უცხო როდია,
ნავიდნენ თოვლის ფიფქები,
აჭმის ფიფქები მოდიან.

თოკო, ბევრი არ იფიქრო
გამოიცანი, მითხარი,

ვინ აამწვანა მინდვრები,
ხელები ნაგვირისტალი?!

ნუ ემუქრები წიწილას
დაუნდობელო, პნკლიანო,
რომ მოვეფერო
მაცალე,
ქორო, არ წაანიალო!

სხივებო, გაახალისეთ,
ვინც ნაზამთრალი ტყვეაო,
ბელურას გულში ჩახედე,
დარდები გაანიავოს.

ბებერ ობობას აღვიძებს
ფუსფუსი ფურისულების,
ქსელსა ქსოეს,
რომ შიგ გააბას
ბზუილა ბუზი, სულელი!

ჩიტები ააჟივეუვე
დლეო, თბილო და მზიანო,
ხანდახან წამოუბერავს,
მინდვრებში ქარი ხმიანობს,
პეპელას კოპლებიანი
კაბა რომ აუფრიალოს.

გაღვიძებულო დათუჩავ,
სულ რომ ბუზლუნებ,
მშაო,
ფრთხილად, ფეხი არ დაადგა,
ცოდვა არ დაატრიალო —
ენძელა, ყოჩივარდა და
ია არ დააზიანო!..

— მადლობა!
ყვავილებმა რომ
სულ შენთან ერთად ვიაროთ,
შენი სახელიც გვითხარი!..
— მე გაზაფხული მქვიანო!

რიკი თეთრი წვერით

ჯერ ნორჩია, მოსაწყენად
რიკის სადა სცალია,
ხარიხიდან ხარიხაზე
დახტის, როგორც კალია.

ეკითხება თოკო ბებოს,
რალა დასამალია —
პაპას გაჭალარავება
თუ სიბერის ბრალია,

ჩვენი რიკიც,
როგორც ყველა,
როცა ჩამობერდება,
ყვითელი ბუმბულის ნაცვლად,
თეთრი წვერი ექნება?!



326 ჩეიკვაძე

თოკო და „ლექტორი“

შეგიძლია ეკვატორზეც
დააყენო უცებ ბული,
ტახტზე წამოგორებული,
დედამიწას შემოუვლი.

თოვით მაშინაც დატებები,
მაისიც რომ ჩავლილია,
მაინც შენზე ბედნიერი
მინდვრის ციცქნა ყვავილია.

ჯეჯილში ამოღერილი
ვის არ ნახავს,
რას არ ნახავს –
გაიგონებს, ხიდან ბარტყებს
ჩიორამ რა ჩამოსძახა.

ტოროლა თუ აფრინდება,
სანადირო ძალლის კუდო,
არ გაბედო,
მიეკარო,
სადაც მწყრის ოჯახი ბუდობს!

ბუჩქის ძირას,
ლურჯთვალება
ია, მზის გულზე რომ თბება,
ბილიკი რომ სერ-სერ გარბის
და უღრანში იკარგება.

ვარდს „ლეპტორშიც“ მიხაკისგან
გამოარჩევ, გამოიცნობ,
მაგრამ, თუეკი არ დაყნოსავ,
სურნელებას როგორ იგრძნობ?!

აქეთ ფშანი,
იქით – ველი,
გუთანს ჯერ რომ არ მოუხნავს,
კოხტა ბიჭი

კოხტა გოგოს
ზიზილების გვირგვინს უწნავს.

აქ როგორ არ დაიმღეროს,
თებრო გოგომ,
ბიჭმა მიხომ,
ან მერცხალმა, ჭიკიკელამ,
ხმა როგორ არ ამოიღოს!

ხან ბულბულის სტვენა გიხმობს,
ხან – გუგულის
„კაფე-თესე!“
„დედაენიდან“ გეძახის
ქვასროლია ბიჭი სესეც:
– ვერც ცხადში და ვერც სიზმარში
ვერსად ნახავ ასეთ მხარეს,
ცხვირი რომ დააცემინო
ქვაც კი გეტყვის:
– გაიხარე!

გრძუჭული ჩიჭი

გვიკვირს, რა მოუვიდა,
ვინმემ ხომ არ გათვალა,
ასე რამ დაამუწვა
ჩიტი ენაჭარტალა.

თოკოსაც დაემდურა
თავისავით პატარას,
ან მათ შორის,
ნეტავი,
ენა ვინ გაატარა!

კაიხანს რომ გვაწვალა,
ჩვენთან უბრად რომ იყო,
მოწყალება გაიღო,
ბოლოს ხმა ამოიღო:

– გუშინდლიდან აქამდე,
წყლის წვეთები ვიკმარე,
არც მწვანილი მომეცით,
ფეტვიც არ დამიყარეთ!

თუ თქვენ, როცა მოგშივათ,
მხოლოდ „მშიას“ იძახით,
მე როგორ გიგალობოთ
ცარიელი ჩიჩახვით?!

მეც ხომ უნდა გამიგოთ,
გაგებუტეთ მაგიტომ!

ჰოდა, მინდა, გახსოვდეთ,
როცა დაგავიწყდებით,
ავდგები და სულ ასე
გაბუტული ვიქნები!



სამხეურში

ულრანეთში თუ არ ყმუის,
არ მიარღვევს ლელიანს,
აბა, ის რა ლომი, ანდა,
რანაირი მგელია!

გული როგორ არ მოგიკვდეს,
როცა ექებს ნამცეცებს,
გალიიდან
ვეფხვი მორჩილ
თვალს რომ შემოგაცეცებს!

42



თავისუფალი ნავარდი,
რომ არც დასიზმრებიათ,
ტყვეობაში ჩნდებიან და
ტყვეობაში კვდებიან!

ასე როგორ დაიმონე,
ბედისწერავ, ტიალო,
ვოლიერში მბრძანებლის
აჩრდილი დაყიალობას –
მენატრება, ამოხეთქო,
ჯუნგლის მეფის ღრიალო!

ფათვის გასაჭირი

სცდება, ვინც კი გაიფიქრებს
ქვეყნად უძლეველი მე ვარ!
მოგონილი არ გეგონოთ,
იშვიათად ასეც ხდება –
ქვას წვეთი ხვრეტს,
ბურლი – რკინას,
დიდს პატარა მოერევა.

ყელში ძმრად ამოადინა,
რაც აქამდე ემსახურა,
ასტყივდა და ციცქა კბილმა
ჭიანმა და გამოხრულმა,
ულრანეთი გააყრუა,
დათვი ისე ააღმუვლა!

ომი

დაერივნენ ერთმანეთს,
გრძელკლანჭა და გრძელფრჩილება,
მინას მათი ბუმბულის
შავი ფერფლი ეფინება.

ბუდეები აიკლეს
არავინ გაახარეს –
გააქვთ მოთქმა-ჩხავილი
დაობლებულ ბახალებს.

დარდობს ნადირ-ფრინველი,
ცეცხლი თუ არ ჩაქრება –
ყვავეთი და ყორნეთი
სულმთლად გაჩანაგდება!


ბრძენ ბუს თუ დავუჯერებთ,
მაშინ ხდება, რაც ხდება,
ჭკვიანიც და სულელიც
როცა გამოლაყდება.

საყვავეთში ომია,
საყორნეთშიც ომია,
ვინც მეტ ბუდეს დაანგრევს,
გამარჯვება ჰერნია.

გასაყოფი რაღა აქვთ,
როცა შეუბანებენ,
ორივენი ერთ ხმაზე
მაინც არ ყრანტალებდნენ!..

მხოლოდ ტურა ზეიმობს,
ნათესავი ნათესავს,
ჩუმ-ჩუმად რომ წაჟიდა,
სამტროდ ვინც წააქეზა!

ასე რომ გააგრძელონ,
ფეხი არ მოიცვალონ,
სიყვარული ბარტყებმა
ვისგან უნდა ისწავლონ?



ნუნუ ძამუკაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბავშვო პერიოდი

პატარა გშენებლები

— დედა, კუპიკები მიყიდე რა, სახლი უნდა ავაშეონ? — სთხოვს პატარა ნიკა დედას.

დედა საქმეშია გართული და ვერ გაიგონა ნიკას ნათქვამი.

— დედა! — საშენი მასალა მიყიდე, გთხოვ!

— კარგი, შვილო, მოემზადე და წავიდეთ მაღაზიაში.

ბებომ ყური მოჰკრა ნიკას ნათქვამს და გაეპასუხა.

— სწორედ, დღეს მივიღე პერსიის ფული, მოგცემ სათამაშოების საყიდლად!

ნიკას დედას ესიამოვნა დადამთილის შეთავაზება.

— წავიდეთ, შვილო, სათამაშოების მაღაზია არც ისე შორსაა.

ხუთ წუთში მზად იყენენ მაღაზიაში წასასვლელად. შევიდნენ მაღაზიაში და ...რა გინდა სულო და გულო, რანაირი სათამაშები აღარ იყო გამოიფენილი! ნიკამ თვალი მწვანე ავტომობილს დაადგა. ბებოს ნაჩუქარი ფულით ავტომანქანაც მოუვიდათ და საშენი მასალაც.

ბებოს და პაპას ძალიან მოეწონათ ნაყიდი სათამაშოები. ნიკამ, ჯერ მწვანე ავტომობილი ატარა წინ და უკან. შემდეგ, ლამაზად შეფერული ყუთიდან კუბიკები ამოალაგა და კოხტა ავტოფარეხი აუშენა მანქანას.

— წია, წია, წია, — შემოეხვივნენ გარს გულყვითელა წინილები.

— რაო, ფუნჩულებო, საქათმე გინდათ აგიშენოთ? ...აქ, ხომ უამრავი კუბიკა! — დედა, რამდენი წინილა?

— ნიკამ თვალა, თვალა, და... ხან, თოთხმეტი წინილა გამოიყვანა, ხან თხუთმეტი.

— თხუთმეტია შვილო! — უპასუხა დედამ

ლამაზი, მოზრდილი საქათმე თხუთმეტ წანილად დაჰყო. თითო თვალში, თითო წინილა ჩასვა. კრუხი, ჯერ, ვერ ხვედებოდა, რომ წინილები აკლდებოდა, მაგრამ... როცა, წია-წიას ხმა გაძლიერდა, მიაყურადა. წინილების ხმა ნამდვილად პატარა მაგიდიდან მოდიოდა, სადაც ნიკა ბიჭს მშენებლობა ჰქონდა გაჩაღებული. კრუხი ერთი აფრთხილად და... ფრთხების ერთი მოქნევით ნიკას მთელი მშენებლობა დაუწერია. წი-

ზაფხულის, საფლავი, შორიდან მოესმა კეთილი ნიავის ჩურჩული: „სადა ხარ?“ — აქა, მოფიცარ, მოფიცარ, გზაში ვარო, — იყო პატარი.

— რაო, ნიავო, რაშია საქმე?!

— რა, შენი სიკეთეები ჩამოთვალეო.

— მე არასოდეს ვლენდარკუორ ჩემს სიკეთეზე მაგრამ, რახან, ასე გსურს, მწირის გატყვი! ხილის ვამწიფებ: ვაშტას, მსხალის, შალის, ალუბალის, მარწყას, ყურძეს მოსანევად ვაშტადებ, მზინარები ხულის ვაზონობ, მავშევებს არწადეგებზე ვასებები და... რა ვოწი, რა... რომელი ერთი ჩამოთვალი, მაგრამ... მაგრამ... ვერაფერ სიკეთეს ვერ გავაკეთები, მზე რომ არ მეშველებოდეს და არ მეშმარებოდეს...

6. ძამუკაშვილი



ნილები, ერთიმეორის მიყოლებით, ჩამოთვრინდნენ მაგიდიდან.

— შვილო, რატომ დაანიოკე კრუხ-წინილა?.. — იკითხა ბებომ.

— რა ვიცი, ვთამაშობ ბებო! კრუხ-წინილას წყენა არ მინდოდა! ზურა! ზურა! — გასძახა მეგობარს, — აი, რა ლამაზი ავტომობილი და საშენი მასალა ვიყიდე.

ზურას ძალიან მოეწონა მეგობრის სათამაშოები. ნიკა მოუყვა როგორ გაუბრაზდა კრუხი.

— თოჯინებს ავუშენოთ დიდი, ლამაზი სახლი, გაუხარდებათ! არც ჩემს დას ეწყინება და არც შენს დას. ცეკვიდან რომ მოვლენ ძალიან გაუხარდებათ!

დიდი ორსართულიანი სახლი ააგეს. ეზოსაც,



მხატვარი სოფიო ჭელიძე





ნურ ქამუკაშვილი

კუბიკებით, კოხტა
მესერი შემოავლეს,
და... შიგ ყვავილებიც
დარგეს. ამ დროს,
ნიკას დაიკოს, ეკას
ხმა გაისმა:

— ჩვენ, მე და
ლელას არ გვათამა-
შებთ?

— მოდით,
მოდით გოგონები,
ოლონდ, თოჯინები
მოიყანეთ. ნახეთ,
რა ლამაზი სახლი
ავუშენეთ.

გოგონებმა შეა-

ქს მშენებლები:

— ეტყობა თოჯინებსაც მოეწონათ ლამაზად
მოწყობილი სახლი.

— აი, ეს კი მესმის! — გაისმა ნიკას მამის, გიას ხმა,
— ნამდვილი ინუინერ-კონსტრუქტორები ყოფილხართ!
ყოჩაღ, ყოჩაღ, აი, რას ნიშნავს საქმის სიყვარული!
კრუხს კი ის ეწყონა, შვილები რომ ვერ დაინახა, ეგონა
ნაართვი!

შექებით ძალან გაიხარეს ბავშვებმა, და... თქვეს,
ხვალ, მეგობრებსაც მოვუყვებით ჩვენი მშენებლობის
ამბავს! მათაც ვათამაშებთ, მშენებლები ვართ, ნამდ-
ვილი მშენებლები!

მზემ ხელი დაუქნია ბავშვებს, ახლა კი დაისვენეთ,
კარგად იყავითო და... მთებს მიეფარა.

„ნეტავ, კრუხი ჩემზე ისევ ბრაზობს?..“ — ამ
ფიქრში ტკბილად ჩაეძინა ნიკას.

გზის შვილები...

— რა კარგია გაზაფხული, რა ლამაზი, რა ცერია-
ლი! მარტის თვე გახალისდა... ამ დროს, ნიავმა ამოირ-
ბინა ფერდობი და ბაშლილ მინდორზე გაიშალა.

— ბავშვებო, აი, თურმე, სად ყოფილხართ! კონ-
ცერტი გაქვთ ამ მდელოზე?— გაიბადრა ნიავი.

— ნიავო, ნიავო, ლექსებს ვამბობთ: გაზაფხულზე,
მზეზე, ყვავილებზე, პეპლებზე, ფრინველებზე. ჩვენ
ნელინადის ყველა დროს ვუძღვინთ კონცერტს.

— მე შორიდან გისმენდით, ბავშვებო, გააგრძელეთ
ლექსების თქმა.

ბავშვების მიერ ნათქვამმა ლექსები ყველა
დაატკბო, რამდენი ლექსი ყოფილა გაზაფხულზე?!...
გაზაფხულმა დიდად გაიხარა, დიახ, პატარებო, პო-
ეტები ლექსებს წერენ გაზაფხულზე, მხატვრები ხატ-
ავენ ლამაზ სურათებს, ხოლო, მუსიკოსები — მუსიკას
წერენ...

ნიავი კი ფიქრობდა, — გაზაფხულზეც ბევრი ლე-
ქსები გამიგონია, ნახატებიც მინახავს, შემოდგომაზეც,
ზამთარზეც და... მოგზაურობა განაგრძო.

ზაფხულს, სადღაც, შორიდან მოესმა კეთილი ნია-
ვის ჩურჩული: „სადა ხარო?“ — აქაო, მოვდივარ, მო-
ვდივარ, გზაში ვარო, — იყო პასუხი.

— რაო, ნიავო, რაშია საქმე?!

— აბა, შენი სიკეთები ჩამოთვალეო.

— მე არასოდეს ვლაპარაკობ ჩემს სიკეთეზე მა-
გრამ, რახან, ასე გსურს, მცირეს გეტყვი! ხოლო ვამ-
ნითებ: ვაშლს, მსხალს, ბალს, ალუბალს, მარწყს,
ყურძენს მოსაწევად ვამზადებ, მდინარეში წყალს ვათ-
ბობ, ბავშვებს არდადეგებზე ვასვენებ და... რა ვიცი,
აბა... რომელი ერთი ჩამოვთვალო, მაგრამ... ვერაფერ
სიკეთეს ვერ გავაკეთებდი, მზე რომ არ მეშვეობოდეს
და არ მეხმარებოდეს...

-- შენზე ლექსები გაგიგონია?.. — ზაფხული
დაფიქრდა...

— ლექსები უამრავია, სიმღერებიც, ნახატებიც
საინტერესო, ლამაზი სანახაობებიც.

— მადლობთ, მადლობთ ზაფხულო, ახლა შემოდ-
გომისაკენ მივქრივარ!

— რაო, ნიავო, რაზე მესტუმრე? — გახალისდა შე-
მოდგომა.

— აბა, შენი დამსახურებები და საჩუქრების შეს-
ახებ მიამბე!

— რახან, ასე გინდა, გეტყვი! მზესთან ერთად
ბადაგს ვუსვამ ყურძენს, ასევე, ნობათად: კაკალი და
თხილია, კომში თუ ატამი, ქლიავი, ჩურჩხელები ხომ
უამრავი!

— ლექსები თუ გაგიგა შენზე? — და, უცებ, შე-
მოდგომამ წაიმდერა: „რა კარგია შემოდგომა, დივლი-
დალალეო, ვაშლი, მსხალი და ატამი დივლიდალალეო,
ყველაფერი ჩვენთვის არის, დივლიდალალეო... არ მო-
გისმენია? — ბავშვები, რომ მლერიან, ან შემოდგომა
მოსულა, თავს იწონებს ყურძენი, — ყველას, — დიდს
თუ, პატარას, რა ნობათი ვუძღვენი...

— კარგი, კარგი, სასიამოვნო იყო შენთან საუბარი,
შენი საქმე გააგრძელე... ახლა, მე ზამთრისკენ მივდი-
ვარ!

ზამთარსაც გაუგია შემოდგომის და ნიავის საუ-
ბარი და... დაიწყო, — ბავშვებს როგორ ვუყვარვარ,
როგორ ელიან ჩემს ფიფქებთან თამაშს, თოვლი, ციგა,
გუნდაობა, თოვლის პაპასთან თამაში... ფისოც და ცუ-
გრიაც კი თამაშებნ ჩემთან და... ახალი წელიც, ხომ,
მე მომყავს?.. ხანდახან, ზამთრის მზეც ჩვენთან არი-
სო!..

ნიავი უსმენდა ყველას და, ბოლოს, სიყვარულით
თქვა:

— ყველაზე მეტი ლექსები, სიმღერები, ნახატები
მზეზე იქნებაო!

დიახ, წელინადის ყველა დრო დაეთანხმა: იმიტომ,
რომ, მზე ჩვენი მაცოცხლებელიაო! ხომ, ასეა, მზეო?..

მზემ გაიცინა, უსაზღვრო სიყვარულით და...
მოშხიბლავად მიცურავდა ცის კამარაზე, — წელინადის
ყველა დრო, ჩემი შვილიაო!.. ცხრათვალას კი მეძახიან,
მაგრამ... სხივებიც და თვალებიც დაუთვლელი მაქსო,
ამიტომ, მაცოცხლებელ სხივებს კოცნით ვუგზავნიო
დედამინას!..



ნინო გიორგაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი

ამ მოკლე მიმოხილვიდნენ ნათლად ჩანს, რომ ფარნა
რაინას ლექსებში იგრძნონა ქართული ენისა და მოქნი-
ლი, წოწალი სიტყვის „გემი“. ფარნა რაინა იქ პოეტა-
განა, ვინაუ 21-ე საუკუნის პოეზია გააძლიერა ემორული
და ესოფიურული პოტენციალით და მყითხველის ყურადღება
მიმდროვა არა მხოლოდ პოეტური სატკულუროს, ტრანსლი
აქტერუალისკენ, არამედ არის შეწონა-ძეებისკენ. აქ სი-
ტყვისა არამენოლოდ ესოფიურული, არამედ გარდამქმნელი
ძალაზ აქვა.

ნ. გიორგაძე

45



საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ გამოცემის მიხედვით

ვარნა რაინას მორალურ-ფილოსოფიური ხმა

თანამედროვე ქართულ კოეზიაში

ფარნა რაინა განსხვავებული ხმაა თა-
ნამედროვე ქართულ პოეზიაში. მისი ლექსე-
ბი დროის თანმდევია თავისი თემატიკითა და
პრობლემატიკით. ფარნა რაინას პოეზიას განსა-
კუთრებული ხიბლი აქვს – ერთდროულად ბავშ-
ვურად სუფთა, ხალასია და ფილოსოფიურად
ღრმა, ბევრის მთქმელი და დამტევი. პოეტი თავ-
ისუფლად ახერხებს მოკლე და სტრუქტურულად
მოზომილ ფორმებში დიდი ზნეობრივი შინაარ-
სის ჩატევას, რაც განსაკუთრებულ სიმძაფრეს
მის კატრენებში იძენს. ქართული ტრადიციული
პოეზიისთვის დამახასიათებელი აფორისტული
გამონათქვამები და სენტენცია-შეგონებები მისი
შემოქმედების არსებით ნიშანს ქმნის. სწორედ ეს
მხარე განაპირობებს კატრენების მხატვრულ ღი-
რებულებასა და აქტუალობას.

ფარნა რაინას პოეზიაში უმთავრესად
მორალურ-ფილოსოფიური პათოსი იკვეთება,
რომელსაც თან ახლავს ადამიანის მახინჯი მხ-
არეების პირუთველი მხილება. ამ თვალსაზ-
რისით საგულისხმოა ლექსი „ავადმყოფობა –
პირველობის“:

ზეიმობს ეშმა, –
ნიშნისგებით,
ხარხარებს,
დახტის, –
შვილი ადამის
ნახა, როცა –
დაეცა
რამდე...
პირველობისთვის, –
ბევრმა, როცა –
დაკარგა ტახტიც...
ავადმყოფობა –
პირველობის,
ჰკლავს ქვეყნად, –

რამდენს?!

პოეტი გმობს პირველობისკენ სწრაფვის მა-
ნიაკურ აკვიატებას, რაც სულიერად სპობს ადა-
მიანს, ანადგურებს და ეშმას თანაზიარს ხდის.
პოეტის თქმით, იყო „პირველი“ – ხშირად თვით-
მიზნური და დამლუპველია. პირველობის სურ-
ვილი ლექსში მოაზრებულია არა როგორც ადა-
მიანური ბუნება და კანონზომიერება, არამედ
როგორც „ავადმყოფობა“. ესაა მთელ საზოგა-
დოებაში ფესვგადგმული სისტემური დაავადება.
სწორედ, ამ საერთო, სულიერ კატასტროფაზე
მიუთითებს რიტორიკული კითხვა: „ჰკლავს ქვეყ-
ნად რამდენს?!!..“

ფარნა რაინა ადამიანის სულიერ და ზნეო-
ბრივ მდგომარეობას სიმბოლურ-რელიგიური
მეტაფორების მემვეობით გამოხატავს. ლექსში
„ავადმყოფობა“ ცოდვით შეპყრობილის, მორალ-
ურად დაცემულის მეტაფორაა; „შვილი ადამის“
– მინიშნებაა არქეტიპულ ცოდვაზე...

ფარნა რაინას პოეზიის ტიპურ ნიმუშს წარ-
მოადგენს ლექსი: „უფლისეული, – მრისხანე
კითხვა, რატომ?!!..“, სადაც კიდევ ერთხელ ვლინ-
დება ავტორის მტკიცე მორალისტური პოზიცია.

თუკი გწამს
ღმერთი –
ჭკუათმყოფელს,
რა –
ვითარ, ცეტს,
ღმერთს უყვარს,
მხოლოდ:
ბრძენი,
ქველი,
ნრფელი,
ალალი...
სხვას:
რატომ ებრძვი?!!..





რატომ იპყრობ?!..
რატომ იტაცებ?!..
სხვას:
რატომ ართმევ?!..
იმას,
რაიც –
შენი არ არის?!..

პოეტი ღვთის სახელით სვამს კითხვას: „რატომ?!..“ და ცდილობს მოძებნოს მორალური დანაშაულის მიზეზები. მრავალგზის გამოყენებული კითხვა დრამატულ სიმძაფრეს სძენს ლექსს. სტილური ლაკონიურობა არ ზღუდვს პოეტს ბოლომდე თქვას სათქმელი. აქაც სიმბოლოებითა და ერთგვარი მინიჭნებებით ცდილობს მეტობელის გონზე მოყვანას, გამოფხიზლებას. ეს გახლავთ ინტელექტუალური პოეზისათვის ნიშანდობლივი სტილი, გნებავთ ფორმა, სადაც ემოცია და სიბრძნე ერთმანეთს ავსებს და ერწყმის.

სიტყვები: „ბრძენი“ და „ქველი“, „წრფელი“ და „ალალი“ ბიბლიური და ეთიკური კატეგორიებია, რაც ღვთის მიერ დაკანონებულ ადამიანურ ლირებულებებზე მიგვანიშნებს. ამ ლირებულებებზე უარის თქმა სიკეთის უარყოფას, რწმენიდან განდგომას ნიშნავს. რწმენა, მორწმუნობა ავტორისათვის ფორმალურ რელიგიურობას არ ნიშნავს. რწმენა მაშინაა ლირებული, როცა მას ქმედითი ზნეობა განსაზღვრავს.

პოეტისათვის დამახასიათებელი მძაფრი ირონია გამოსჭვივის ლექსში „თეატრი გახდა – თვითონ, ცხოვრება“, სადაც ტკივილითაა აღქმულ-გააზრებული ხელოვნებასა და მძიმე რეალობას შორის წაშლილი ზღვარი.

ვულკანის ლავით –
ფიქრის
მთა მაშრობს,
და... წლებიც, –
თითქოს,
იქცნენ –
მსტოვრებად...
თეატრში –
ახლა,
ვინდა
თამაშობს?!...
თეატრი გახდა –
თვითონ,
ცხოვრება...

ლექსი წარმოადგენს სიმბოლურ-მეტაფორულ ხედვას თანამედროვე ყოფასა და ადამიანის როლზე. სათაურშივეა გაუღერებული პოეტის ძირითადი სათქმელი. „თეატრი გახდა – თვით ცხოვრება“ – მხოლოდ მეტაფორა არაა. ესაა რეალობის მტკიცნეული აღქმა, სადაც ცხოვრებასა და რეალობას შორის როლები არეულია. სულიერების, თვითგამოხატვის კრიზისია როგორც

თეატრში, ასევე ხელოვნურობითა და ნიღბებით გაუღენთილ სამყაროში.

ფარნა რაინას შემოქმედება ზოგადსაკაცობრიო საკითხებთან ერთად ვერ შეიძენდა იმ სიმალლეს, ვერ იქცეოდა ქართველი მკითხველის ნავსაყუდლად, რომ არა მკვეთრად გამოხატული ეროვნულ-პატრიოტული თემატიკა, რაც ერთმნიშვნელოვნად ზრდის მისი შემოქმედების სიღრმესა და ლირსებას.

გავიხსენოთ ლექსი „ყველაზე, უფრო: სასახელოც... ძნელიც, – უფრო...“

ვინ არ გვებრძოდა, –
დასაბამით,
ცა-მინის მძვრელი,
ყველა ქაჯეთმა –
ქართველობას
სანთელი
უქრო...
სასახელოა –
თუ,
რამ, უფრო,
და... უფრო... ძნელიც,
ქართველობაა:
სასახელოც...
და... ძნელიც,...
უფრო...

ლექსში მკაფიოდ იკვეთება ქართული პატრიოტიზმის არსი, სადაც ქართველობა წარმოდგენილია როგორც მარადიული და გმირული ბრძოლის სიმბოლო. მეტაფორული სახე – „ცა-მინის მძვრელი“ – განასახიერებს ყველა იმ ძალას, რომელიც ეროვნული იდენტობის წინააღმდეგაა მიმართული. ესაა უნივერსალური მტერი, მუდმივად არსებული, ქართულ კულტურასა და რწმენასთან მებრძოლი.

„ქაჯეთი“, როგორც ბოროტებისა და სიბნელის ალეგორიული სივრცე, პოეტის ინტერ-პრეტაციაში ღებულობს მტრის სახეს, ყველა ისტორიულ თუ თანამედროვე რეალობაში. სწორედ ამ კონტექსტში იძენს ქართველობა იმ სიდიადეს, რომელსაც პოეტი გამოხატავს პასაჟით: „სასახელოც... და... ძნელიც... უფრო...“ – ქართველად ყოფნა ერთდროულად პატივიცაა და პასუხისმგებლობაც, ტვირთიცაა და სულიერი ამაღლებაც. სილრმისეული მნიშვნელობით, ლექსი ხაზს უსვამს იმას, რომ ქართველობის შესანარჩუნებლად ბრძოლა გრძელდება... უფრო... და უფრო.

პოეტური ტექსტის სტრუქტურული თავისებურება – პაუზების ხშირი გამოყენება – ემსახურება ლექსის ემოციური მუხტის გაღრმავებას. ეს პაუზები ამყარებს პოეტურ შთაბეჭდილებას, აძლევს მკითხველს ფიქრის საშუალებას და ქმნის სივრცეს ტექსტთან ინტენსიური დიალოგისთვის.



ეროვნული იდენტობის უპირველესი ნიშანი ენაა. ეს უტყუარი ჭეშმარიტება ფარნა რაინას არაერთ ლექსში ვლინდება. გავიხსენოთ ლექსი „უნინარეს, უპირველეს, დედაენა, – ქართული...“:

ყველა ენა –
სინდისია,
სიყვარულის
ნათლული, –
უნინარეს,
უნინარეს,
უნინარეს,
ქართული!!!
ყველა ენა –
სიცოცხლეა
და... სიკეთით
განთქმული...
უპირველეს,
უპირველეს,
უპირველეს:
ქართული!!!

წარმოდგენილი ლექსი პატარა ოდაა, საქართველოს სიყვარულითა და სინაზით სავსე. ფარნა რაინა ქართული ენის არამხოლოდ ეროვნულ უპირატესობას უსვამს ხაზს, არამედ მას მაღალი მორალურ ეთიკური ნიშნით განიხილავს, როგორც სინდისისა და სიყვარულის ნათლულს.

ლექსის რიტმული ორგანიზება ქმნის ემოციურ ინტენსივობას და ამყარებს ტექსტის ძირითად მესიჯს – ქართული ენა ეროვნული კულტურისა და თვითმყოფადობის უმთავრესი ღერძია.

მსგავსი პოეტური ტექსტების განხილვა არ ეფუძნება სუბიექტურ შერჩევას. არ გვიძებია

საუკეთესო, საყოველთაოდ აღიარებული და გამორჩეული. ამგვარი მიღვომით ფარნა რაინა ისეთ პოეტად წარმოჩინდება, რომლის თითქმის ყველა კატრენს შეუძლია მნიშვნელოვანი აზრის გამოწვევა და შემეცნებითი დიალოგის ინიცირება.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს, რომ ფარნა რაინას ლექსებში იგრძნობა ქართული ენისა და მოქნილი, ცოცხალი სიტყვის „გემო“. ფარნა რაინა იმ პოეტთაგანია, ვინც 21-ე საუკუნის პოეზია გააძლიერა ემოციური და ესთეტიკური პოტენციალით და მკითხველის ყურადღება მიმართა არა მხოლოდ პოეტური სამკაულების, ტროპული აქსესუარებისკენ, არამედ არსის შეცნობა-ძეგბისკენ. აქ სიტყვას არამხოლოდ ესთეტიკური, არამედ გარდამქმნელი ძალაც აქვს.

ფარნა რაინა – ეს არის პოეტი, რომლისთვისაც ლექსი რწმენის გამოხატულებაა, ხოლო სიტყვა – სინათლისკენ მიმართული საიმედო გზამკვლევი. მისი დიდაქტიკური კატრენები – მორალურ ჭეშმარიტებაზე ორიენტირებული ლექსები – სწორედ ის ფორმაა, სადაც პოეტის სიტყვის ძალა ვლინდება. სიტყვების სიმცირე და აზრის სიმძიმე ქმნის ტექსტებს, სადაც იგრძნობა ავტორის უდიდესი პასუხისმგებლობა საკუთარი მკითხველის ნინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლიტერატურული უურნალი „ოლე“, №4 (31), 2016;
2. ფარნა რაინა, კატრენები, ტ. I. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2023.



ნები ზუროვალი

48



საქართველოს კულტურული და მემკვიდრეობის ცენტრი

ნებულიშვილის სიმღერების ემოწყვერი დიაპაზონი, ნაფიფი ლინიზმით, მელოდიური გამოშეხველონთ, ქართული სინაზით და, თქვენ ნარმობიგინეთ, რაგა, ვაჟუაწური შემართებითაგა, გულს გითბომს, გვაძებული, რომ ასე ლირმაზ სწვევება იმ სილამაზ-ეს, მშენებელების, რაჯ დამხმარეთელებისა ქართული მუსიკოსური, როგორ გლეხური, ისე ქართაქური ფოლკლორისთვის. არადრონს არ იყენებს თავის ნარმობიგინებში არ კუნასკური, არ ხალხ-ური მუსიკის წრდინების, მათთან არ არის კოპირება ქართული ხალხური შემოქმედების რამე ნიშანთვისებისა. კომპოზიტორობის მუნერივად იმადება ის, სინატრუქს მელოდიური თავისებურებან, მღერადონ. სინაფიფე შერწყმულია გრძნობათა, განედათა სილომებთან, გმირულ და პატრიოტულ პროცესთან.

6. ზუროვალი

„მიყვარხარ ტკბილო კახეთო“...

საქართველოს, განსაკუთრებით კახეთს, მრავალი გამორჩეული, უნიჭიერესი მუსიკოსი ჰყოლია და ჰყავს. ზოგი, ძალზე პოპულარული იყო სიცოცხლეშივე, ზოგი – თავისი მოკრძალებული ბუნების გამო და, სხვადასხვა მიზეზით, ჩრდილში რჩებოდა.

ისე კი, პოპულარობა, ხელოვანისათვის, სიხარულის მომტანია, მაგრამ... არიან ადამიანები, ვინც არ ითხოვს დიდ ყურადღებას, დაფასებას. ისინი იღწვიან, იწვიან და თავისი ნაღვანით მაინც ხდებიან ხალხისათვის ძვირფასნი.

განსაკუთრებულ პოპულარობაზე არასდროს პრეტენზია არ ჰქონია კომპოზიტორს, საუკეთესო ჯაზმენს, სიმღერების ავტორს (ასევე შემსრულებელს), „ქართული სიმღერის დედოფალს“, როგორც მას უწოდა ცნობილმა მუსიკოსმა და ევგენიძემ.

ამ, უნიჭიერესი ქალბატონის სიმღერები შეიყვარა ჩვენმა ხალხმა მთელი სულითა და გულით. ეს გახლავთ ჩვენი საამაყო ქალბატონი – ნუნუ დუღაშვილი.

ნამდვილად, რჩეულთა ხვედრია, როცა შენი სიმღერები დამკვიდრდება ყოფაში, ღრმად გაიდგავს ფესვებს.

ნებულიშვილის სიმღერები გახალხურდა ისევე, როგორც ნიკო სულხანიშვილის, რევაზ ლალიძის, სულხან ცინცაძის, გიორგი ცაბაძის, ლილი იაშვილის, მერი დავითაშვილის, ინოლა გურგულიას, არაჩვეულებრივი იორამიშვილის „შატილის ასულო“ იოსებ ლონგიშვილის და სხვა...

სად არ მღერიან მის სიმღერებს – ესტრადაზე, მეგობრულ თავყრილობებზე, კონკურსებზე, სატელევიზიო გადაცემებში, შემოქმედებით საღამოებზე, ოჯახური მოლხენისას... ზოგმა

შეიძლება არც კი იცის, რომ სიმღერა, რომელ-საც გატაცებით უსმენს და თვითონაც მღერის, ნუნუ დუღაშვილს ეკუთვნის.

სამწუხაროდ, კომპოზიტორის, ესოდენ პოპულარული სიმღერების, ნოტები არ გამოცემულა ძალიან დიდხანს. მისივე თქმით, რომ დავწერდი და სიმღერას, ხან, ვის ვჩუქნიდი, ხან, ვისო...

მისი სიმღერების მოტრფიალეებმა, თვითონვე შეუგროვეს, ზოგმა დაუბრუნა ხელნაწერები და მოახერხეს კრებულის გამოცემა. რა თქმა უნდა, დიდი ძალისხმევა ჩადეს ამ საქმეში – თვით, ავტორმა, უნიჭიერესმა მუსიკოსმა და კონცერტმებისტერმა ნინო გულიაშვილმა და სხვებმა. მაღლობა ყველას.

რაც შეხება კომპოზიტორის ცხოვრებისეულ გზას, – დაიბადა – თბილისში 1934 წ. ინტელექტუალთა ოჯახში. მამა – კახეთიდან, გაზრდილა რუსეთში; დედა – რაჭველი, ჯაფარიძე. ამიტომ, ნუნუს უყვარს კახეთი, რაჭაც უყვარს ულამაზესია. მას მთელი საქართველო უყვარს.

იგი იგონებს – „ჩემი დიდი პაპა სიმონიკა, პატივსაცემი კაცი, ქიზიყიდან გურჯაანში გადმოსულა. ძალიან მდიდარიც ყოფილა – ბევრი მიწები შეუსყიდია, ამიტომაც, მისი ულამაზესი ქალები, სულ, თავადიშვილებს შეურთვიათ“.

კომპოზიტორი თავისი ბიოგრაფიის მონაკვეთს ასე ჰყება: „სამი წლისა სხვადასხვა მელოდიებს ვიგონებდი, ოჯახის წევრებს ხშირად დავყავდი კონცერტებზე, ოპერაში. ხუთი წლისამ დავწერე ნაწარმოები.“

ერთხელ, მამამ წამიკითხა იროდიონ ევდოშვილის მოთხოვობა „მწყემსი გოგონა“. წარმოვიდგინე მე, პატარა ობოლის მძიმე ყოფა, ასევე, როგორ უკრავდა საღამურზე. ძალიან განვი-



ცადე, ბევრი ვიტირე და, შემდეგ, დავწერე ძალზე ნაღვლიანი პიესა“.

ცოტა რომ გაიზარდა, მისი ახალი გატაცება იყო ჯაზი. „რომ ვუკრავდი და, მაშინ თბილისში ძალიან მოდაში იყო ჯაზი ჩვენს ფანჯრებთან მსმენელები გროვდებოდნენ ხოლმე.

ვცხოვრობდით ქიაჩელის ქუჩაზე. იმდენი ცნობილი პიროვნება ცხოვრობდა ჩვენს მეზობლად – მუსიკოსთა, თეატრალთა, მხატვართა, მწერალთა, მეცნიერთა, მთელი სამყარო იყო: აკადემიკოსი გრიგოლ წულუკიძე, გიორგი მუხაძე (მან საქართველოში პირველად გააკეთა გულის ოპერაცია), ელენე ახვლედიანი, თამარ ციცოშვილი, გიორგი ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი, რომელსაც განსაკუთრებულად უყვარდა ბავშვები, მათ შორის მეც, აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი და სხვა.

ჩემი გამზრდელი ბაგრატიონის ქალი იყო „...ისე, რომ, მისი ესთეტიკა ჩამოყალიბდა ასეთ კულტურულ ინტელექტუალურ გარემოცვაში.

დაამთავრა VI ქალთა სკოლა, „ნიჭირ მუსიკოსთა“ ათწლედი (ფორტეპიანოს პედაგოგი მარო სახვაძე,) შემდეგ, თბილისის კონსერვატორიაში მეცადინეობდა გამოჩენილ ქართველ – ანდრია ბალანჩივაძესთან (კომპოზიციის კლასი). უკვე თხზავდა ულამაზეს მუსიკას;

უკრავდა „ძალიან მაგრად“ – ცნობილი პროფესორი გროსმანი აღნიშნავდა: „Она играет как Молодой Рахманинов“ – „ის უკრავს ახალგაზრდა რახმანინოვით“; პროფესორი მოლოდინოვი „Славная девочка“ – „ჩინებული გოგონაა“. რა თქმა უნდა, ქართველი მუსიკოს – პედაგოგებისგანაც უამრავი ქათინაური დაუმსახურებია. ასევე, ხშირად, გაისმოდა უმაღლესი შეფასება მისი პიანისტური და შემდგომ კომპოზიტორული მონაცემებისა.

კომპოზიტორი იგონებს: „გავიზარდე ევროპულ კლასიკურ, პროფესიულ მუსიკაზე. ჩემი სიყვარული ბავშვობიდან იყო ბეთჰოვენი, ნეტარების მწვერფალზე ავდიგარ მისი VII და IX სიმფონიების შესრულებისას აღფრთოვანებას განვიცდი. რუსი კომპოზიტორებიდან, აღვნიშნავ მუსორგსკის, რომელიც, ჯერ კიდევ, ბოლომდე გაუხმოვანებელია; მიყვარს რახმანინოვი და განსაკუთრებით – სკრიაბინი:

არ მიყვარს თანამედროვე მუსიკა. პროფესიული მუსიკა ჩემი აზრით, აღარ არსებობს, ეს – რაღაც, გაელვებაა.

X-IX სიმფონია არის ჩემთვის „დედა ენ“.

უნიჭიერეს შემოქმედს ძიებების გრძელი გზა არ გაუვლია. მუზები, ხშირად, ახსენებდნენ თავს. მის შემოქმედებით აზროვნებაში ხალხური, ქალაქური, პროგრესული და პატრიოტულია – მთავარი.

მივუბრუნდეთ, ისევ, კომპოზიტორის მოგონებებს: „რეჟისორი რამაზ ჩაგუნავა რიონის ხეობას რომ იღებდა, მთხოვა, რომ ქუთაისზე დამენერა სიმღერა. სტუდენტი ვიყავი. დავწერე დუეტი. ნანული აქესაძემ და სულიკო კოროშინაძემ შეასრულეს. ამ, შესანიშნავმა დუეტმა ჩეხოსლოვაკიაშიც დიდი მოწონება დაიმსახურა“.

უამრავი მეგობარი ჰყავდა და ჰყავს. „ძალიან მიყვარს ადამიანები. ყველა მიყვარს. ვინც ჩემზე ცუდს იტყოდა, ისიც მიყვარდა. მგონია რომ ზევიდან რაღაცა მათბობს, რაღაცა მფარველობს“.

ერთხელ, კითხვა დაუსვეს ერთ-ერთ ინტერვიუში: „სად არიან დღეს კომპოზიტორები, ვის თვლით, ახლა, წარმატებულ კომპოზიტორად?“ მისი პასუხი ასეთი იყო: „მოკვდა მუსიკა. ჩვენშიც მოკლეს მუსიკა და რაც იწერება – შიფრია“.

„ცხოვრებაში ჩემი გატაცება, როგორც გითხარით, იყო – ჯაზი; ძალიან მომწონდა რახმანინოვი, სულში მეჯდა სკრიაბინი და ვბაძავდი მას: საერთოდ, ჩემი თავის მიმართ – ყველაფერში, – ვარ ძალიან კრიტიკული“...





ნუნუ დუღაშვილის სიმღერების ემოციური დიაპაზონი, ნატიფი ლირიზმით, მელოდიური გამომსახველობით, ქალური სინაზით და, თქვენ ნარმოიდგინეთ, რაღაც, ვაჟა-ცური შემართებითაც, გულს გითბობს, გეამაყება, რომ ასე ღრმად სწვდება იმ სილამაზეს, მშვენიერებას, რაც დამახასიათებელია ქართული მუსიკალური, როგორც გლეხური, ისე ქალაქური ფოლკლორისთვის. არასდროს არ იყენებს თავის ნაწარმოებებში არც კლასიკური, არც ხალხური მუსიკის ციტირებას, მასთან არ არის კოპირება ქართული ხალხური შემოქმედების რაიმე ნიშანთვისებისა. კომპოზიტორთან ბუნებრივად იბადება ის, საინტერესო მელოდიური თავისებურებანი, მღერადობა. სინატიფი შერწყმულია გრძნობათა, განცდათა სილრმესთან, გმირულ და პატრიოტულ პათოსთან.

„ჩემს პატარა ქვეყანაში იმდენი ნიჭიერებაა გაფანტული“, – სიამაყით ყვება კომპოზიტორი, მაგრამ... მისი „სიმღერა კახეთზე“ რომ მოისმინა რევაზ ლალიძემ, მისთვის ჩვეული სითბოთი თქვა: „ამ კახელმა პატარა გოგომ ყველას გვაჯობაო.“

ნუნუ დუღაშვილი მუშაობდა პედაგოგად „ნიჭიერთა ათწლედში“ 27 წელი. საქართველოს ტელევიზიაში მუსიკალური განყოფილების ხელმძღვანელად, „სტუდიაში ხშირად შემოღიოდა ხოლმე იოსებ ნონეშვილი, რომელიც ყველას უყვარდა, რომ დამინახავდა, დამიძახებდა, შენც აქა ხარ, ლამაზო და ნიჭიერო?“

ვაჟა აზარაშვილი, ქართული კლასიკური სიმღერების დიდოსტატი, ეხუმრებოდა თურმე: „მე ამინდის ბიუროს“ კომპოზიტორი ვარ, შენ საქართველოს რეგიონებისო.

ნუნუ დუღაშვილმა საქართველოს მრავალ კუთხესა და ქალაქს მიუძღვნა სიმღერა: „იმერეთის ნიავო“, სიმღერა ქუთაისზე (ალიონზე ვარდი ფეთქავს), „სიმღერა ბათუმზე“, „ბათუმი რად ლირს მარტო“, „მე თბილისის მოტრფიალე ვარ“, „ქართულო მინავ“, „თბილისო სიყვარულო“. მოუსმენ სამეგრელოსადმი მიძღვნილ სიმღერას და დიდხანს გაგყვება ის აღტაცება, რომ „საქართველო – ხოხობია, სამეგრელო – ხობის ყელი“ და რომელი ერთი ჩამოვთვალო. ამ სიმღერებს რომ ისმენ, თვალნათლივ გეხატება ამ კუთხეების კოლორიტი თავისებური „სურნელით“. „სიმღერა კახეთზე“ (მიყვარხარ ტკბილო კახეთო), ჩემი აზრით მწვერვალია მისი სასიმღერო შემოქმედების.



სიმღერა კახეთზე. ასრულებს ნუნუ დუღაშვილი

„მრავალუამიერი“ – ღმერთების სიმღერაა – ამბობს კომპოზიტორი. – კახელებმა შეინარჩუნეს თავანკარა ქართული ენა. ამ პატარა კუთხეში რამდენი ნიჭიერი ადამიანი არსებობს, საოცარია!

„კახეთზე სიმღერას სანამ დავწერდი, როიალთან ვიჯექი. ზემოდან, რაღაც მესმოდა; ისეთმა ნიუანსებმა გაიელვეს, კახურ სიმღერას რომ აქვს (შეურყეველი ძალა და ა.შ)“...

ქართველების საყვარელი პოეტის იოსებ ნონეშვილის ლექსით ვინ არ აღფრთოვანებულა, ვის გულში უფრო მძლავრად არ გაღვივებულა სიყვარული ამ კუთხისა:

მიყვარხარ, ტკბილო კახეთო,
დიდო ალაზნის ჭალაო;
ქვეყანა შემოვიარე,
ვერ ვნახე შენისთანაო.
ალაზნის ტალღამ გაკურთხა,
იორმა პირი გბანაო,
ვერ მოგერია დუშმანი,
თუმც ბევრჯერ მოგეძალაო,
ერთიან საქართველოის
შეურყეველო ძალაო!

და, ამ, ზეაღმატებულ სიტყვებს ნუნუ დუღაშვილის მუსიკა ისეთ ძლიერ ემოციას, ისეთ პატრიოტულ შემართებას ჰქონის ირგვლივ, რომ... ეს ჰქონები პოეტის ლექსის ტოლფასი ხდება.

ამას მოსდევს კახეთის თვალწარმტაცი ხედებით ტკბობა:

ცივ-გომბორიდან სიცოცხლის
სიმღერით გადასახედო,
გხედავ იისფერ ნისლებში,



ირმების გადმოსახედო
კახეთო, ჩემო კახეთო...
და, ამ დროს, ვაჟთა გუნდი შემოიჭრება
გმირული შემართებით, მატულობს დინამიკა,
მძაფრდება ემოციები.

ეს ალმები კი არ არის –
ოცნების თეთრი ფრთებია,
ომში დაკარგულ შავგვრემან
ვაჟკაცებს ელოდებიან.

და, მერე, მუსიკალური საბურველი როგორ
თანხვედრაშია ამ სტრიქონებთან:

ღრუბლებში ამაღლებული
დგას ალავერდის ტაძარი,
თავს დაჰვენია იყალთოს
აჩრდილი უზარმაზარი,
რუსთველის სიბრძნის აკვანი –
განა ამ ქვეყნად სად არი?

ასე, ოსტატურად, სიმღერა-ბალადის ფორ-
მაში მოაქცია ავტორმა თავისი სიყვარული კახ-
ეთისადმი:



ნუნუ დუღაშვილი და ვაჟა აზარაშვილი

ზვრებზე გიდელი, მარანი
ყურძნის მთებშია ჩაფლული,
მთელი კვირაა, რქანითელს
ქვევრებში გააქვს ჩქაფუნი,
დუღს, მაგრამ ცეცხლი სად არი?..
ვინ შეუკეთა ბუხარი.
ქვევრი გულსა ჰგავს კაცისა
უცეცხლოდ ამომდუღარი.

მუსიკა მიგაქანებთ კახეთის ზვრებში, ტკ-
ბებით ალაზნის ველით, ხდებით ქვევრებში დუ-
ღილის თანამონანილე და, ეს – წარმოსახული
სურათები კინოკადრივით ენაცვლებიან ერთ-
მანეთს.

ცნობილმა ქართველმა მუსიკათმცოდნემ:
პროფესორმა ანტონ წულუკიძემ ძალიან ზუს-
ტი განსაზღვრება მისცა მის სასიმღერო შემოქ-
მედებას: „შენი სიმღერები – სხვადასხვა, ნამდვი-
ლი ისტორიებია. შენ უნდა მოგიგონოთ რაღაც,
თავისებური უნარი რომელშიაც მოთავსდება ამ
სიმღერების ისტორიები, – შენებურად გააზრე-
ბული ფორმა, ემოციები“.

სატრფიალო სიმღერებში „გადამრიე, გადამ-
რიე“, „ღმერთი სიყვარულისა“, „გამიფრთხილ-
დი“, ასევე სიმღერაში „თქვი, შავთვალა, არაპი
ხარ?“ – სინაზეცაა, მოკრძალებაც, ემოციების
აფეთქებაც.

სიმღერა: „შენ და მზე“ კომპოზიტორმა
დაწერა ცნობილი ჯაზ-ვუმენის გიული ჩიხ-
ელისათვის. ამ სიმღერამ საზღვარგარეთ
ჯაზური სიმღერების კონკურსზე ოქროს
მედალი დაიმსახურა. როგორც პროფე-
სიონალი მუსიკოსები ამბობდნენ, ეს იყო
„აბსოლუტურად ჯაზი და, აბსოლუტურად,
ქართული მუსიკაც“.

შარშან დიდი მუსიკოსი 91 წლის გახდა.
ის ხუმრობით ჰყვება: „მეხვალიე ქალი ვარ,
ჯერ არაფერზე ვფიქრობ...“ ის მისდევს
ცხოვრებას, უყვარს თბილისი, საქართვე-
ლო, ოჯახი (მისი შვილი გიორგი მიქაელი –
კინორეჟისორი, ის ასევე კარგად ხატავს),
მეგობრები.

მინდა განუმეორებელ ხელოვანს ვუ-
სურვო ჯანმრთელობა და ის ენერგია,
რომელსაც მუდამ აფრქვევს ირგვლივ,
დიდებანს შერჩენდეს. მჯერა, რომ ნუნუ
დუღაშვილი – ეს ძალზე ნიჭიერი, თვით-
მყოფადი, ულამაზესი ქალბატონი სამშობ-
ლოს კიდევ დაუწერს სულში და გულში ჩამ-
წვდომ, ძარღვიან სიმღერებს.



ქრისტიანული პოეზიის XV ფესტივალი

„ნმინდა ნინოს ჯვარი“

ფესტივალის დამფუძნებლები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“, წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა ლია დაუშვილი.

ჟიური: ზაალ ბოტაველი (თავმჯდომარე), ვანო ჩხიკვაძე, გივი ჩილვინაძე, აკაკი დაუშვილი.

ჟიურის გადაწყვეტილებით ქრისტიანული პოეზიის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დაჯილდოვდნენ: თამაზ ბარჯაძე, ქეთევან ნათელაძე, მირანდა ერისთავი.

ფესტივალის პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ დაჯილდოვდნენ: დალი მაზმიშვილი, ელ-დარ ჭიჭიაშვილი, გიორგი გობეჯვაშვილი, სოფორ ლომნიცი, ცოური მესხიშვილი, მაკა გელაშვილი.

ფესტივალის პრიზით — „წმინდა ნინოს ჯვრის მედალი“ დაჯილდოვდნენ: მედეა რატიანი, ბადრი სულაძე, მაკა აბულაძე, იამზე არველაძე-ხეცურიანი, თამარ შაიშმელაშვილი, მაია ქარსაულიძე

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“ იმართება თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

52



თამაზ ბარჯაძე

გეგერებით...

ზღვა ისეთი მშვიდია, მთა ისეთი ნორჩია,
მალე ამ გაზაფხულებს ელვის ცულით მოქრიან.

ტიხრებს ისე ვალაგებ ყაყაჩოთა ბრნყინვალში,
თითქოს ვდგავარ დაკარგულ სიყვარულის წინაშე...

ჩამომწკრივდნენ ეტლები – თვალი მზისკენ უჭირავთ.
ზღვა მშვიდი და სათნოა, ცაც ზღვასავით ლურჯია.

ქარმა ვით დაამსხვრიოს ჩემს გვირგვინზე ეკლები.
ერთადერთი დამაკლდა, დავითვალე ნეკნები!

არეული დასი დღის ცოდვებით ერთობა,
ალარც სიდარბაისლე, არც მდუღარე შენდობა...

ცის სისავსეს შევიგრძნობ დაბადების ალლოთი,
მზის და მთვარის გვეგონე – შენ ჩვენ სულში სახლობდი.

ვიცი გესმის ცოდვილთა წრფელი გულის ბაგუნი,
ჩვენ კი – შენი ფეხის ხმა, კარზე ფრთხილი კაკუნი...

გეგებებით ცხოვრებით, რადგან შენ ხარ ცხოვრება.
სიყვარულით აგავსო წმინდა სიუცხოვემა.

გეგებებით ლოცვების ჩაუმქრალი ალებით,
წმინდა მეტანიებით, დიდი ფერისცვალებით...



ქეთევან ნათელაძე

* * *

მე ჩვეულებრივ სალამოს ვუცდი,
ჩვეულებრივი ფიქრებით ვერთვი,
არ ვიცი, ვისგან ვიცი და მახსოვს,
ჩვეულებრივად მოდისო ღმერთი...

ჩვეულებრივი ნაბიჯით, მზერით,
ჩვეულებრივი სალამო ჰყოფნის,
როცა ლურჯ მთებში მზეს ღვრიან თაფლად,
და ზარებს რეკენ ტაძარში სოფლის.

ცის ქლივრისფერი სინათლე მათბობს,
კარებს კი მაინც არ ვრაზავ გვიან,
ვინ იცის, ქრისტე მოვიდეს მარტო
და სახლის კარი არ დახვდეს ღია.

ხშირად მომხდარა, როცა ქრისტე გესიზმრებოდა,
თეთრი ტუნიკით შემოსილი, ლამაზი ქრისტე,
მწიფე ვაშლები მოჰქონდა შენთვის
და წყვდიადის სხვაგვარი ხედვა.

მიწის წიაღში დაგუბებულ წმინდა წყალს სვამდით,
უცქერდით გვალვით დადუღებულ, ეკლიან ფერდობს,
ალმოგხდებოდა გასაგონად ვიღაც არმყოფის,
– აი, შენც ხედავ? აი, ჩემი ლამაზი ღმერთი!

და სუნთქვასავით გინწყდებოდა ყოველი სიტყვა,
დღემდე შემორჩა შენი სიზმრის დაბზარულ კედლებს,
იმ ხრიოკ ფერდობს, ყველა კუთხეს და ყველა კუნძულს,
ასე ძალიან ახლობელი და უცხო ქრისტე....

იმ დროს იხსენებ, როცა ქრისტე გესიზმრებოდა,
რატომლაც ასე გიმართლებდა, ხდებოდა ასე...
და დილაობით მაგიდაზე გხვდებოდა მუდამ,
ძველი ხის ჯამი დამწიფებულ ვაშლებით სავსე.

...მოვიდა წვიმა ჩვეული მარშით,
და ცეცხლში ჩაყრილ ვარსკვლავებს მიქრობს,
ვით მეოცნებე, ყრუ-მუნჯი ბავშვი,
ვერასდროს ვერთემულ სიტყვებზე ვფიქრობ.

მიმხვდარა ზეცა წვიმების მიზეზს,
და ჩემს სიზმრებში შთენილა მარტო,
როგორც ჩემს ნაცნობ ლურჯთვალა ბიჭზე,
ჯვარცმამდე მცხოვრებ ქრისტეზე ვდარდობ.



მირანდა ერისთავი

სურლიმარია

სხეულში გიდგამ, როგორც კათეტერს
და შენს ცეცხლოვან ამბორს ვიგონებ –
რა დრო სქირდება, რომ არ გათენდეს, –
თუ კი არც გვინდა აპორიგენებს.

54



დრომ, ვხედავ, უკვე აქეთ გვიხელთა
და მთვარეც იწყებს ისევ კონიალს
ზუსტად იმ ტოტზე, ზუსტად იმ ხესთან,
სადაც ჩიტები დღეებს კოცნიან.

რომ მერე ყველა ჩვენ ჩვენს ალბატროსას
გავცდეთ და შევხვდეთ ტრფობის ტარიგებს!
როცა ღვინოც კი უკვე არ მათრობს
და სალამივით ხალხში გარიგებ.

გნატრობ გარანტად გიგანტს გალანტურს,
ან ვის არ უნდა შენ არ გაგენდოს,
მე მარტო მზიან ცასთან გლალატობ
და გეძებ, როგორც ჩემს არმაგედონს.

რას არ ვიტყვი და რას არ გამიგებ,
როცა სიმართლეც ითვლის აბსურდებს,
როდესაც თვითონ არსთა გამრიგეც
ისე გვიყურებს, – თითქოს არც სურდეს.

ვარიგებთ ჩვენს თავს, როგორც ნამცეცებს –
ქრისტეს სხეულის ერთი ლუკიდან
და თვალებს ისე დიდხანს ვაცეცებთ,
რომ კარგად ვნახოთ, ვის რა უკვირდა

ჩვენი ლხინის, თუ უზომო დარდის,
მწვავს კვლავ ცრემლების სუბლიმაცია,
ირგვლივ თუ ყველა შიშველი დადის, –
მე დღემდე შენი სული მაცვია.

ხან უარესიც უკეთესია,
რითაც გათბობდი, – იმით მაციებ,
შენი ნაყოფი უკვე თესია
სულშიც და ვგრძნობ შენს იმიტაციებს.

დღეს კი, არც მიმჩნევ! – (ალბათ, შურია!) –
და არც მაფასებ უკვე სალადაც.
რადგან ოცნებაც აბაურია, –
მე ვირჩევ ძილს და ისიც სალათას.

აბდაუბდების აბლაბუდების
გავაპი ქსელი, ჰოდა, მოდი შინ!
თუმც კარგად ვიცი, არ დაბრუნდები
და ამომხდება სული ლოდინში.

ალარც მწერ, ჰოდა, სულ შენ იხარე!
ალარაფერი არ ლირს კამათად!
თუ შეძლებ, მოდი, კვლავ შემიყვარე
და სიზმრებივით წყალს ნუ გამატან!

დალი მაზმიშვილი

საფ ფაგვეცარგა

სად დაგვეცარგა
მოშრიალე მახობლის თესლი,
საანეულო, ვინ ჩაგფარცხა
ბიბინა ხნულო,
ქართლის გულიდან მოთარეშე ქარის ხმა მესმის,
როგორც უდაბნო უწყლოდ,
დავრჩით უსიყვარულოდ!
და ტკივა მიწას ხელისგული,
ღვთასმშობლის წილი,
მთებს უთეთრესი გვირილების ნამქერი ფარავს,
ბაბუაწვერს შემომხვდება თმებანენილი,
ასე დაეძებს მონატრება
მშობლიურ ალაგს!
ჩამქალ ნათელში ჩამოშლილა
უფლის სამშვენი...
და იცდის მიწა,
მოლოდინის დიდი სამარხი,
არ წყდება წვიმა,
ვინ გარგუნა ეს განაჩენი,
ალარავინ გყავს –
არც დამმარხველი,
არც დასამარხი!
უფსკრულის პირზე ცოდვებს ითვლის
კრიალოსანი,
არვის მორჩილებს გაბეჭული პილატეს ხელი,
ლაუჯარდებიდან მაინც ისმის ხმები „ოსანის“,
ვაშლის შემხმარ ტოტს მოლალური მაინც
შემლერის.
უფლის წყალობა ყველასთვის ხომ შეუცვლელია,
ხანდახან მთვარეც ველარ ნათობს,
მთებიც ზანზარებს...
დაბრუნდებიან უსათუოდ მართა, მარიამ
და ნამოდგება, ნამოდგება
ფეხზე ლაზარე!

ელდარ ჯიშიაშვილი

პეტრეს მონოლოგი

ცადამალლების
ვისმენ რექვიემს,
და ვერკონები
შავფერ ერკემალს,
სადაც სიცოცხლე
ბორგავს, ძალუმი
და ზართა გრიგალს
მოერეება!
მოერეება,
მოერეება,
თან მოაქვს, რისხვით,



ზღვა და ხმელეთი,
 მეც, ამ ცათარლვნას
 და ზღვათა ფრთონას,
 ერთ შებერვად და
 სუნთქვად შევერთვი!
 დე, აღიგავოს,
 რაც ვეღარ გასწვდა
 ბეჭისწერის და
 დროის სამანებს,
 წარმავალობით რაც აღიმოსა
 და ნებსით, თვისით,
 თავს ისამარებს!
 რად მინდა სხივი
 და ჭალთა ფრფინვა,
 თუ მზე ბრწყინვას და
 მაინც ბნელია,
 იქ დასამარდეს
 და ჩაქრეს სუნთქვა,
 სადაც მანძილი გამოელია!
 ასე მგონია,
 ჩამოდგა უამი,
 როცა იქსო
 უნდა წამგვარონ
 და ზეთისხილის
 ბალში მომხდურებს
 შევეზიარო და ვეარგანო!
 ღამეა ცივი და ნიავქარი,
 მსუსხავი ატანს
 თითქმის ძვლებამდე,
 თვალებს მილულავს
 ღამის სიცივე,
 თვლემა გვერევა
 მე და ზებედეს!
 უფალო ჩემო,
 შენს ნატიფ მხარ-ბეჭს,
 შვენოდა თეთრი,
 თხელი ქლამინდი,
 ჰგავდი სასიძოს,
 რომ დაუყენეს,
 არა ჯვრისწერის,
 ჯვარცმის ამინდი!
 ლოცვად მიმავალს,
 ფეხაჩქარებით,
 უკან მოგდევდით
 მე და ზებედე,
 გული მიგრძნობდა
 რაღაც ავბედითს,
 თქმა მსურდა,
 მაგრამ ვერ გაგიბედე!
 სული მხნეა და
 ხორცი უძლური,
 იფხიზლეთ, ლოცვით,
 მამას ევედრეთ,
 დაგხსნათ განსაცდელს,
 მოვიწოდებდი,
 წუხდი ჩვენ გამო
 და ჩვენს სვე-ბედზე!
 პეტრე, შენ ჩემი

რწმენის ქვასვეტო,
 მალე იხილავ
 უფლის სიყივნეს,
 სამგზის უარმყოფ,
 ბრბოის წინაშე,
 სანამ მამალი
 სამჯერ იყივლებს!
 მოვარდა ბრბო და
 ვერ დაგიფარე,
 უძლური ვიყავ,
 უხმლოდ, უფაროდ,
 როცა მამალმა
 სამჯერ იყივლა,
 მე შენზე უწინ
 მოვკვდი, უფალო!
 ბევრ წმინდა ზეთს და
 ნელსურნელებას
 დალვრის მხევალის
 ალებასტრონი,
 მაგრამ სად ვპოვო
 ჰანგი დიადი,
 ციდან მდინარი,
 გულის გამწონი?!



ციური მესხიშვილი

თიხის ქალი

|
 სიზმარში ვნახე, ვთოომ მაჩუქეს,
 ტაოსთვალებისფერი საკაბე,
 ზუსტად ისეთი, ჩემს დიდ ბებოს რომ
 მზითევში განძად გამოატანეს.
 მზე იცინოდა იმ სასიზმრეთში
 და სხივოსანი ქსოვდა მაკრამეს,
 ობობები კი სიხარულისგან,
 ვითარცა ქრისტეს, ჯვარზე აკრავდნენ.
 მე კი პატარა ჩიტის ბუდეში,
 ჩემთვის მოვიწყე ვიწრო საკანი
 და დაგარწიე უფლის უბეში,
 ბაგრატიონი მეფის აკვანი.
 კლარჯეთს ვახარე ლერნი ვაზისა,
 დიაოხური ჯიშ და ჯილაგის,
 თეთრას დავარქვი ლვინო ყანწისა,
 ხარისთვალას კი – „წმინდა გივარგი“.
 ვაზის ფოთლებით ვჭრიდი თარგებს და
 ქვაქარგულებში ვთლიდი „დაროშექებს“,
 ხუროს, რომელიც ტაძრებს აგებდა,
 ვასმევდი ლვინოს მხოლოდ – საოშეს.
 ვაშენე: ბანა, პარხალ – ხახული,
 ნაომარმა და ასჯერ მარხულმა,
 ღმერთიც გაოცდა, ჯერ არნახულით
 და წამწამები ააფახულა.
 ჩამოივაკა ციდან – მიწამდე,
 იმდერ-იცეკვა დოლით ყანაში,





ამიტომ, შურით დამიკლეს მეფე,
საკურთხეველთან დოლისყანაში.
სიზმარში ვნახე, ვითომ, მაჩუქეს
ტაოსთვალებისფერი საკაბე,
მე ჩემი ტაო მინდოდა თორემ,
მეორადებშიც ვნახავ მზა კაბებს!

||

გამომეღვიძა.

უცებ ვიგრძენი
იასამანის მძაფრი სუნი და
თითქოს გაცოცხლდა დიდედაჩემი
ყელმოლერებულ, ლამაზ სურიდან.
შეაჯანჯაღარა მუხის კომიდი,
ობმოდებული ძველი უჯრები
და სამზეოზე გამოიტანა,
რაც მზითვში მოჰყვა, ის საუნჯენი.
ფრთხილად მივიდა ნამზითვ სარკესთან,
სადაც რომ იდო ვერცხლის ზარდახშა,
ღაწვებზე, თითქოს ცეცხლი აკვესდა
ხელი რომ ცისკენ შეათამაშა.
იქვე წააწყდა ლამაზ სატიატეს
მზისფერითა და ლაზის წარწერით,
ზედ აკვდებოდა თავის ნამზითვებს
გათეთრებული, ნაზი ღაწვებით.
სცადა კვლავ, მაგრამ ვეღარ მოირგო
ნათალ თითებზე თითბრის სათითე,
სიცოცხლის გული ვეღარ მოეგო,
ერთ დროს ჩამოსხმულ, ლამაზ ნათითრებს.
საპარძიმეზე რომ მიდგა ჯერი
და მოვინიბლე ოქროს კოვზით მე,
მან უცნაური, არქაულ მზერით,
გადამიშალა კრძალვით ზოსიმე.
მიქო და ქარგა ენა ქართული,
მზე უგზავნიდა ზეციდან სირმებს,
ენიგმებით და ნართებ დართულით,
ღმერთების წიგნი ერთად მოვსირმეთ.
„ვეფხისტყაოსნის“ მარგალიტები,
გამოყოლილი ძვირფას მზითვებად,
ხელში ჩამიდო იმის იმედით,
რომ მე არასდროს დამამძიმებდა...
მერე კი ისევ ჩაძერა სურაში,
კვლავ გადაიქცა ლამაზ ლარნაკად,
შავ როიალზე დასკუპებული
თიხის ქალივით ალაპარაკდა:
სიზმარში ვნახე, ვითომ მაჩუქეს
ტაოსთვალებისფერი საკაბე,
მე ჩემი ტაო მინდოდა, თორემ,
მეორადებშიც ვნახავ მზა კაბებს.

გავა გელაშვილი

სიდონია

კვართი ჩაიხუტე, სიდონია,
შენი ბედისწერის ვიყო მინდა,
კვართის სიწმინდით და მისი მადლით
სულში მინათებდეს სულინმიდა.
ქრისტე ხომ გიყვარდა, სიდონია,
ჩემი სიყვარულიც შენსას ჰგავდეს,
შენი მობაძავი მინდა ვიყო,
უფლის საბურველი მიფარავდეს.
მისი წამება და ჯვარზე გაკვრა
იყო ბოროტებით შენამლული,
კვართი ვერ წაგართვეს, მადლიანო,
კვართი მოქსოვილი, მენამული.
მინდა დავიმარხო შენთან ერთად,
სადაც ტაძარი და მინდორია,
მეც რომ ვიხუტებდე მაცხოვრის კვართს,
მეც რომ შენთან ვიყო, სიდონია.

სოფიო ღლონეტი

სიზმარ-ქზადი

არ ვიცი ახლა, მღვიძავს თუ მძინავს,
იქნებ მკვდარი ვარ, ან იქნებ ვცდები?
და როგორც მოსე, ავდივარ სინას
ჩამოსატანად იმ ათი მცნების...
ისევ ჩაგუვლი მაყვლოვან ბუჩქებს
ის ალარ ინვის, მდუმარებს, მე კი
გაოცებული შევყურებ ურჩებს,
რომ ჩამოუსხამთ ოქროს ხბოს კერპი...
ლოტის ცოლივით ვშეშდები ერთხანს,
მერე კი ვამსხვრევ სინას მთის ფილებს,
რომელიც მცნებად დაგვიდო ერთმა,
იმ „ერთმა“, ვინც ჩვენ გვიწოდა შვილი...
ვლელავ, სიმშვიდე ვერ მოვიპოვე,
კიდობანს ვამჩნევ, ლიაა კარი,
მიმიხმ მისკენ მოხუცმა ნოემ
და მე, უგუნურმა, მას ხელი ვკარი...
სოდომ-გომორის შევდექი გზებზე,
აქ, ბაბილონის გოდოლიც, სადლაც...
ვერ ვპოვე იგი, რასაც დავეძებ,
„წუთისოფელი წუთია“ რადგან...
არ ვიცი ახლა, მძინავს თუ მღვიძავს,
ეს სიზმარია, ან იქნებ ცხადი?...
ვხედავ იუდას, იქ ხეზე, უძრავს,
პეტრეს კი მტირალს, ხან ზის, ხან დადის...
პილატე ახლა დაიბანს ხელებს,
შუბლზე წვეთებად ჩამოსდის ოფლი,
ეს ამბავი კი ბრბოს გაახელებს,
ხვალ დაგეგმავენ ნამებას უფლის...



ამ ლამით ბალში ილოცა კაცმა,
ამ ლამეს თეთრად ათენებს, იცის
წარინტენდება, ვინც იგი გასცა
და ერთგულების გატეხა ფიცი...
მოციქულებიც მიეცნენ ღრმა ძილს,
სიფხიზლის არსის იციან არც რა,
ლამე დილამდე დაითვლის მანძილს,
რომ გოლგოთაზე დაქსწროს ჯვარცმას.
წუხელ, ტრაპეზზე ჩანებულ ლუკისა,
დღეს რაღაც მწკლარტე გაუხდა გემო,
მე ახლა გუნდრუკს მამონას ვუკმევ
და არა იმ კაცს, ვინც უნდა ევნოს..
ზეთისხილები ფხიზლობენ მხოლოდ,
გიშრისთვალებში ჩაუდგათ მწუხრი
და მარიამი მარტოდენ ბოლოს
ვინც მართალ კაცზე „გაბედავს“ წუხილს...
ახლა ოთახში შემოდის სხივი,
დღე უჩვეულოდ თენდება რადგან,
მამალი ჩემთვის, ჰო, ჩემთვის ყივის,
სიზმრიდან ცხადში მამცნოს რომ ალდგა...
კაცი, რომელმაც დატოვა კაცის
სამოსი და ის ანი და ჰოე,
კოშმარებისგან ბოლომდე დამცლის
და მის სიმშვიდეს მეც მოვიპოვებ...

გედეა რატიანი

* * *

ლირდა, არ ლირდა, დღეს ალიონს მე ვეკითხები,
სულის ხდომამდე შემომიტევს აპრილის ფითრი,
ალდგომის მადლსაც მტკვან სულზე ისევ
ვიცხებდი
და ზეციური ანგელოზი შენდობას მითვლის.

სადამდე გვყოფის, უჟამოა თვითონ ულუფა,
ცრემლის დენამდე რომ ვიხმიეთ წმინდა თასიდან,
და მახსენდება, ამ რწმენისთვის იყენენ ულუმბოს,
არ მიხმებოდა რწმენის ფესვი იმ ათასიდან...

ლირდა, არ ლირდა, ქვეყანაც და გულიც ეწამა,
ჩვენს სარკოფაგებს სარგებელი მეტი აქვთ
ხშირად,
ვიდრე სულიერ უპოვართა უუცურებთ თამაშს,
აქ მომავლისთვის საკუთარ თავს ისევ გავწირავთ.

ბედია ესეც, ღმერთო, შენკენ რომ ვიხედები,
რამდენს გაუძლო და ღალატის ცრემლიც ულვრია –
ჩემო სამშობლოვ, ვისაც გულში დაებედები,
ლხინის დღეებით ნეტავ ქვეყნად რომელს უვლია?!

გიორგი გოგაჯიშვილი

ზმანება

აბიბინებულ ბალახზე
მზეს გაუშლია ჭილობი,
ვეღარც ცრემლები შევნიშნე,
ვეღარც – შეხსნილი ჭრილობა.
ფიქრგადახდილი არაგვი
კალმახის აკვანს მოჰგავდა...
უწინ, ვით მოყმე სამასი,
ისიც ფეთქავდა, ბორგავდა...
ცაზე ქარების ეტლებით
ღრუბლებმა გადაიარეს,
მთისოვის ვის გავემეტენით
აქ ნისლიც გვირჩენს იარებს...
ცა იყო ისე მაღალი,
მზეს უგალობდა ნიბლია.
ამდენი განცდა, ახალი,
მერგო ბედიან-ილბლიანს...
რას ინატრებდი უკეთესს
გულო, ჯავრის მთას ასულო...
რად არ შეირგე სამოთხე,
თუმც სიზმრად შე დათარსულო...
თვალთა ვიხილე ნათელი,
ღმერთო ის განცდა მიცხოვნე.
მე მოვკვდე, ოღონდ, ქართველი
ეგეთ მამულში მიცხოვრე...

პადრი სულაძე

„გული ვერ გაფასხვაფერდა...“

(ფერეიდნელ ქართველებს)

ნასისხლარ სუნთქვად რომ სცოდავს,
სული – ძველ ფიქრთა ნამსხვრევად,
„თვალი თვალს თუმცა მოშორდა,
გული ვერ გადასხვაფერდა...“

აქ ძველად, რწმენაც ღადარში,
ტკბილად ცხვებოდა ხმიადად, –
და ბედად ჩვენდა, ავდარიც
სინათლის მწედ ახმიანდა...

აქ, ჩვენთან, ერთ დროს დაჭრილი,
მზებ შობა – ვერხე წყაროსთან,
მანდ, თქვენთან, კლდეც რომ კაცივით
ენდობა „ვეფხისტყაოსანს“...

ჩვენც ვნალვლობდით რა, სიმღერის
ხმებს ღოცვას სიმწრით აბძილით,
ცრემლ-დალბობით და სისხლ-ღელვით,
გემოსათ ნისლის ნაბადი...





ხიდს – წინაპრამდი გასავლელს,
სქელ ნისლ-ბურანში რომ ხვევდით,
სიზმრამდი დათვლით – ასამდე,
მერცხლის გულამდი მოხვედით...

ოხერი წუთისოფლის ქვას,
ცისოდენ ქედზე ვიდგამდით,
იმად გვაცოცხლებს, როდი გვკლავს,
სიშორე ფერეოდანის...

ველზე იანიც სწავლობენ
მზის მცხუნვარების გაძლებას;
მხრებზე ვისვამდით მგალობელი
ჩიტს, მწუხარების დაძლევად...

აქ ძველად, რწმენაც ლადარში,
ტყბილად ცხვებოდა ხმიადად,
და ბედად ჩვენდა, ავდარიც
სინათლის მწედ ახმიანდა...

ნასისხლარ სუნთქვად რომ სცოდავს,
სული – ძველ ფიქრთა ნამსხვრევად,
„თვალი თვალს თუმცა მოშორდა,
გული ვერ გადასხვაფერდა...“

მზილეს და მძერნეს თიხიდან
გამოვმდგარიყავ ქალადა,
მამამზემ სხივით მაკურთხა
ლვთიშობლის მინამ დამბადა.
მაღალმა მთებმა მიშვილა
ზევიდან ლმერთი მფარავს და –
ფუძის სიმტკიცედ გავყურებ
ხევსურეთსა და მარაბდას.
ახლაც იმათი ჯიშის ვარ,
სამყაროს შევრჩი დანაშთად.
კალთაში მთვარე ჩამიწვა –
ვერცხლის თასებით მანათა,
ძმობილად ვირჩევ გიაურს
დავიდაქალე სანათა.
მოყვარემ ციხედ ამაგო,
მტერმა ვერ მძლია აქამდე,
უტეხი მიწით გაჩენილს
ვინ მოუდრიკოს სადავე.
დავდივარ ფარ-ხმალ ასხმული
სად მოსახელე ქვა გდია,
ვერასდროს წამშლის ავსული
მამის ნაკვალევს, მადლიანს.

ანა პეტაშვილი

შორა

მოვიდა ლმერთი, ჩვენთან ამიერ
კრავის ბაგაში კანკალებს, კრთის,
ელვრება მნათი ციდან ხვავიერ,
ნამისყოფის შეუცნობელ ჩრდილს.

მზემ გუნდრუკი და მიწამ მური
მოილეს სული წმინდისა წილ,
რძით და ტკბილ თაფლით დანამულნი,
მწყემსნი კრძალვით შეჟხაროდნენ ჩვილს.

შობის ლამეს უსასრულოდ ათოვს
სცნეს მოგვებმა მზე – ვარსკვლავი უფლის.
მოართვეს ოქრო – ვითარცა ბატონს,
თაყვანი სცეს, დაუმდაბლეს შუბლი.

სცნეს მოგვებმა უნაპიროდ მძიმე
ერთვის მწუხრი საუცხოო მნათობს,
მზე – ვარსკვლავი თეთრად მოციმციმე
შობის ლამეს უსასრულოდ ათოვს.

იამზე არველაძე-ხეცურიანი

მოყვარემ წიხედ ამაგო

„ამშე, საყდრის ნაშალო
რა გზა გაქს გამოვლილო,
ან ვისი აგებული ხარ
ან ვისი ჩამოშლილიო.“

ნინო გზესელი

რეემლიანი ვაზი

ცრემლის წვეთით ინამება ვაზი.
არხილული გზა მიჰყვება ტაძარს.
მაყვლის ბუჩქში იადონი გალობს,
სიტყვა აჩენს გულში რწმენის ხანძარს.

მთის წვერივით დანისლული ფიქრი,
ეჭიდება კეთილ-ბოროტ ძალას.
ოხ, რამდენი მანკიერი ქვაა,
რასაც გული ბნელ კუნჭულში მალავს.

ჩვილი გული ვერ ეწვევა ნაგავს,
ბაგიბუგობს და ეს სევდა ლარავს.
ის სიმშვიდეც, მოუპარავს რასაც,
თვალს აფარებს ამჩატებულ ფარდად.

ია-ვარდი გაიშლება მზეზე,
გულსაკიდად შეებნევა ალალს.
თუნდაც ბედის უკულმირთი ჩარხით,
ხან ალმა და ხანაც დალმა მავალს.

თვალი, ხშირად ცოდვის ნექტრით მთვრალი,
იქსება და იხილება ცრემლით
და სამოთხის ვიწრო ბილიკს ლოცავს –
წმინდა ნინოს ვაზის კოხტა ჯვარი.



თამარ შაიშველაშვილი

ქიზიყში ყვაოდნენ იერი...

(სტეფანე ხირსელი)*

ქიზიყში ყვაოდნენ იები,
უფლის ხმა ნეტარად ისმა,
სტეფანე ზეგარდმო იერით
ნამშვენი ილტვოდა ხირსას.

ილტვოდა ათცამეტ ასურელ
მამათგან ნაფიცი მზერით,
ანგელოზთ რჩეული... მსურველი
ცხონების და მადლის გზების...

დაბურვილ იყო ის ადგილი –
ტყიანი, მაყვლოვან ეკლის...
მოჰქონდა ვით სული დაღლილი,
სტეფანე მოწამის ნეკი...

მზე იყო ფიცხი და თაკარა,
ქრისტეს ხმა ფეხდაფეხ სდევდა...
ცხრა მთა და ცხრა ზღვა რომ ატარა
და ჯვარი აანთო სევდამ

მერე ალაზნის ველს გადასწვდა
შვინდ-ბრონეულების შუქი...
ზარის დაძახილი ცას ასწვდა
ხირსელის გულივით მშუქი...

ქიზიყში ყვაოდნენ იები,
ნინოს ნატერფალზე, სისხამ...
ვედრება – მშვიდი, ღვთის იერით
სტეფანე ილოცდა ხირსას!

*სტეფანე ხირსელი – ასურელი მამა,
ვანც ქიზიყში ააშენა ხირსის მონასტერი
(ახლანდელი ტბაანი).

გაკა აპულაძე

* * *

(ცუძლვნი დევნილ მეგობრებს)

ძველი ლოცვებით მომესალმე,
უცხო სიზმრების კართან გელი...
მკლავს ეგ ქალაქი, გრძნობასავით
გათანგული და გამთანგველი.

დამწყდარი გზებია წინ და უკან,
როგორც ტელეგრაფის მავთულები.
ვეღარ ანათებენ ბნელს და უკუნს
ფორთოხლის ხეების ნათურები.
შემოდგომასავით უამინდო,

შორი სიზმარეთის დარი დგება
და მაინც, მინდა თუ არ მინდა,
გაქცევით მიწევს დალოდება.

სადგურზე ამაოდ ჩამოვდგები,
დღეები ტალღებივით გადივლიან.
სადგური – არა დალოდების,
მუდმივი გაქცევის ადგილია.

ნაიარევიდან, მოურჩენელ –
იმედის ხმელ ხეზე ვარ ამოყრილი.
ნუ გაგიკვირდება რომ გიჩემებ,
შენი ტკივილების გამო ვყვირი

და სანამ მივხვდები, რა ვიყავი,
სანამ ჩემს პარძის გამოვცლიდე,
ხიდს გაღმა სახლში გამიყვანე,
ერთხელ იმ სახლშიც მალოცვინე.

59



გაია ქარსაულიძე

წმინდა ნინო

დღე იყო მშვიდი,
სიკეთით სავსე,
ისმოდა ირგვლივ
ზარების რევა.
და იდგა ნინო
ვაზის ჯვრით ხელში
და მცხეთას სხივი –
სინათლის სვეტი
აღმოსავლეთით
მზესავით ედგა.
ყვავილებს ეგრძნოთ
შუქი ღვთიური,
რომ უფლის მადლი,
კარს მიმდგარიყო.
ზეცად აღაპყრეს
თვალები წმინდა,
დაატრიალეს
სურნელი ციდა.
წმინდა ნინო კი
ვაზის ჯვრით ხელში
გზას გასცეროდა,
იმედით ხვალის,
რომ საქართველო
გაპრეცინდებოდა.
მცხეთას მირონი
გადმოდიოდა
და უფლის მადლი
ცად ადიოდა.
რეკლენ ზარები,
დღე იყო მშვიდი,
ცაზე ღრუბლები
იმ წლებს ითვლიდნენ,

ოლქა, №2, 2025



როდესაც რწმენა,
გულიდან გულში
გადადიოდა.

60



გიორგი ზუპიტაშვილი

* * *

ამ მთათა იქით და მწვერვალთ იქით,
დგას სალოცავი პაპათ ნაგები,
ქვა-გალავებით, ზარით, თალებით,
კაცთა ცოდვილთა სიტყვით ნაქები!
იგი მაცნეა ჩვენი წარსულის,
ქართული სულის ამოძახილის,
რწმენის, იმედის, საქმე-ქართულის,
ავთა რისხვის და ავთა ქადოლის!
იგი მაცნეა ძველი დიდების,
უბრად მთხოობელი ქრისტეს აზმათა,
შემომნახველი წმინდანთა ქების
და მათი ნიჭის, ვინაც აღმართა!
მნათად ანთია წმინდა სანთელი,
ნყვდიადმა ჩვენში ფრთა ვერ გაშალა,
კიდევ ლალადებს ლექსად შავთელი,
რდგონ ქრისტეა ჩვენი გზა-შარა!
ვით საქართველო მცირე, ჰატარა,
დგას მალალ მთაზე მალალი ნიში,
დრომ ვერ ჩააქრო, დრომ ვერ დალალა
პატივაყრილი დიდება მისი!

ცრემლით მომბანო მური,
გულმან განაგდოს შური,
უფალს მივუგდო ყური,
გამომიდარო.
განვაგდე საცთური ძველი,
გამომინოდე ხელი...
მტკივა სამსჭვალი, ძელი...
გელი უფალო,
გელი!

ჯემალ შანიძე

ალავერდი

შენ, ალავერდის დიდო ტაძარო,
ალაზნის ველო, წმინდა საძვალევ,
რამდენს გაუძელ, ჩემო კახეთო,
ჩემო სამშობლო, შენ გენაცვალე.
შენი გალავნის წმინდა ქვებია,
მთებია შენი დიდი კარიბჭე,
ცად აზიდული შენი მხრებია,
ჯერ რომ ვერაფრით გადმოაბიჯეს.

მირანდა ზაბაზიძე

ფერი იწვალე

ფერი იცვალე!
უფალო, და
ჩემს გულშიაც ბინა დაიდე.
სულ მთლად განმწმინდე
ევას ცოდვას შეხორცებული.
ფერი იცვალე!
უფალო, და
ახლაც დაინდე
სული ჯიუტი,
თავშესაფარ შემოჩეული.

რარიგ რთულია,
განიძარცვო ყველა სიავე,
რომელიც გონის მეტასტაზით,
ახლაც ივშება.
არ მიმატოვო, რომ
ამბობენ ემანდ მიწყალე,
სიშლეგეარ სიყვარულის
ვერცხლად მიღება.

შემორჩენია ცას ეს მიწა,
სულსაც – სხეული,
თითქოს ორივე შემომაცვდა

ნინო არსენაშვილი

უძლები შვილისგან თქმული

მცდელობა დავით გურამიშვილის მიბაძვისა

არ მეყო არსობის პური,
სახეზე ვიცხე მური...
გავყევ მამონას.
გულმა შეუშვა შური,
უფალს არ უგდე ყური,
ეშმა მემონა,
ასე მეგონა.
ნუთუ წავიწყმიდე სული,
ტანჯვე მელოდება სრული?
დავრჩი შორს უფლისგან კრული,
სიკვდილის მომეახლა რული.
დროა, ვითხოვო შენდობა,
მე ძმობა გთხოვო, შენ – დობა
და თუ არავინ მენდობა,
შენ შემიფარო.
მომცე არსობის პური,



ღმრთისებრ ფიქრებად.
დედის სხეულში ჩამოქნილი
მე, ორეული,
დროთა ქარ-ცეცხლში იწვებიან
ძველ-ძველ მითებად.

ახლა კი აღსდექ!
სულო ჩემო,
ფერი იცვალე!
ფერი იცვალე, სიყვარულით
რომ იმოსება,
ყველა სიტყვა და ყველა განცდა
ისე იმარხე,
დასასრულს იქით,
უკვდავებით რომ ილოცება.

ფერი იცვალე!
უფალო, და
ჩემს გულშიაც ბინა დაიდე.
სულ მთლად განმინდე
ევას ცოდვას შეხორცებული.
ფერი ვიცვალე!
უფალო და
ახლაც დაინდე
სულო, ჯიუტი,
თავშესაფარს შემოჩეული.

გულთამზე გარგველაშვილი

„სიზმარი“

დამესიზმრა... ნისლის ქოხში ვიყავ...
ცის ტატონბზე, მზე კოცნიდა დაისა...
ქარი ვნებით ეხვეოდა ტანზე...
ვარდისყაბით გამოპრანჭულ მაისს.

ქოხის ბოლოს, გვირილების მინდორზე,
ცრემლის წვიმის მღვრიე გუბე იდგა...
ფეხშიშველი გავუყევი ფერდობს,
უცებ მიწა სისხლისფერად იქცა...

ქარბორბალაბ ამიტაცა ცაში....
მთვარის კოშკი ჩამირაზა კარი,
შემომძარცვა ტანზე შავი კაბა,
მე ვიყავი უსხეულო ქალი...

რაღაც ხმებით შეზანზარდა ზეცა..
გამოპრნყნდა შუქი მზეზე მეტი...
გავიხედე იდგა დიდი ტახტი...
ზედ დაბრძანდა წმინდა მამალმერთი.

სისხლის წვიმა ასველებდა მიწას.
გადმოეშვა ანგელოზთა დასი...
ცოდვა-მადლის ბობოქრობდა სეტყვა,
რომ სიცოცხლის ყველას ეგრძნო ფასი.

მიწას ჰექონდა გაღებული პირი...
ჯოჯონეთის ქვესკელს წვავდა ცეცხლი.
იწვებოდა ბოროტების მოდგმა...
იწვებოდა ოცდაათი ვერცხლი...

ანგელოზებს ფრთებქვეშ ჰექონდათ წყარო.
უკვდავების მოწვეთავდა წყალი...
ცეცხლის ტბაში ეცემოდა წვიმად...
რომ ჩაექრო ბოროტების ალი...

ცაზე უცებ გადიშალა წიგნი...
შიგ ეწერა ყველას ცოდვა-ბრალი...
ბოროტს ცეცხლი ეხვეოდა ტანზე...
მართალს შუბლზე ესმებოდა ჯვარი..

ივეტა პავლიაშვილი – დონენაძე

ჩემი ხაჭია სამშორლო

„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა,
როგორც უფალი სამშობლოც,
ერთია ქვეყანაზედა“
რაფიელ ერისთავი





შორს გამიტაცეს ოცნებებმა, –
ალბათ ბედია...
არ დამიჯერებთ, შთაგონება ზღვაში მეწვია –
უნაპირობამ ჩემი ოცნება ვერ დაიტია –
დიდხანს არნია...
არ ჩანს სმელეთი, არ ჩანს იმედი,
მთელი სამყარო შიშის შეუპყრია,
კალამიც არ მაქვს, რამე დავწერო,
რა დროს მუხაა, რა დროს ლექსია?!
...და ანგელოზმა
მომაწოდა კენჭი პანია:
ჰა, დაწერეო,
რაც გილვანია,
და მოაფინე მაღალ ტალლებს
ზეცას რომ აწვდეს.
ჩემს წინ მსოფლიოს რუკა ეფინა,
ჩემი ყირმიზა საქართველო ნისლში ეხვია.
შორს გამიტაცეს ამ სიტყვებმა
შორს გამიტაცეს...
უცებ შუაგზად პოსეიდონი
თავად მეწვია,
ქართული ენა – ღმერთების ენა
მასაც სცოდნია.
მითხრა: მწერალო, ნეტავი საით გაგიწევია?
მომიყევიო, რა დღეშიაო შენი ქვეყანა?
ოდითგან ვიცი, – არნივების საბუდარია
და უფლის კვართიც იქ რომ მარხია.
ქართული სული ისევ ანთია?!
პასუხი ცოტა დამიგვიანდა...
მერე გაწვიმდა...
გამომეცხადა ღვთისმშობლის ხატი,
სამშობლოსაკენ მიმანიშნებდა.
კასმილს იპყრობდა „ჩაკრულის“ ხმა
ჩემი ხალხური,
მუქწმი მექავა საქართველოს
მინა ჯვარცმული.

ლია მამულაშვილი

წმინდა ნინო

ვაზის ტევრში გადასულა მზე თიბათვის,
ქალწულის თმას მზის სხივები დაჲთენია,
მაყვლოვანში შეისვენებს თავდახრილი,
ზეცას უფლის ნაკვალევი დასტყობია.
ვაზის ლერწებს დააჯვარებს,
მერე შეფსკვნის, კულულს ნასკვით
თლილ თითებით გამოიყვანს...
ქართლის მინას დაუჩოქებს, კალთას დახრის,
ვარსკვლავებად აენთება კვართი ღვთისა.
ვაზის ჯვარით ქრისტეს მოდგმას აზიარებს,
წმინდა ნინო, ქალწულ კაბადოკისა.



თენგო ხუციშვილი (ქრისტეს მხადარი)

იქ ვფგავარ

იქ ვფგავარ, სადაც ძნელია დგომა,
სადაც მაცდლურმა დააგო მახე,
და ეს ცხოვრება წააგავს კვდომას,
თუკი არა გაქვს შენ შენი სახე!
იქ ვფგავარ, სადაც გზა არის ვიწრო,
ეკალ-ბარდებით, არა ვარდებით,
თუ მოხდა, ფეხი დამიცდა, ვინძლო,
მომეცი ხელი თუკი ვვარდები.
იქ ვფგავარ, სადაც კაცს ჰქვია – მამა,
სადაც ღვთისმშობელს წააგავს ქალი,
იმ სიყვარულის უწყვეტი გამა,
რომ წინაპართა დიდი გვაქვს ვალი!
იქ ვფგავარ, სადაც მე უნდა ვიდგე,
დღრის ქარტეხილს ვებრძოლო კალმით,
და მელნის ბოლო წვეთამდე, ვიდრე,
სადამდეც სული იქნება ჯვარცმით!
მოვიდა უამი, სადაც ჭირს სუნთქვა,
და სადაც ვერცხლი ანათებს მხოლოდ,
უფალო ჩემო, დამშანთონ თუნდაც,
ოლონდ შენამდე მოვიდე ბოლოს!

ვიქრია ყუშითაშვილი

წმინდა ნინოს ამზავი

„მოქცევა ქართლისაი“-ს მიხედვით

1.

იყო სარდალი ზაბულონი...
იყო მისი ცოლი სოსანა...
ჟღერდა „ოსანა“, ვით დედის ნანა
და კაბადოკის იშვა ნინო...
ნანა გამოსკვნა ნაყოფი საჩინო...
დამშვენდა თორმეტისა...
ტანი რომ აიყარა,
დედ-მამაშვილობისა გზები გაიყარა...
მიარიგ-მოარიგეს ქონება – ცხოვრება:
თუ რამ ჰქონდათ და თუ რამ მოინაგრეს,
იერუსალიმს, პატრიარქს ნინოს ბედი ანდეს,
უფალს საკუთარი სულისთქმა გაანდეს –
ქრისტეს ათი მცნება სანთლებად დაანთეს.
მოიქცა ზაბულონი და დედა სოსანა...
ნინო პატრიარქს იმედად „ოსანას“
უმღერდა უფალს გზნებით,
მისი სიმღერებით
წარმართა ნაცარტუტად აქცევდა მახვილით –
არღარა რჩებოდა მცირედი სამხილიც...

ლიკა პორძაია

ფავაკაკუნებ სამოთხის კარზე

დავაკაკუნებ სამოთხის კარზე,
მხოლოდ კი შესვლას ვერ გავტედავ,
რადგან მრცხვენია,
დავაკაკუნებ მოლოდინით, იქნებ შემძახონ,
აქ კი მიგიღებთ, მაგრამ ჯერ ხომ ნაადრევია.

გამოვბრუნდები ფრთაშესხმული, და არეული
იმ ადგილიდან, ანგელოზი სადაც მღერიან,
ცოდვილ მიწაზე ფქხს დავადგამ იმ მოლოდინით,
რომ სამოთხეში, იქ, ზეცაში, ვიცი, მელიან.

გაამაყებულს, ვერ დაიტევს გული სიხარულს,
დლეიდან თავი ყოვლისშემძლე რადგან მგონია,
მიწიერ ზრახვას ვერ ნაუვა გული მოკვდავის,
ისე არ არის, როგორც მიწის შვილებს გვგონია...

ისე დანისლავს გულის სიღრმეს ცოდვა ბოროტი,
როგორც ღრუბლები ეფარება თბილ მზეს,
სხივიანს,
დავაკაკუნებ მე თამამად სამოთხის კარზე,
თუმც ხმა არ ისმის, რადგან მე იქ ალარ მელიან...

გამოვბრუნდები ზარცემული, გამეხებული,
ხორცის ტკივილი სულს ჩასწვდება, აალრიალებს,
გვიან მივხვდები, რომ გავწირ თავი უიბლოდ,
ჩემი სინდისი გულს მიჭამს და სულს ანრიალებს.

ჩარაზულ ურდულს შევტედე და თვალი შევავლე...
ვაააჲ, უბადრუჲო, უნამუსოვ, ურცხვო, ჯიუტო!

ფრთამოტებილი გამოვბრუნდი, ქვევით დავეშვი,
საითაც ჩემებრ ცუდ არსებებს უნდა ვაუწყო,
რომ ვუერთდები მათ ბნელ სულებს მე
სამუდამოდ...

და რაღაც ძალამ, უხილავმა, ამოუხსნელმა,
უკანასკნელად, მიმაბრუნა, მიმატრიალა,
მძიმე ურდული მდორედ, ზანტად გადაიწია
და გავიგონე კარის იქთ: „მაინც გელიან!

თუ თეთრ სამოთხის კართან ერთხელ ჩუმად
დადგები
და ფრთებშესვეული ზეცას კითხვით ისევ შეხედავ, –
გეტყვი: არცერთი შენი ცრემლი არ დაგვიწყნია,
არცერთი შენი მოლოდინი წაგვირთმევია.

თუ ხმა არ გესმის – ნურაფერში ეჭვს ნუ შეიტან,
ზოგჯერ, აქ, ცაში, ჩუმად გელით – არა ხმაურით.
გელით მაშინაც, როცა ვფიქრობთ:
„იქნებ არ უნდა“,
გელით არსებით, – სუნთქვით, ფიქრით,
თუნდაც სიჩუმით.

შენ არასოდეს არ ყოფილხარ მიტოვებული
არც იქ, არც აქ და პლანეტაზე, ამ მზისქვეშეთში.
სულ ცოტაც კიდევ, გაიგონებ შენი გულის ბიძგს,
და მერე უკვე, გვიან, თუმცა მაინც მიხვდები:

რომ შენ ყოველთვის სადღაც გულით მაინც
გელოდნენ.
მიუხედავად, რომ გტანჯავდა სულის ამბოხი,
მაშინაც, როცა უძლებ შვილად გადაიქცი
და მოინდომე უფლისათვის შუბლზე ამპორი...“





18 აპრილს თელავის ცენტრალურ მოედანზე „ძველ ბაღში“, ელენე ახვლედიანის 124 ნლის ოუბილესადმი მიძღვნილი კონკურსი „თავისუფალი მხატვრობა“ გაიმართა, რომელიც ყოველწლიურად ტარდება და მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლია.

უფროიში საუკეთესო ნამუშევარი შემდეგ ნომინაციებში გამოავლინა:

- საუკეთესო ფერწერა,
- საუკეთესო კომპოზიცია
- საუკეთესო ტექნიკა

ღონისძიებას თელავის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან ანდრიაშვილი და თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ფიქრია ყუშიტაშვილი ესნრებოდნენ. კონკურსის სამსახურის ხელმძღვანელი კატეგორიაში გამარჯვებულები 500 ლარიანი საპრიზო ვაუჩერებით დააჭილდოდა.

ასევე მოენყო ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.



ISSN 1512-3995

